

ბ პ ე პ ი ს



0 3 0 9 6 0



წელიწადი მეორე

№ II

თებერვალი, 1899



დ ფ თ ა ი ს ი

ლამბაშიძის სტამბა *

1899

თიოგრაფია გამბაშიძე

పరిచయం

సార్తంజలి గంగ్యామ్రాండ్యాం.


83.

I	సహాదార వాటమామి „బెంగాలు“ — ల్యేసి వ్యాపారిస	1—2
II	సామాధారమామి, మానవ్య	3—15
III	సహాదార వాటమామి, (ల్యేసి) మిలాంజ	16
IV	సామామి, ల్రాంబి 4 మార్క. శ్యూమ్యుల్జిం	17—66
V	సామాధారమామి ల్యేసి-మాల్చామి తొ- ల్యుల్స్—ఎ. క. ఫెన్సామ్ముండ్రిస	67—96
VI	ధింధింధింధింధి శాసనామ్ముండ్రిస — వ్యాపారిస	97—112
VII	ఒకి 8 లోహామ్రాల్సి మామోమిల్సి అంగులి సామాధారమి వెంస శాసనామ్ముండ్రిస—ఎ. టి.ఎసా	113—128

మేఘర్జ గంగ్యామ్రాండ్యాం.

I	స్ట్రోంగ్లి 7931—కె. గార్జ్థిండ్రామిస	1—24
II	మాసామ్మాల్సి శాసనామ్ముండ్రిస ర్యామోమిల్సి త్రి- ప్రస్తావిల్లి గుంచుల్. పిస్తోమిల్లి ర్యాసె- మ్మెత సామాధారమామి—కె. క్లి.	25—40
III	పిస్త. ల్యాచిసి, ల్యాచిసి, త్రి గుంచుల్లి మ్మెత కె. అంగ్వ్యుమామి శింకొచ్చెరిల్లి కె. శ్యూమ్ముండ్రిస మిగ్ర 41—48	

1 3 0 5 6 0



Հյուլօթագո մեռնեց

№ II

Թիֆլիս, 1899



Ժ Կ Դ Ա Յ Ո Ե

Համբարձուն և Տիգրան Պատրիարք Տիգրան Պատրիարք
1899



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 16 февраля 1899 г.

გ ი ნ ს ს ი:

ნარგედა განვთვალისწინება.

83.

I	სოენილან ნათევამი „ნინოობას“ — ლექსი აგაფიას	1—2 ✓
II	საავადმყოფოში, მასივე	3—15 <i>2006</i>
III	სოენილან ნათევამი, (ლექსი) მასივე .	16 ✓
IV	სავანები, ღრამა 4 მოქ. მეგმლესი .	17—66
V	სარარტველოშის დედა-ქალარი ტფი- ლისი—შ. გ. ჭავაშვილის	67—96
VI	გიგლიორგიაშვილი განივალები— აგაფიას	97—112 <i>J</i>
VII	ორი გიგრაციელი გიგლიორის აზრი ჩარტული ენის გივახებ—გ. თ-ასა .	113—128

მეორე განვთვალისწინება.

I	სოფელი წევა—ს. გამებადაძეს	1—24
II	მასალები ძრისტიანობის დაცემის ქ- ილეამის გავრც. ისტორიისა დასამ- რეთ სარარტველოში—ზ. კ.	25—40
III	ისრ. ლემსი, ლეგენდა, დ. გამოცავები ს. არგვეთაში ჩაწერილი ს. მერკევაძის მიერ	41—48

ს ც ხ ე ლ დ ა ნ ნ ა თ ჯ ვ ა მ ი

„ნინოდაბს“.

ცაში გარსებგლავი გარსებგლავზე
ღვთისაგან დაწათესია,
მაგრამ იმათში უველავზე
შექმნა უპათესია!...

ბევრია ჩვენში დღეს ნინო
ბირთა-მზე, მზეთ-უნახავი,
მაგრამ იმ ნინოს მსგავსის კი
არავისი გართ მნახავი.

ის სულ სხვა იყო!.. სულითაც
იგივე შვენიერება!...
შეურნალი მუერიას,—
საურო ბეჭნიერება.

მას არ ჰქონია საუნცე
დაუდებელი ფასისა.
სიმდიდრეთ ხელში ექიმი
უბრალო ჭვარი უაზისა.

და ის მთვევაძენა ქართველებს
საშეიდო შეიდოთ სიმდიდრეთ,
წევნო სჭუდა და ერთგნება
თრივე მაზედ გამგვიდრეთ!

მისის ცრემლებით ნაბანი,
შეპრუდი იმისივე თმით;
სურვიდით გამაცრებული,
განმტბიცებული გულის თქმით.

საბაზო

საავადმყოფოზი.



ნახველები არ გამომლევიან. დილიდან საღა-
 მომდე გაუწყვეტლად მოდიოდენ. ვებრალე-
 ბოდი ყველას, ნატრობდენ ჩემ დღეგრძელო-
 ბას და ღმერთს მავედრებდენ: ზოგმა ათასი წელიწადი
 მინატრა, ზოგმა ხუთასი და ზოგმაც სამასი!.. ასზე
 ნაკლები არავის გაუმხელია!... მაგათი გულ-კეთილობა,
 თვარა მე ვისთან რა მიმიძლვის სამაგიერო, რომ ასე
 მეალერსებიან და გულ-უხვად მლოცავენ?—ვამბობდი
 გუნებაში.—ცხოვრებაში გამოსადევ ღირსებათა მოკ-
 ლებულს, იმის შეძლებაც არა მაქვს; რომ ხან-და-ხან
 პური მივაწოდო ხოლმე და მით ამათი გული მოკიგო!...
 საწყალი მგოსანი ვარ!.. ერთი უბრალო ჩანგის მეტი
 არა გამაჩნია რა!... მაგრამ იმითაც ცხოვრებაში საპი-
 რადო ფონს ვერ გავდივარ!... ან კი როგორ უნდა
 გავიდე?!... სად რასა ვხედავ სადღესასწაულოსა და სა-
 სიხარულოს ჩვენში, რომ სიმები ხმა-ტკბილად ავაელე-
 რო?... ყველგან სამგლოვიარო ნიშნებია!... მეც ზარს
 ვამბობ. და ვის რად უნდა ეს ჩემი მწარე ხელობა?...

ვინ მოისმენს სიამით, დამშეიდებით ზარის ხმას წარმოადგინდება მისი მთქმელი? მაგრამ შემცდა-
რი ვყოფილვარ! ამას რას ვხედავ?!... თან-შობილი
გულ-კეთილობა რჯულზედაც უმტკიცესი ყოფილა!...
თვითქმის იგივე ბუნება!... გაუყრელი და გაუშორე-
ბელი!!.. ქვეყანას ჩემგან დაუმსახურებლადაც ვყვარე-
ბივარ და კურთხულ იყოს ადამიანის გულ-წრფელო-
ბა!!.. ამას ფიქრობდი დიდხანს და ამ ფიქრებშიაც
ჩამეძინა... სიზმრად ვიძილისშორისე სანახავი რამ სანე-
ტარო და საარაკო: გაიხსნა ცა, გადმოეფინა მაღლით
ნათლის სცეტი კიბედ და ზედ ჩამოჰყვა სხივსან-მო-
ელვარე მთავარ-ანგელოსი. ხელში უმაღლესი, ზეციუ-
რი, განჩინება ეჭირა. მიიხმო ჩემი მნახველები ყველა
ერთად და გადასცა მათ ყოვლის-შემსრულებელის ნება:
„ისმინა უფალმან ვედრება თქვენი და მოგანიჭათ სა-
ვედრებელი!... თვითოეულ თქვენგანს ერგო საამქვეყ-
ნოდ იმდენი წელიწადი, რამდენიც ინატრეთ ამ მომა-
კვდავისათვის (მომაშვირა მე ხელი). აპა, მიიღეთ, თვი-
თეულმა თქვენ-თქვენი საბუთი. შევიძლიათ თქვენდა
გუნებისად მოიხმაროთ, ესე იგი, თუ მოისურვებთ,
სხვასაც უზიაროთ! და თქვენი სურვილიც ხომ ის
იყო, რომ ამ ავადმყოფისათვის გადაგეცათ? ახლა ხომ
თქვენ ხელი არის სურვილის დაქმაყოფილება და რას
იტყვით? აძლევთ, თუ თქვენთვის იტოვებთ? აბა, შენ
სთქვი, ათასის მნატვრელო!“

შეკრთა ჩემი მოკეთე. აღელვდა. დიდხანს ხმა ვე-
ლარ გამოილო და ბოლოს როგორც იქმნა, წამოიკრი-
ნა: „ამ საბუთში არა სწერია, რომ სხვასაც გადაეცე-
სო?!!..“

— არა!... მაგრამ ეგ შენს ნება-სურჯილზეა დამო-
კიდებული.

— კაი თუ ცოდვათ ჩამეთვალოს, რომ სხვასაც
კუნიარო?

— მაგის თავმდები მე ვარ, რომ—არა!... აპა რა-
ლას ყოყმობ? რას გაუშებულხარ? უთმობ რასმე ამ
ავადმყოფსაც თუ არა?

— რა ვქმნა, შენი კირიმე?... ღვთისა და მის წმინდა
მოციქულის წინაშე ტყუილი ძნელი გასაბედავია!...
„ათასი წელი ვითარცა გუშინდელი დღეო!“ ბრძანებს
წინასწარმეტყველი და, თუ მართალია, ერთი დღე რა-
ლა გასაყოფი და გასანალილებლია? თუ თქვენი ნებაც
იქმნება, ბა რემ, სულ მე დამრჩეს!— სთქვა, როგორც
იქნა გაბედვით, ჩაიდვა საბუთი ჯიბეში და ურცხვად
გაიარა კარი... ჩემსკენ აღარც კი მოუხედნია.

— შენ რალას იტყვი, ხუთასის მიმღებო?

— მე, შენი კირიმე, რალა უნდა მოვახსენო?...
ღირსი არა ვარ მაგ უხეი მოწყალების!... ხუთასი წე-
ლიწადი მათუსალას დღეა. იმან ცოტა მეტიც იცოცხ-
ლა, მაგრამ დღეს ძვალიც აღარსადა სჩანს და ასავალ-
დასავალიც არავინ იცის!... ისიც ისე გაჭრა, როგორც
უველა! საუკუნეთა ზღვაში ხუთასი წელიც ისეთი
წვეთია, როგორც ერთი წამი. მართალია, მაგ ავად-
მყოფისათვის ვინატრე და გამოვითხოვე ეს ხუთასი წე-
ლიწადი, მაგრამ, კარგად რომ გავსინჯოთ, ბევრს არას
გამოადგება!... მით უფრო, რომ თვითონ საზიარებე-
ლია და მე რალა ვუზიარო?! კაცს თკითქმის ქვეყნიუ-
რი ანგარიში გაუწმენდია, ზეცისთვის ემზადება, ახლა
მაკის ხელის შეშლა, გამობრუნება... მერე კიდევ ხელ-
აქლად, იგივე აუცილებელი... სულ-ხორცის გაყრის

წამები!... აღარა ღირს მაგისთვის წვალებად!... ისე მე დამრჩეს, თუ უკაცრავად არ ვიქნები!... ეს რომ სოქვა, შეიდვა უბეში საბუთი და გატრიალდა.—წავიდა აჩქარებით. აღარ გავხსენებივარ.

—მაშ, ახლა თქვენ რაღას იტყვით, ვინც უფრო ნაკლები ინატრეთ ამ ავადმყოფისათვის?... დაეკითხა უველას ერთად ზეციური მოციქული.

—ჩვენ?—უპასუხეს ერთმად—ჩვენ რაღა გვეოქმის?—თუ კი ათასისა და სუთასის პატრონებმა ვერა გაიმეტეს რა... ჩვენის მხრით ხომ მეტი რობა იქმნება მცირედის შელევა?... მით უფრო, რომ მეტი ჩრობა ამპარტავნობის ნაყოფია და ამპარტავნება კი ღმერთია სძულს! ვერ ვიზამთ ღვთის საწყენ საქმეს! მის მოწყალებას ვერ დავიწუნებთ, და სხვის გადასაცემად ვერ გავიმეტებთ... დარჩეს ჩვენთვის!..“ მოუკირეს ხელი საბუთებს და მოჰკურებლეს, უკანაც აღარ მოუხედნიათ, ხომ არავინ მოგვდევსო? დავრით ჩვენ ორი მარტო: მე, მომაკვდავი, და უკვდავი, ზეციური მოციქული. შემომხედა წმინდამ, გაილიმა, ნათელი მიაფინ-მოაფინა და მკითხა: რას იტყვი?

—რა უნდა მოგასენოთ?—ვერ გავამტყუნებ! ეგენი გარეშეები არიან... მეგობრები, რომ იყონ, ან ჩემიანები... სისხლ-ხორცი!... მაშინ კი...

—მეგობრები? მეგობრობა კი გჯერა?

—საზოგადოთ არა... რაღვანაც მეგობრობა გარემოების შვილია, დროებითი და ხან-მოკლე!... კერძოდ —კი! მაგრამ ისიც ისე იშვიათია, როგორც ერთხელ მხოლოდ ცით ქვეყნად მოკლენილი მანანა.—მაღლობა უფალს!... ამგვარი ერთად-ერთი მეგობარი მეცა მყავს.

— სარწმუნო?

— დიახ. ის ჩემთვის არც სულაა და არც გულს
არ დაიშურებს, თვითქოჩემი თანამოსისხლ-ხორცე იყოს..

— მაშ კარგი! ვნახავთ ყველას!... შენ შევიძლია
ყველას უყურო და ისინი კი ვერ დაკინახვენ!...

ეს რომ ბრძანა, გადააქნია კვერთი და უცბად მის
წინაშე გაჩინდა ჩემი მეკობარი.—ისე შეეწუხებია ჩემს
ავადმყოფობას, რომ გამხდარიყო და ფერიც მიხოდა.

— იხაროდენ და მოილხენდი!—უბრძანა ნათელ-
მოსილმა—შენს მეგობარს სასიკვდილო აღარა სჭირს
რა! პირაქედ მის წილ-ხვედრ სიცოცხლეს უნდა მიემა-
ტოს კიდევ ასი წელიწადი. ასე ინება ყოვლის შემძლე-
ბელმა. მერე აღარ შეიძლება, მაგრამ ჯერ კი, სანამ არ
ჩამიბარებია მისთვის ეს წალობა და ჩემ ხელთ არის...
შემძლია გავანაწილო და გადავსცე რამოდენიმე იმა-
საც, ვისთვისაც ის მოისურვებს... დანარჩენს კი
თვითონ ჩაიპარებს და მერე გადაცემის უფლებაც აღარ
ექმნება!... ეგება შენთვისაც მოინდომოს რამე გადმო-
საცემად.

— მაგას რაღა იუვი უნდა, წმინდაო-ძლიერო?!

— მაშ კარგი! დავეკითხები...

— დაკითხვა რაღა საჭიროა! ჩვენი ქონება ვის
გაუყვია? მოელი ქვეყანა დაამოწმებს, რომ ჩვენი ყო-
ლიფერი საზიაროა.

— მაშ რამდენი გერგება აქედან?

— ნახევარი. ეს წვეულებრივია!!... ასი მანეთი რომ
ჰქონია, მე ორმოც-და-ათი ისე წამილია, რომ არც კი
მიკითხავს, და მასაც სასიამოენოდ დარჩენია... ნახე-
ვარზე, აქაც არას იტყვის!...

— მაშ რადგანაც თანასწორად გიცვიათ დღემდე

ყოლიფერი, დღესაც ისე უნდა იქმნეა: შენ გაქვს შემი
საკუთარი ოცნება-ათი წელიწადი სასიცოცხლოდ; ისიც
შეა უნდა გავჭირო და იმას გადავსცეთ. ესე იგი, თხუთ-
მეტი! ამ თხუთმეტს გამოვრიცხავ ორმოცნება-ათიდან
და შენ დაგრჩება ოცნება-თხუთმეტი... თანახმა ხარ?—

— ეგ ანგარიში, მგონია, საჭირო არ უნდა გახლ-
დესთ! — მე როცა იმისგან ასის ნახევარი მიმიღია, იმ
დროს მქონია საკუთარი ჩემი ათი მანეთი, მაგრამ იქი-
დან ნახევრის მიცემა, არც მე მიფიქრებია და არც
იმას მოუთხოვია... ჩვენში მაგვარი ანგარიში არ არის
ხოლმე, და აქლაც ჩვეულებას ვერ ვუღალატებთ!... ნა-
ხევარზე ისიც არას იტყვის... პირიქით კიდევც გაიხა-
რებს, რომ მეგობარს გამოვადევი... ვასიამეო!... და
თქვენც ნუღარას დაკლებთ. მიბოჭეთ მოლად ეგ ორ-
მოცნება-ათი წელიწადი!

კარგი! — უბრძანა — პასუხს მიიღებო!... გადააქნია
კვერთხი და გაჭქრა მეგობარი.

შემომხედა ცისა და დედამიწის შუამავალმა. — ეს
არის ის მეგობარიო?!

— სწორედ! — ვუპასუხე მეც — ეგ არის, მაგრამ დღეს
ვერ არის ჩვეულებრივ გრძნობა-გონებაზედ და რაც
მოგახსენათ მისი გულის-პასუხი არ არის... ჩემ გამო-
ჯავრსა და მწუხარებას შეუშლია!...

— შეშლილი შენა ხარ და გრძნობა-გონებაც მო-
ტყუებული გქონია, რომ ამდენ ხანს ვერ გი კვნია მე-
გობარი!... აქლა შენი სისხლ-ხორცებიც ვნახოთ! აქ
მოვიყვან ყველას რიგ-რიგისად და გამოვცდი!... გან-
და ჩემი საყვარელი ძმა. სიხარულით სახე გაბრწყინვე-
ბოდა... დაემხო მახარობლად მოვლენილის წინაშე,
მადლი შეჭრირა და სიტყვა აღარ აცალა: „შევიტყე,

ყოვლად მოწყალეო, რა ბეღნიერებაც მოვლენია ჩვენს მოხახის გვირგვინს!... ორასი წელიწადი ხუმროვა არ არის!!...“

— ასე მალე?!...

— ქვეყანა სწრაფია და ყურ-მახვილი!... რაც არ ქმნილა, იმასაც მოისმენს, რაც არ თქმულა--გაიგონებს, თვარა ნამდვილი როგორ გამოეპარება?!

— მარტალია, მაგრამ ერთი ორად კი ეყურება!... ორასი გადამეტებულია!... მხოლოდ ერთი საუკუნე მიენიჭა შენ ძმას!..

— კმარა ევ ასი წელიც!... საუკუნო, სახუმრო არ არის!!... ჩვენ მაგის ღირსიც არა ვართ.

— იმ საჩუქრიდან შენც უნდა გარგოს რამ შენმა ძმამ და რას სჯერდები?

— განა თქვენ თვითონ არ მოვეხსენებათ, რომ ძმა ძმის მონახევრეა ყოლიფერში?

— დიახ, მაგრამ მემკვიდრობითში და ეს ხომ კუთილ-შეძენილია და კანონიც აღარას იძლევა.

— კანონი?— ჩვენ ქართველები, ყოვლაც მოწყალეო, ხან-და-ხან, როცა გარემოება მოითხოვს ხოლმე პატრიოტებიც გახლავართ. და მეც ამ უამად ვახტანგის კანონს დავადგები. იქ ძმას ძმის შენაძენშიაც გაყრამდე წილი აქვს!— შემძენი მხოლოდ საჭირნაულოდ ათის თავს აიღებს მეტს, და მერე კი დანარჩენს შუა გაპყოფს. აქაც გამოირიცხოს ათი წელიწადი ასიდან და ორმოცდა ხუთი მებოძოს... რა გაეწყობა?— მეტს აღარ ვითხოვ, ნაუსამართლევი არა მინდა რა!..

კარგიო. უბრძანა ქვეყნად სწორ-უპოვარმა და გაისტუმრა. მას შემდევ შემოვიდა ჩემი ალექსიანი, ჩემი ენა-ტკბილი და, ყოველთვის რომ თავს მევლება

ხოლმე. მუხლებზე მოეხვია და მადლი შესწირა. იმას ოთხასი ვაევონა, მაგრამ ზეციურმა მახარობელმა გაუსწორა და უბრძანა: მარტო ასია და იქიდანაც ცოტაოდენი, თუ თვითონ მოისურვებს, მისიანებისაც უნდა ერგოს რამე!.. შენც როგორც დას ხომ უნდა გერგოს და რამდენს ითხოვ?..

— მე? — თვალი დაუდგეს ახლანდელ კანონს, რომ ქალებას სჩაგრავს და მეოთხმეტედის მეტს არას აძლევს!.. მაგრამ ჩემი ძმა; იმას კი შემოვევლე გარს, კანონს არ უყურებს! — ებრალება ჩემი წერილი შეილები და თუ კი რამ იშოვნა ხოლმე მეც უნაწილოდ არ მაგდებს!.. მისით მიღვია სული!.. რომ ვიანგარიშოთ ნახევარზე მეტი ჩემია ხოლმე, მაგრამ ახლა კი მეოთხედს დავჯერდები, მეტით არ შევაწუხებ იმას კი დავენაცვლე.

კარგიო, უბრძანა და გაისტუმრა. ახლა ხომ ნახე ძმაცა და დაც? — მკითხა — რაღას იტყვი ან ერთზე?

— ძმა ცოტა ანგარი გახლავსთ, მაგრამ მაინც კიდევ კარგია დღვევანდელ პირობაზე!.. ისიც გაძაკვირველია, რომ სულ არ გამგლიჯა!

— და?

— და ერთი საწყალი ვინმეა... გულ-კეთილი... უნდა რომ შვილები დაზარდოს... მათ ბედნიერებას მოესწროს: დააცოლ შვილიანოს... შვილი-შვილებიც ნახოს თავის თვალით... მათი აკვანი არწიოს!.. მათ ტიკტიკა და ცუნცულს უყუროს... და ამას ცველის დრო უნდა!.. ოცდა ხუთი წელიწადი ცოტაც არის... არც კი კმარა...

— კარგი! ეგრე იყოს! ახლა, კიდევ უფრო მანლობელებიც ვნახოთ! განჩდა ჩემი სულის კოლოფი! ჩემი სიცოცხლის კავშირი, ცოლი. მწუხარებით კრიკა

აღარ ეხსნებოდა! — უკმეხად იყითა: მართალია რომ
ჩემ ქმარს უკვდავება მინიჭებია?

— არა! ტყუილია!.. მალოდ ასი წელიწადი, და
იქიდანაც წილი უნდა დაედვას იმას, ვინც მისი უფრო
მახლობელი და საყვარელია...

— მართლა? ეგ კიდევ კარგია!.. ჩემზე უფრო
მახლობელი ვინ ეყოლებოდა? გვერდი-გვერდზედა
ვართ!.. და სიყვარულითაც ისე უყვარვარ, რომ თავს
ურჩევნივარ. უერთმანერთოდ სიცოცხლე ჩვენი ნაღველ-
შხამია.

— კეთილი! მაშ შენ უნდა გერცოს და რამდენს
მოითხოვ?..

— რამდენიც შესაძლებელია!.. იმას რაც კი რამ
აბადია, სულ ჩემ ხელშია. რაც მინდა ებარჯავ, რამდე-
ნიც მინდა ვახარჯებ!.. ეგეც აქ მიბოძეთ და მე და
იმან ვიკით!..

— არა!.. ეკრე არა მაქვს ნაბრძანები!.. უთუოდ
მე უნდა გაკანაწილო და კიდევაც თანასწორად გაგი-
ყოფთ: თქვენ ორივეს სიცოცხლეს, შეკეცავ ერთად,
ზედ ამ ნაპოძეარ ა' წელიწადსაც შევსვამ, და მერე ისე
დავჭრავ ლარს, რომ მეტი არც იქით გადაუვეს და
არც აქედ... ორივე ერთად უნდა დაიხოცოთ, რადგა-
ნაც ისე მოყვარული ყოფილხართ ერთმანეთის, რომ
უერთი-მეორეოდ სიცოცხლე არ გინდათ!..

— ეკ ეკრეა, მაგრამ როგორ იქნება?!.. ორივე
ერთად რომ მოვკვდეთ, ჭირის-უფალი ვინ-და გვეყო-
ლება? ჩვენ, თუ არ ერთმანეთს, სხვებს ვერავის ვენ-
დობით!..

— მაშ კარგი! რადგანაც მაგისი გშინებია, ცოტა

მეტს მივსცემ შენ ქმარს, რომ მკვდარს გიქილისუფლოს და გიპატრონოს.

—უი, არა, შენი ჭირიმე!.. მოგეხსენებათ... კაცებს არ უყვარსთ გულის დადება... ძალიანაც რომ უნდოდეთ მაინც დაავიწყდება—დარჩებათ რაშე!.. და ჩვენ ქალები კი უფრო ბეჯითები და სანდო ვართ მაგ გვარ საქმეში.

—აგრე იყოს! შენ დაგიტოვებ ერთ ორ კვირეს, სანამ დამარხევდე და წესა და რიგს აუსრულებდე.

—მფარველო და მწყალობელო! ორი კვირე რა სახსენებელია... მერე ორმოცი და წლის წირვა ვინდა გადაუხადოს?

—კარვი, წელიწადი იყო!..

—მარტო ერთი წელიწადი?.. არა ქმარა!.. რაც მეტი მოხსენება ექნება, ის არ ემჯობინება მაგის სულისათვის? თუმცა ჩემთვის კი უფრო მეტი ტანჯვა იქნება, რამდენსაც მეტს ვიცოცხლებ!.. ვაი ჩემი ბრალი, რომ უნდა ვიტანჯო და მაგის ხსოვნაში ვათენ-კაღამო!.. მაგრამ რა ვქნათ, ქმრის სიყვარული მაღლით ნაბინებია... მარტო მაშინ კი არ უნდა გვიყვარდეს ქმარი, როცა ხორციელად გვერდში გვიდგას და ვეხვევით!.. როცა აღარა გვყავს, მაშინაც უნდა ვიგონებდეთ... და ნამდვილი სიყვარულიც ის არის!..

—მართალი ამბობ!.. მართალი!.. და, მაშ, რამდენია საჭირო?.. ათი გეყოფა?

—არა!..

—ოცი არ იქმარებს?..

—არც ეგ!

—ორმოცი?

—ეგეც ცოტა იქნება!.. მით უფრო, რომ, თქვენ-

თან რაღა დავფიცო, მაგ უბედურს ცოდვაც არ შე-
უძღვის ცოტა საიქიოსკენ!...

—ორმოცდა ათი?

—მე მეყოფოდა, რომ თვითონ ქმარიც დამეთან-
ხმებოდეს... მაგრამ ვიცი, რომ ის სულაც არას ინდო-
მებს!.. საბრალო სულ იმას იძახის, ამ ტანჯვას სიკვდი-
ლი მირჩევნიაო!.. ნუ გაუმტკუნებთ ნატვრას!.. დე,
იმან განისვენოს სიკვდილით და მე კი ვიტანჯო სი-
ცოცხლით!.. ნუღარას დააკლებთ!.. მიბოძეთ ევ ასივე
წელიწადი, რომ...

აქ გარისხებულმა ანგელოსმა ჩემს საჭირისუფლოდ
მომზადებულს სიცოცხლის მოკავშირეს, სიტყვა აღარ
აცალა და გააქრო ჩემი სულის კოლოფი. აღარ მოუ-
ხედნია ჩემთვის სხივოსანს, და რომ მოეხედნა, მეც აღა-
რა მექნებოდა რა სათქმელი!..

ცოტა ხნის უკან, შემობაჩუნდა მოხუცებული მამა
ჩემი, და მოეხვია მუხლებზე სასწაულ-მომქმედს.

—შევიტყვია მოხუცო, რაც ამბავია.

—ქვეყანა ღალადებს!... კურთხეულ არს უფალი
უფლებათა!..

—შენ საამქვეყნოდ ბექრი აღარა დაგრჩენია რა...
და არ გინდა რომ რამდენიმე წელიწადი გიზიაროს
შვილმა მისის საჩუქრიდან?

—რას მიპრძანებ!.. დავრდომილთა ნუგეშო და
ცოდვილთა სასოო!.. ნეტავი იმდენი დღე მქონდეს,
რომ პირიქით მე დავუთმო და მივუმატო მის წუთის
სოფელს!... მაგრამ თვითონ თქვენ ბრძანეთ, რომ მე
ბეკრი აღარა დამრჩენია რა, ტ ისიც რომ გავანაწილო,
აღარცა რა მე დამრჩება და არცა რა მას მიემატება... .

რაც ღმერთს მისთვის მიუნიჭებია, მისი უნდა უკურნახოდ.

ის რომ წამოდგა დაემხო ზეციური სტუმრის წინ დედაქემი, ააპყრო ხელები მაღლა და ნეტარების ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა დამჯენარ სახეზე...

— ჰოი, ყოვლად სანატრელო და სასიქადულოვ! — შეჰყვირა ხმა-მაღლა — დიდ ორს მომავლინებელი შენი და საკვირველ არიან საქმენი მისნი. იყავნ ნება მისი კურთხეულ ამიერიდგან და უკუნისამდე, ვინც მიანიჭა ჩემს საბრალო შვილს საუკუნის სიცოცხლე! ..

— დიახ, მიანიჭა, მაგრამ პირობით!

— პირობით?! .. რა პირობით?

— თუ ამ ქვეყნად საღმე იშოვნის თავის თავად ათს წელიწადს, მაშინ ნაბრძანები მაქვს მეც ჩემის შერით მივუმატო ოთხმოცდა-ათი, შევუსრულო ასად და დავუმტკიცო.

— მერე?

— ვერ ვიშოვეთ... ერთი წამიც არავინ გაიმეტა! ..

— მე რამდენიმდე დამრჩენია სიცოცხლე?


— სწორედ ათი წელიწადი, არც მეტი არც ნაკლე...

— მაშ მიიღე ჩემგან... მიუმატე და მე განმიტევე მშვიდობით! ... შეევედრა სიხარულით. მე ტანში ურუანტელმა დამიარა... გულმა ძერი დამიწყო, მოვინდომე რომ მივვარდნოდი და მოვხვევოდი... მაგრამ... ამ დროს გამომეღვიძა. დოქტორი მაღდა თავზე და მეკითხებოდა: ძილში შფოთავდი და ხომ არა გაწუხებს რა... მაგდენი ძილიც არას გარებს... აგრე შუადღემ მოატანა! ... მნახულები დიდი ხანია გიცდიანო!



— მნახველები?.. უნდა შემოვიდენ, მეალერსონ?... — მე, მადლობის გადახდით დამღალონ? მეფარი-სევლონ... იმტკუცნონ ღვთისა და კაცის წინა-შე?... არა... არა... ნუ შამოუშვებთ! დაითხოვეთ ყვე-ლა!... საზარელის ხმით შევძახე დოქტორს და კიდევაც დავჭკარე გრძნობა!... მკითხველო თუ იპოვნო ის ჩემი გრძნობა, ნუ გინდა!... ჩემი არ იყოს, ცხოვრებაში ბევრს ვერას გამოგადგება, — შეგაცდენს და მოტყუე-ბული დარჩები.

აბაზი



სცენიდან ნათქვაში.

—
 ბოგოლიონის ბედის-უარსკვდავს
 ქვეუნად ვერა შემდრება:
 მათს სიკეთე-დღეგრძელობას
 სუსტელა ღმერთს ევედრება.

—
 არავის ჰერეს ქვეუნაზე
 მათდევნა შეგობარი!
 უკედას უნდა მათი ნახეა—
 უფრართ მათი საუბარი.

—
 ჭირში, დხირში, სუეთვედგან,
 მზად არიან მისცენ მხარი!
 „ვა შა-ვა შას“ შესძახიან
 და ბანს აძლევს მთა და ბარი.

—
 ქვეუნას მათზე გუდ-უხვობა
 დიდია და სათცარი:
 ცოცხალს ტაში! მკვდარს— გვირგვინი,
 აი, მათი საჩქარი!...

—
 ბოგოლიონის ბედის უარსკვდავს
 ვერა იგერი შემდრება!...
 და მაკვირს რომ ბოგოლობა
 სუსტელას არ ენატრება?!

სტატ.



ებიშვილი

მომქმედნი პირნა:

თავადი ქაქარია — მებატონე.
 გარდენ — ზაქარიას შვილი.
 ნესტორ — ვარდენის მეგობარი აზნაური.
 ტამთოე — შეძლებული გლეხი.
 ნანო — ტიმოთეს ქალი.
 მარანე — ნინოს მამიდა და ვარდენის გამდელი.
 თელორე — ზაქარიას მოურავი.
 სანდორნი — აზნაური.
 განრაელ — დარაჯი-მედუქნე.
 მხედველნი.
 მამასახლეისი.



Ե Ա Պ Ա Խ Ց Ա.

Գրամա 4 მოქმედებად.

ԹՌԱԺԱՂՋԱ ՀՈՒՅԱԼՈ.

Ծօմտայի Խէլո.

Ճհմակեցնա Շուշչեցնա.

(Ծօմտայ յէջառնես Ելիզե, Թարօնյ Վինդաս յետքե).

ԾՈՅԾՈՅ. Ի ա մինչու ամդեն եան հռմ դակցուանց իցենմա մոնագուրցեցմա...

ՑԱԽՈՅՅ. Մարտլա հռմ մալուան դապցուանդատ... զանթա-
մուց ցարուածա... Ի ա վիճա, յորո եռմ առ ցայխ-
պատ?!...

ՑՈՅ. յորո ույ ցայխպատ, եպալամդունաւ զեր մովլցն.
մացրամ գոլունցետան յարց ծակուրու յորո առ ցա-
յխպատ.

ՑԱԽ. յրտո Ի ա սնդա ցոտերա, մմառ: ամ իցեն ծարու-
նու Շվոլս մալուան կո ցայխպատ նագուրուա...

ՑՈՅ. Ցերց Ի ա ցուցուրու?... պմանցոլու, նագուրուա
յեալուսցա, և իցեն Ի ա Շեցցուլու վալուցուն ցըմսանցրու.

- მარ. ეჭ... დიღხანს ამცოფოს უფალმა უზრუნველათ!...
კარგის გულისაა, ყოველისფრით ძვირფასი ყმაწ-
ვილია.
- ტიმ. კარგიო?... რას ამბობ!... მაგისთანა ახალგაზდა
ჩვენში მეორე არ მოიძებნება... ბედნიერია, ჰეშ-
მარიტათ, მაგისი პატრონი.
- მარ. და ის კიდევ უფრო ბედნიერი იქნება, ვისაც ეს
დაუმოყვრდება!...
- ტიმ. მართალია, ვერავინ დაიწუნებს; მაგრამ ჯერ კი
ადრეა ცოლშვილის მოკიდება, ყმაწვილია...
- მარ. რატომ? ჩემი ვარდენი, აგერ ოცდა ორის წლისა
იქნება მალე.
- ტიმ. კუუიანი კაცის ნათქვამია: „აჩქარებითა სოფელი
არავის მოუქამია“... არ ვარგა ადრე ცოლის
შერთვა.
- მარ. დიდი ტუუილი უბრძანებია, თქვენმა მხემ, იმ
კუუიან კაცს... მე პატარაობიდგან სასახლეში ვარ
გაზდილი, ბევრი მაგალითი მინახავს, და გამიგო-
ნია: როცა ყმაწვილი კაცი უცოლოა — სახლში
ვერ ჩერდება, დაიწყებს აქა იქ წანწალს, ლოთო-
ბას და საცხოვრებელს აბნევს! მაგრამ, თუ საყვა-
რელი ცოლი ჰყავს მშვენიერი, კოკორინა, მა-
შინ კი ოჯახს აღარ შორდება და მუშაობასაც
გულს უდებს.
- ტიმ. ისე მედავები თითქოს ამაღამვე გინდოდეს დასწე-
რო ჯვარი შენს გაზდილს!..

მარ. ჯვარის დაწერის როგორ ვიფიქრებ, თორებ
იცოცხლე, მე ქალი მყავდეს... ერთათ რომ დად-
გებიან ხოლმე—გული გამინათლდება და ვამბობ:
ჯანი გავარდეს ქვეყნის წესია და ჩვეულებას, თო-
რებ ამათთანა ერთმანერთისთვის შესაფერი სად
მოინახება-მეტქი!..

ტიმ. მერე ქვეყნის ჩვეულება და წესი რას უშლის?

მარ. ალბათ რომ უშლის.

ტიმ. არ მესმის...

მარ. აი, ვსოდეთ ახლა: ვარდენი ხომ ვერ შეირთავს
ჩვენს ნინოს?!..

ტიმ. რას ამბობ, ქალო?.. ხომ არ გადარეულხარ?..

მარ. მაგას როგორ ვიფიქრებ, თორებ განა არ მომხ-
დარა მაგალითი, რომ თავადის შვილს გლეხის ქ-
ლი შეერთოს ცოლათ?! აბა, რა აკლია ჩემს ნი-
ნუცას!.. თვალ-ტანადობა, ზღილობა, კუუა, თუ
სიტყვა-პასუხი?!.. თავის წესზე სწავლაცა აქვს...
განსვენებული ქალბატონი რამდენჯერ მეტყოდა
ხოლმე: ნეტავი ეს შენი ძმისწული ჩემი ქალიშვი-
ლი იყოსო. მაგისთანა ლამაზი და კაი ხასიათის
გოვო ძვირიაო. ერთი მიწვენონ აპა მაგის-
თანა გახათხვარი ქალი თავადიშვილის ოჯახში!
აბა ეისა ჰყავს უკეთესი?.. მანჭიერი და ამპარტავ-
ნები... ეპ, საცოდავი ჩემი რძალი ტყუილს კი არ
იტყოდა ხოლმე: „რა ეშველება ჩემს ნინოს, სად
მოიძებნება მარისი საკადრისი საჭმრო ჩვენს გლე-
ხოვაშიო!..“ მართალს ამბობდა განსვენებული,
სწორეთ რომ არ მოინახება...

გამოსვლა მეორე.

იგინივე და ნანა.

ნინო. მამა, კიშკრის ხმა ჩამომესმა; სანათი გავუნა-
თოთ, საშინლათ ბნელა გარეთ.

ტიმ. თუ ჩვენი სტუმრებია, ცხენის ფეხის ხმას გაკი-
გონებოთ... ეს რა გიკირავს, შვილო, ხელში?..

ნინო. ყაბალახია, მამა... გუშინ რომ მიბრძანა ვარ-
დენმა შემიკერეო—გავათავე კიდეც... აბა, მამიდა,
ნახე, როგორი გამოვიდა!

მარინე (აიღებს ქაბადასს ხედში და სინჯაჭი). ჩინებულია,
შენმა გაზდამ, ძალიან ლამაზია! დიდათაც დაუი-
მადლებს ჩემი ვარდენი...

ნინო (მსახურდათ). აი, კიდეც მოვიდნენ!..

ვარდენ. მასპინძელო!

ტიმ. (წამოვარდება და კარს უდებს). მოსრქანდით, შენი
კირიმე, ბატონო, მოსრქანდით!

გამოსვლა მესამე.

იგინივე, გარდენ და მისი მხლებელი.

მარ. ჩვენ კი დავიხოცეთ შენის ლოდინით, გენაცვა-
ლე... ამდენს ხანს ტყეში დარჩენა, აბა როგორ
იქნება?!..

ვარ. (მოხვევა გამდება) რა ვქნა, გადია... რომ დამ-
დებოდა, სწორეთ იმ დროს გაფრინდა კორკოცით
უშკელებელი მამალი ხოხობი და წარმოიდგინე



(ნინოს) ჩემმა ქორმა სამჯერ ანაბულა! ხოხოშვილია
არა—ეშმაკი იყო, ის შეჩვენებული!..

ნინო. მერე რა პქენით, ბატონო, დაიკირეთ?

ვარ. იკოცხლე, ჩვენ ის გავძაგრეთ, მაგრამ გადაგვი-
ტანა კი, იმდენი ვსდიეთ. (ნესტონს) კაცო, აღარ
აჩვენებ მასპინძლებს ამ ჩეგნ ნანაღირევს?

ვესტ. დღეს კი კა ხელდაშვენებული დავბრუნდით,
მგონია... (თვედის ხახუჭის) ერთი, ორი, სამი,
ოთხი!..

ნინო. იჸ! იჸ! იჸ!.. ძალიან გინაღირიათ, ძალიან!..

ვარ. შენთვის კი, ნინო, ცალკე საჩქარი მოვიტანე
რაღაცა... სარდიონ, აპა! (სარდიონ გამოიხსნის
კადათადგან ცოცხალ ხახობს, რომელსაც გარდენი გა-
დასცემს ნინოს). სრულიათ ხელუხლებია, შენმა
გაზდამ, მაყინჭოლით ჩამოჟიყვანეთ; რას თრთოდა
საბრალო, ქორი რომ გვერდით უჯდა ხეზე, შე-
გვეცებოდა!..

ნინო. გმადლობ, ბატონო! (შიიჭუბებს ხახობს და ქა-
მჩხლექით ეტევის) საწყალი, რა ლამაზია, რა სა-
შინლათ უძგერს გული!..

ვესტ. არც შენზე ლამაზია, ნინო... ამბობენ: დაჭე-
რილს ხოხოშსა და ქალიშვილ ქალს ხანდისხან
ერთნაირათ უცემთ გულიო...!

ტიმ. (კადაქნებს ხედის) ბატონო, იქნება დაღალული
ბძანდებით და ვაჭამი ინებოთ?

ვარ. (ამოიღებს ხახოს) აღრეა—სულ რვა საათია ჯერ.
ადამის წლის ლამე ჩამოდის, მოვესწრებით ძილს...
დღეს ძალიან კარგს გუნებაზედა ვარ, სწორეთ
მშევნიერი ნაღირობა გვჭონდა.



- ვარ.** ლმერთმა გამხიარულოს, შეილო! ისიამოვნებ, კი დეც დაგვენდება, ყმაწვილი კაცი ხარ!..
- ვარ.** ჩემს დღეში არ დამაციწუდება აქ გატარებული დრო!.. იმედი მაქვს, ჩემო ტიმოთე, მეც დავუმტკიცო შენს ოჯახს ჩემი პატივისცემა და სიუცარული.
- ტიმ.** რას ბძანებთ, ბატონო! ოღონდ შენ კი გასიამოვნოთ, თორემ მეცა და ჩემი ოჯახიც შენი ჭირის სანაცვლო ვიყოთ.
- ნესტ.** დღევანდელმა მარჯვე ნადირობამ ყოველივე დაგვავიწყა. ახლა ცხენების მოვლის დროც არის... (შიდის; თან გაჭერებიან უველანი, გარდა გარდენისა, მარინესი და ნინოსი).
- ვარ.** მარინე, ერთი უბძანე ბიჭს, ხელი დამაპანიოს. (აჩვენებს ხელებს. მარინე გადის, ნინოც თან გაჭმება). არა, მეტი მოთმენა აღარ შემიძლია!.. ან კი რას ვუცდი! გადაწყდეს ბარემ ამაღამ ჩემი ბედი და უბედობა!.. მაგრამ ნინოს რომ არ ვუყვარდე და გულგრილათ მიიღოს ჩემი სიყვარული?!.. მაშინ რაღა მეშველება? არა, არ მჯერა, ნუ თუ ჩემი გული მატყუებს და ტყუილათ მგონია, რომ ნინოსაც ვუყვარვარ!.. (შემთაქვს ბიჭს თუნგი და ტაშტა და მთართმებს გარდენს. ნინოც თან შემთხვევება, ხელში საწულე უჭირავს და გარდენს თავს დაადგება). ოჰ, რა ცივი წყალია!
- ნინო.** ხომ არ გნებავთ, ცეცხლზედ, მოვათბოთ ცოტა?
- ვარ.** არა... (ნინოს საწულეს გამთართმებს. ბიჭს ხელსაბანი გარეთ გააჭეს. გარდენი ხედს იმშრადებს და შეჩერებია ნინოს, რომელსაც ნირსახტვის ბოლო უჭირავს ხელში) ნინო! ერთი ეს მითხარი: იქნება გრძნობ, რომ

შენთვის სათქმელი რამ მაქვს? (ნინთ თავზედუნედია
და ნირსახოცის ფოჩქების ათაშაშების) ნინო, გემის რას
გეუბნები?.. მე გკითხავ, თუ გრძნობ, რომ სათქ-
მელი რამა მაქვს შენთვისა-მეთქი?!

ნინო. (თავს არ იღებს. პრძალვით) რა ვიცი, შენი ვი-
რიმ...

ვარ. მე რომ ორი კვირა აგერ აქა ვარ, იქნება მარ-
თლა ფიქრობდე, ხოხებისათვის დარჩა ამდენს
ხანსაო!?..

ნინო. მე კი ასე მგონია... სხვა რა ვიცი, ბატონი...

ვარ. არ იცი!? არა, შეუძლებელია, არ იცოდე და არ
გრძნობდე, თუ რა ხარ შენ ჩემთვის... ამა, შე-
მომხედე!.. (მოჟეადების თრავე სელებზე სელებს, ნინო
სულ თავზედუნედია). შენი თვალები უფრო მარ-
თლს მეტყვის, ვიდრე შენი ენა, შემომხედე!..
(ნინთ აიწევს თავს... შეაჩერდებიან ცოტას ხანს ერთმა-
ნეთს და ვნება-მორუნედი ვარდენა გადაქვემდევ და დაუწ-
ების ჭოტის. ნინთ სრულდათ ნებდებია ნირვედ წამს...
შემდეგ აუგარდება ტარილა). ეს რა ამბავია!.. ნუ თუ
გაწყენინე! ან იქნება შევცდი!.. თუ ასეა, დარწ-
მუნდი, ჩემს დღეში თვალით არ დაგენახები...

ნინო. (ტარილით). არა... არა... ეს სულ სხვა გრძნო-
ბაა... სული მეხუთება... ლაპარაკი არ შემიძლია...
მერე გეტყვი, მერე...

გამოსვლა მეოთხე

(სმ დროს შემთხვევის ნეტორი, შეწერდება და გაბრენე-
ბის დაბარების. ნანო შეწრაფდა გადას შეთოვ ა-
რებში).

ვარ. შემოდი, ნესტორ! შენთან რა საიდუმლო უნდა
მქონდეს? ნეტორ, უთუოთ მიმხვდარი იყავი, რომ
ეს ქალი მიყვარდა... და ახლაც შენს შემოსვლამ-
დი კიდევ შევატყობინე ჩემი გულის პასუხი...
მცონია მასაც უნდა ვუყვარდე...

ნინ. (ღიმიდით). დღეს ძალიან გამარჯვებით ხარ—გა-
რეთაც და შინაც!..

ვარ. დიალ, ჩემო მეგობარო, მართლა კაი დღეა ჩემ-
თვის... რაღაცა განსხვავებულ სულის სინათლესა
და ნეტარებას ვკრძნობ...

ნინ. მესმის, მესმის შენი გრძნობა..., და უნდა ვსოქვა:
სასიამოვნო სანახავია, როდესაც შენისთანა კარგი
ახალგაზდა მაგისთანა ლამაზ გოვონას შეიკვარებს.
მაგრამ ერთი კი უნდა გითხრა: მაინც და მაინც
რაინდული საქციელი არ არის მასპინძლის ქალის
შეყვარება... და ოჯახის არევა...

ვარ. რას ამბობ, ნესტორ? როკორ არ გრუვენია!..
შენ, ალბათ, არ გემის არც ჩემი გრძნობა და
არც ჩემი განზრახვა!..

ნინ. როკორ არა! მეს მის და, ძალიან კარგადაც მე-
მის... ჯერ შეიკვარება... გეყოლება ერთს ხანს...
შემფიცავ საუკუნო სიყვარულსა და ერთგულებას
და მერე კი, რომ მოგწყინდება, დასტოვებ დეთის

ანაბარათ. მაგრამ ეს ამიხსენი: ნინოსოდეს არის შენი სიყვარული?!.. მაგას საქმრო ჰყავს; იქნება არც კი იცოდე?

355. (გაოცემით) პირველათ მესმის... ვინ?

ნეს. აი ის უმაწვილი, დღეს რომ გვახლდა, სარდიონი.

356. მე ეს არ ვიცოდი...

ნეს. როგორ არა!.. აქ ყველას ისე გონია, რომ ეგ შეირთავს... საკვირველია, რატომ ვერ შეამჩნიე! სარდიონს ძალიან ეტყობა, რომ ნინო უყვარს.

357. სარდიონს კი, ვსოდეთ უყვარს, მაგრამ ნინოს?!..

ნეს. ნინო შორს იქერს თურმე საქმეს... მაგრამ მამა თანახმაა, ამბობს: კაი აზნაური შვილია, თითონ ბიჭიც კარგია, და შექლებას მე მიუსცემო.

358. მერე ნინო რას ამჟობს?!..

ნეს. ნინო კი უარზე სდგისო... მაგრამ იმედი აქვთ, რომ დაიყოლებენ...

359. არა მგონია, ნინომ სარდიონი არჩიოს ჩემ თავი!..

ნეს. როგორ! შენც შერთვას აპირობ თუ?!

360. განა მე ისეთ კაცათ მიცნობ, რომ საპრალო, უმანკო ანგელოზს ქალს გული მოვსტაცო—სიყვარულის თანხმობა დავსტყუო და შემდეგ თავი დავანებო?!.. ძალიან ვწუხვარ, ჩემო ნესტორ, რომ ცუდი განხრახვა შემწამე!..

361. ჰომ... ეგ სულ სხვა ამბავია... მე ეს არ მეგონა... მაგრამ...

362. მაგრამ რა?

ნეს. ისა რომ, ცოტა არ იყოს აჩქარებულხარ!.. სხვა მიზეზეს გარდა მამა შენს რას უპირობ?.. დაფიქრდი კი ამაზედ კარგათ?!

363. (გადაეხვევა). აი, ძმაო, აბა ახლა მევირვება შენი

მეგობრობა!.. უნდა წახვიდე მამა ჩემთან, და გორმე დაითანაზო, რომ ნება მომცეს შევირთო ნინო.

ვეს. ბატონი ხარ, მოციქულობას არ დაგამადლი, შენ-
თვის ცეცხლში ჩავდევბი,—მაგრამ იცოდე, ვარდენ
ეს ძალიან ძნელი საქმეა!.. შენ კარგათ იცი ზა-
ქარიას ხასიათი და აზრი... იმას უნდა სულ სხვა
ქალი შეგროოს... მდიდარი, განათლებული ოჯა-
ხის შვილი...

ვახ. რას ამბობ, ნესტორ! ნინოს გარდა ღმერთმა სხვა
ცოლი ნუ მომცეს!..

ნეს. გარწმუნებ, გულით მოვინდომებ, მაგრამ ნინო-
თან ხომ გათავებული გაქვს საქმე?.. ხომ დარწ-
მუნებული ხარ, რომ იმასაც უყვარხარ და თანა-
ხმაა?.. წელან რომ თვალი მოვკარი ნამტირალევი
იყო... გაიგო კი, რომ შერთვა გინდა იმისი და
ცუდი რამ განზრახვა არა გაქვს?!

ვახ. აპა, მაკას როკორ იფიქრებდა! ნინო უთუოთ
მიხვდა ჩემს აზრს, მარამ რა გვიშირს მოვიხმოთ
და შენ თითონ დარწმუნდები...

ნეს. ნინო, ნინო! ერთს წამს აქ შემოდი!

გამოსვლა მესუთი.

ნესტორ, ნინო და გარდენ

ვახ. (ადგევებული დადის. მარდათ შეიტებია შემოსუდის ნი-
ნოს და მოვიდების ხედს). ჩემო ძვირფასო, ნინო!
აი ამ ჩემს მეგობართან მინდა გაგენდო: აწ უშე-
ნოთ სიცოცხლე ალარ შემიძლია, და თუ შენც

გიყეარვარ და თანახმა ხარ—მე მსურს საუკუნო
 მეგობარი იყო ჩემი და ცოლათ შევირთო. (ნინთ
 სედ თავდასრიდი იუთ და რა ეს სიტეპები გაიგონა,
 თავი ასწია, თვალი თვალში გაუეარა ვარდენს, მივარდა
 და ხელზედ აკოცა).

ვარ. რას შვები, ქალო? შენ კი არა, მე უნდა გიხდი-
 დე მაღლობას, რომ ასეთი უზომო ბედნიერი გამ-
 ხადე. (მაიხუთებს გულზედ და აკოცებს).

გამოსვლა მექანიზმი.

იგინიგე, მართე და ბიჭი (შემოდიან)

მარ. სასახლიდგან ბიჭი მოვიდა, ვარდენ, შენი ჭირიმე!
 ბატონის წიგნი აქვს.

ბიჭი. (მოართმევს წერილს). ბატონმა გაახლოთ.

ვარ. მშვიდობაა ხომ?

ბიჭი. დიალ, ბატონო, მშვიდობით გახლავან.

ვარ. წადი, შეისვენე, დალალული იქნები... (ბიჭი კა-
 დის. წაგნის კითხვაზედ ვარდენი თან და თან მთიწენს;
 დაგუცემს და ჭიბუძი იდებს).

მარ. რა ამბავია, შვილო, ცუდს ხომ არაფერს იწე-
 რება?

ვარ. რა იქნება, გადია!.. მამა ჩემი მწერს: „რას აკე-
 თებ ამდენს ხანს მანდ, ხომ არ გადაყევი ხობებ-
 საო“. რა გაეწყობა, უნდა წავიდე.

მარ. წადი, შვილო, წადი, რაკი გიბრძანებს; მამის
 ურჩიობა არ ვარგა!

გამოსვლა მიზანი.

აგინივე და ტამათვ (შემთხვის)

- ტ08.** ბატონო, ვახშამს აღარ მიირთმევთ! გათენდა...
- ტ09.** ურჩობა არ მინდა, ჩემო გადია, მაგრამ ვაი რომ
ბოლოს მეტი ლონე აღარ იქნეს?.. (გადახედავს
ნეკტორს) წავიდეთ ვახშათ...

გამოსვლა მიზანი.

სარდიონ (შემთხვის. გვედანი გადასწ, გარდა სარდიონის,
რომელიც მივა და ბუხარს მიუკვდება),

- ს01.** როგორ ამეფუშა და ამენგრია ეს უკუღმართი
ცხოვრება?!.. მთელი ჩემი ახალ-გაზლობის ბედი
ერთს წამს გაპქრა... ასე მგონია, გულის ცემა
შემიჩერდა და ტვინი გამიშრა მეთქი... რა იყო,
რა ვნახე!.. სიზმარში ვარ თუ ცხადია?!.. ნინო,
ეს უმანკო არსება, ეს ანგელოზი, რომლის შე-
ხედვასაც კი ვეკრძალებოდი, ჩაკვრია გულში მაგ
განებივრებულ ბატონის შვილს!.. რატომ არ და-
მიბნელდება ეს დასავსები თვალები, (თვალებზე
ხედს მიიდები) მერე კიდევ სხვასთან... რომ ჩემის
თვალით არ მენახა ხომ არ დავიჯერებდი?.. აქ
ხომ აღარც სირცხვილი სიანს, აღარც სინიდისი...
ვიფიქრებდი განა ოდესმე, რომ ასეთ რასმეს ჩაი-
დენდა... ოჭ, ოჭ!..

- ს060.** (შემთხვის მხიარული) ვახშამს გიცდით! ყმაწვილო,
არ მოდიხარ?

სარ. აქ მობრძანდი ერთი... გმადლობ, მე არ გიახლე-
ბიდავინც კარგ გუნებაზე იყოს—იმან მიირთვას...
ლვინოც დააძალე... კარგია ლვინო გაბედულობას
მოუმატებს!..

ნინო. არ მესმის, ყმაწვილო, რაზედ ლაპარაკობ?

სარ. არ გესმის?!.. ეს არ გესმის, რომ უნამუსობა და
უტიფრობაა, როცა შენისთანა ჟალი თავის ბა-
ტონის შვილს ჩაეკვრება გულში და კოცნას და-
უწყებს?!.. ეს არ გესმის, რომ შენის ყოფაქცევით
საბრალო მამიშენის საპატიო ოჯახს არცხვენ და
ჩირქესა სცხებ?!.. თოთონ შენც ხომ გაბაძდები,
გახდები თითოთ საჩვენებელი... დაიღუპები... და
ესეები არ გესმის განა?!. გინდა მე ამიბა თვალი
და გამასულელო, თუ გაგიჟდი?!

ნინო. მერე შენ რა გინდა, რა ჭირისუფალი ხარ
ჩემი?..

სარ. რატომ ვაულ! მარტლის თქმას რა ჭირისუფლო-
ბა უნდა?.. დღემდის, მგონია, უკეთ არ ვიყავი
შენთვის... სხვა ყველა იმედი თუ ჩამიკალ გულში
— ეს მაინც უნდა გახსოვდეს, ნინო, რამდეჯერ
ვითქვამს ჩემთვის: „ძმაო სარდიონო!“

ნინო. დმობა თუ მითქვამს ეგ კიდევ არ გაძლევს მი-
ზეზს, რომ მოძღვარსავით აღსარება მათქმევინო
და გამირისხდე... რა შენი საქმეა, მე როგორ
ვიქცევი?!

სარ. ნახავ, ნინო, მაგისთანა ლაპარაკით რასაც მო-
იგებ? გახსოვდეს თუ შენ თავი არ დაიღუპო!

ნინო. ვნახოთ,..

სარ. დამიფარე, წმიდაო გიორგი! რა მესმის, რა პა-
სუხია... მაშ თუ ასეა, ახლა მე ვიცი, ჩემო ქალ-
ბატონი!.. თუ მე აღარაფერი არა ვარ შენთვის,
კაცი არ ვიქნები, თუ არ დაგამწარე სიცოცლე!..
(მიახედავს ჭარებისაჲნ) და შენ კი, ჩემო თავადო!..
გამიფრთხილდი!..

გამოსვლა მიცხელე.

გარდენ. (შემთდის და, რომ შეხედავს აღელვებულ
ნინოს და სარდიონს, შემრთება).

ფარდა.

მოდენება მორი.

(სცენა წარმოდგების თავადის ზაქარიას დარბაზის),

კამახეული შემოგვა.

მა ქარა და მოურა გა.

ზაქარია (მრაიხესნეო) მერე ეინ ბძანდება, ჩემს ტყეში
რომ შესულა და მიოტრება!

მოურავი. სარდიონ კლდიაშვილი გხლებიათ... ხეების
დაჭრას თქვენი ვირი წაულია—ტყის მცველი გახ-
ლავს მამეთ დაჭრილი...

ზაქ. ტყის მცველი არია დაჭრილი?!..

მოურ. დიალ, ბატონო, აგერ ერთ კვირაზე მეტია—
მაგრამ ვერ გაგიპედეთ მოხსენება... ვკდილობდი
მთავრობის ხელში ჩამეჯდო ის ავაზაკი—სარდიონი,

ზაქ. მერე რა ქენი?

მოურ. ახლა დაჭერილი გახლავს, ორი დღეა, რაც და-
აკავა ბოჭაულმა და ჩვენს კანცალარიაში არია
დამწყვდეული.

ზაქ. რა ფაიდაა!.. ეყოლებით რამდენსამე დღეს და-
კერილი... დახარჯავს და გამოუშეებენ...

მოურ. მეც ახე მგონია, ბატონო... რაც დაიკირეს, მას
აქეთია ყოველს ლამეს იმისი და რომ გახლავსთ,
ნინო, ხმალაძის ქვრივი, ურიდლათ დაიარება იმას-
თან; და ის დედაკაცი ისეთი მარჯვეა, ჩვენებასა
და მოწმეების ისე გამოაწყობს, რომ ვეღარაფერს ვერ
შევუკალო! ძალიან მოხერხებული ქალია!..

ზაქ. მამასახლისი რაღას უყურებს, ავაზაკთან რომ და-
დიან და თათბირობენ?..

მოურ. მამასახლისა გონია, ალბათ, თქვენ ვერ შეუტ-
ყობთ და იმას კი იმაღლიერებს...

ზაქ. მაღლობა ღმერთს, რა დროს მოვესწარი!.. ვი-
ღაცა გაფცენილი აზნაურიშვილი, რომ ჩემს მა-
მულში მიხდებოდეს, კაცებს მიკლავდეს და მე
„საპრისტავოთა“ და სამამასახლისოთ მქონდეს საქმე
გამხდარი?...

მოურ. რა გაეწყოპა, ბატონი, „დრონა მეფებენო“
ნათქვამია... მე ასე მკონია, პირდაპირ „სუდ-
ში“ უნდა შევიტანოთ არა „უფლების დარღვე-
ვაზედ“.

ზაქ. ღმერთმა შენც შეკარცხვინოს და... შენი არა...
სანამ პირში სული მიდგას, მე არავის არ ვუზივ-
ლებ; აქეთ ვაჩიკელებ სხვებს ჩემზედ!.. არა! რო-
გორ გულზე არ გასკდება კაცი!.. მე ზაქარია
ლომიძე უნდა შევეცედრო მართებლობას: მიშვე-
ლეთ, ვიღაცა ბიჭმა ამაოხრა, კაცები დამიხოცა,
მიმადლეთ თქვენს ღმერთს, დამითარეთ მეთქი...
კარგი დრო დადგა, კარგი, თქვენმა მჩემ!.. (ხარ-
ხარებს გესდიანსათ).

მოურ. ძალიან გავიზრებული ვარ, თქვენი რისხვა ნუ
მომეცემა, როგორ გამედა სარდიონმა ამისთანა
საქმე... არ გავდა ურიგო ბიუს... „კამბეზის მარ-
ქენალ ხარს რქები არ შერჩევაო“, ნათქვამია. მა-
გრამ მე აქ სხვა რამესა ვფიქრობ.

ზაქ. აპა, რახა, სთქვი!..

მოურ. ეს სულ ტიმოთეს მოხერხებული უნდა იცოს...
მართალია, მე იმ გლეხის კმაყოფილი არა ვარ—

ჩემი შვილისათვის ქალი ცთხოვე და უარი მითხ-
რა—მაგრამ, მაშინ თქვენს ლალატში გავერიო,
რომ მტრობით რამე მოგახსენო...

ზაქ. განა არ ვიცი!.. მერე?

მოურ. იმას მოგახსენებ, რომ ეს ამბავი სულ ტიმო-
თეს ბრალია... სარდიონი უიმისოთ ლუკმას არ
ჩაიდებს პირში—მამასავით შესცემერის და ყოველ-
თვის იმას ეკითხება... ამზომენ: იმისი ქალის შერ-
თვა უნდა და მამაც თანაჩამა არისო, ამიტომ მო-
გახსენე, რომ აქ იმ ბეპერი ტურის ოინი რამ
უნდა იყოს მეთქი.

ზაქ. ვიცი, ჩემო თედორე, რა ერთგულიც არის ტიკ
მოთე ჩემი! მაგრამ, რას იზამ ამ წყეულს დროში?..

მო. დიდი ხანია, ბატონო, მინდოდა მომებსენებია თქვენ-
თვის, რომ ის გლეხი ერთობ თავგასული გახლავს...
სულ რომ არა ვიუთ რა, მაინც თქვენი მოურავი
გახლავარ, და რომ შემხვდება საყდარზე, ან საცა-
კი ხალხია—ისე მექცევა, თითქოს იმის ტოლი
ვიყო, სულ არაფრათ არ მაგდებს... ძალიან ცუდა
დროს შევესწარით, თქვენი რისხეა არა მაქს...

ზაქ. რაც დრო უნდა იყოს, მე ჩემს აგდებას არ მო-
ვითმენ!.. ვნახოთ აბა!..

მოურ. აქლა, ბატონო, გიზრახვენ. თქვენი შვილი
აგერ ორი კვირაა იმისას სტუმრათ არის და ისე
ეშახურება თურმე, მეფეს ეკადრება... ახლა რომ
თქვენ იმ გლეხის შესახებ რამე ცუდი ინებოთ,
არ ივარგებს...

ზაქ. (ჩაიგიქრდება) მართალს ამბობ, მოურავო... ვიცი,
ვიცი რასაც მოასწავეს ეგ სამსახური და ერთ-
გულება... უთუოთ ტიმოთე ასე ფიქრობს: „დიდი

ბატონი მოხუცდა და აწ ახალგაზდა ბატონს შევაყვარებ „თავსაო“, მაგრამ, თუ მამი ემის შვილი ვარ, დავანანებ ბედს... მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ!..

მოურ. ერთობ თავგასულია, ბატონო, ერთობ!.. აბა ვინ გაასწორა მთა და ბარი!.. რომ მიბძანდე, თქვენ ნუ მომიკვდები, ისე დაგიხვდება, როვორც პირველი ოჯახის თავადის შვილი: ჩაი, დანა-ჩანგალი, ვიქა-აინი, სახლის მორთულობა და მასთან უცვი და წმინდა სუფრა... ერთის სიტყვით, საგანგებოთ გაგიმასპინძლდებათ.

ზაქ. მერე რა ცუდია? ჩემი გლეხი რომ შეძლებული იყოს, ჩემთვის ეს სასიამოვნო არის, საქებიცა და თავმოსაწონებელიც... მაგრამ, ვნახოთ, თუ ჩემის რისხვისაგან დაიფარას ტიმოთეს მისი სიმდიდრე. მე, ღალატს არავის არ შევარჩენ...

მოურ. რაღაც მინდა მოგახსენო ბატონო, მაგრამ მეშინია არ გამიწყრეთ...

ზაქ. სთქვი, რათ გავიწყრები!

მოურ. მოგახსენებენ, ვარდენს ტიმოთეს ქალი შეუყვარდა და ისე შემოაციეს ბადე, რომ... შეიძლება კიდეც შეირთოსო.

ზაქ. რას ბრანდავ, სად გოკო, შეუვარება და სად ცოლათ შერთვა, რა სათქმელია?!.. მე სულაც არ ვუშლი... რა ცუდია, ყმაწვილმა კაცმა ცოტას ხანს თავი შეიტკიოს... მაგრამ ტიმოთეს კი დაესხა თავს ლაფი, რომ თავის ოჯახი შეუვალი ციხე ევონა და იტყოდა ხშირათ: „ჩემი სახლი უდაბნო არის; ზოვიერთი თავადი შვილის ოჯახივით როდია არეული და წამხდარიო!..“ შეიტყოს აქლა

რა უდაპნოც უოფილა... მე, ეს ამბავი კაი ხანია
ვიცოდი, რომ ვარდენს ტიმოთეს ქალი უყვარდა,
მაგრამ რას დავდევდი!..

მოშრ. არაფერს, ბატონო, ისე მოვახსენეთ, ტყუილათ.

გამოსვლა მოორა.

(შემოდის ვარდენ და ნესტორ. ვარდენ შედის და მო-
ქმედება მამს).

ზაქ. მაღლობა ღმერთს, შეილო, რომ მოიფიქრე სახ-
ლში დაბრუნება! ნესტორს გაუმარჯოს!

ვარ. როგორ ბძანდებით, ბატონო მამა ჩემო?.. (ო-
დორეს სადამს ადღევს).

ზაქ. ვარ, შეილო, როგორც შეეფერება ჩემს ხანს...
მოუკდა ზაქარია ლომიძე და უოველი კაცი მე
მედალება, მამულს. მართმევს.

მარ. როგორ შეიძლება?.. ვინ გაბედავს, ბატონო!..
მე არაფერი შემიტყვია.

ზაქ. კიდეც გაბედეს და კიდეც შეიძლეს, შვილო...
მაგრამ ესები შენი საქმე არ არის... როდესაც
ოჯახში ჩადუები, უსიამოქნება მაშინაც გეყოფა!
ახლა მიამართ, როგორ გაატარეთ დრო? როგორ
ინადირეთ?

ვარ. წინებულით, უკეთესი ალარ შეიძლება...

ნინ. ისეთი ხობობა გვეონდა, თქვენ ნუ მომიჯვდე-
ბით, რომ ბევრჯერ ვინატრეთ: ნეტავი ბატონი
ახლა აქ ბძანდებოდეს მეთქი...

ზაქ. მასპინძელი ხომ კარგი გუკლათ, კარგათ გემსა-
ხურათ?



ვარ. ძალიან რიგიანი და შეძლებული ოჯახის კაცი
ყოფილა... ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენებური
გლეხისას ისეთი წესი: სიწმინდე და სიუხვე იქნე-
ბოდა...

ზაქ. კარგია ნადირობაცა და თავის შექცევაც, მაგრამ
ახლა შენ ვაუკაცი ხარ, დროა მომავალს შენს
ცხოვრებაზედაც იფიქრო... სამი დღე გავატერეთ
თავადის ნიკოლოზის მოციქული. მწერდა: „თუ
გავათავებთ საქმეს, ბარემ მოვრეთ ამ აღებამდის,
თორემ ჩემი ქალის მთხოვნელი მრავალი მყავს
და აღარ დავაყოვნებო“... ხომ იცი, შვილო,
როგორი სამოყვრო კაციც არის ნიკოლოზი!؟ სხვა
რომ არა იყოს რა, ხუთასი ქცევა სახნაცი მიწა
აქვს მის ქალს მხითევი... ახლანდელს ჩვენს მდგო-
მარებაში, როდესაც არ ვიცით, როდის გაგვი-
ყიდის ბანკი ყოველისფერს, რაც გაგვაჩნია, დამი-
ჯერე, ძალიან საჭიროა ეს ქორწინება! აპა, იფი-
ქრე, შვილო...

ვარ. მამა ჩემო, მაგაზედ ახლა ლაპარაკი არ შემი-
ლია... ნესტორი ჩემი მევობარია და ეს მოვახსე-
ნებს ყოველივეს (გადის).

ზაქ. ეს რაღა ახალი ამბავია! ჩემი შვილი თითონ
ვერ მეუბნება, რაც სათქმელი აქვს და მოციქუ-
ლი დასკირდა ჩემთან?! რა არის, ნესტორ?! (ნეს-
ტორ შაისედაყს მოურავასაჲნ). მოურავო, დაგვაცა-
დე... (მოურავი გადის).

ვესტ. მე კარგათ მესმის, რა ძნელი და უჩვეულო საქ-
მეც არის, რაც მინდა მოგახსენოთ, მაგრამ თქვე-
ნის ოჯახის ერთგულება მაპედვსნებს...



ზაქ. (გამოვეტინებს). რა საუირთა ეს წინასიტყვას შემდეგ
რაშია საჭე?

ნესტ. ვკურძალე მოგახსენოთ, მაგრამ რადგანაც საქმე
იქამდის არის მისული, რომ მობრუნება აღარ
შეიძლება, ამისათვის გაეპედავ თქმას: თქვენი შეკ-
ლი ვარდენი გთხოვთ, ნერა უბოძოთ, რომ ცოლი
შეირთო!...

ზაქ. მერე მაგას მეცოდიშები, უმაშვილო?! ჩემი სურ-
ვილიც ეს არის. მადლობა ღმერთს, რომ გონიერ
მოსულა; ასევე შევატყობინებ თავადს ნიკო-
ლოზს და ვთხოვ. ქორწილის დღეც მალე დანიშ-
ნოს.

ნესტ. არა, ბატონო, ვარდენი ნიკოლოზის ქალს არ
შეირთავს, მე ვიცი...

ზაქ. რატომ?

ნესტ. იმი' თვის, რომ თქვენს შვილს სხვა ქალი უყ-
ვარს და გთხოვსთ ნერა უბოძოთ: ჯვარი დაიწე-
როს...

ზაქ. მერე ვინ არის ჩემის ოჯახის შესაფერი სასძლო,
მიბაანეთ...

ნესტ. (გაუჭირდება) ვარდენი გთხოვსთ, ნება უბოძოთ
ტიმოთეს ქალი შეირთოს...

ზაქ. (გაოცებით) ვერ ვავიგე კარგათ... ვინ მთხოვს?..
ჩემი შვილი... მერე ვისი ქალის შერთვა ნებავს...
ჩემს შვილს?

ნესტ. ტიმოთე რომ გახლავსთ, შალვაძე, იმის ქალი
ნინო უნდა...

ზაქ. ჩემი დროებით ვალდებული გლეხის ქალი სურს
ჩემს შვილს შეირთოს ცოლათ?.. საუცხოვო ამბა-
ვია, თქვენმა მზემ, საუცხოვო. (აუტეჭება ბესლიანი

სიცილი.) ეს რაღა უბედურება მოვალინა ჩემს
ოჯახს! არა, ერთი მიბანეთ, როდესაც
ჩემი შეილი გავალებდათ მაგ მოკიწულობას, სრულ
ქუაზედ იყო?.. არა, არ მჯერა, რომ ვარდენს
მაგნაირი სიპრიუვე შემოვთვალოს!..

ვესტ. რაც მოგახსენეთ, ბატონო, მერწმუნეთ, უკვე-
ლივე ნამდვილია და, არა მგონია ამისი დაშლა
შეისლებოდეს, გადაწყვეტილი აქვს...

ზაქ. შეუძლებელი რას ქვიან, ყმაწვილო! რამდენს
ქალს ყმაწვილი კაცი გაეხუმრება, განა ყველა
უნდა შეირთოს?

ვეს. ალბათ თქვენს შეილს რაიმე მოვალეობა აწევს
სინიდისის წინაშე?..

ზაქ. მერე, შენ როგორ მოგწონს ეს საქმე?

ვეს. მოწონებით არც მე მოგწონს, მაგრამ რა გაეწ-
ყობა!..

ზაქ. ისა რომ, სანამ ცოკხალი ვარ და ზაქარია ლო-
მიქეს მექანიან, ჩემ რ'ლად, ჩემისაც გლეხის ქალს
არ მოვიყვან!.. ვნახოთ, აბა, როგორ შეირთავს...
აი, ახლანდებლი განათლება, თავისუფლება და თა-
ნასწორობა, როგორცა სწერენ ვაზეთებში... აი,
შედევი ამ საქებურის თავისუფლებისა და თანა-
სწორობისა... ტიმოთეს ქალი უნდა გახდეს ჩემის
ოჯახის პატრონათ და ბატონათ!.. ღმერთმა შე-
არცხვინოს ამნაირი განათლებაცა და ამნაირი
დროც... ვიფიქრებდი განა ოდესე, რომ ამ დღეს
მოკესტრებოდი! აჲ, ღმერთო, ღმერთო, რა და-
გიშავე!

ვეს. დამშვიდდით ბატონო... გაიხსენეთ, რომ თქვენც
ყოფილხართ უმაწვილი, თქვენც გყვარებიათ ქალი

და, უთუოთ, იმ წამს ყოველივეს შესწირულზე
 სიცარულს... განა არ მოგეხსენებათ, რომ შეყ-
 ვარებული იდამიანი და დამთერალი—ორივე ერ-
 თია. ძალით ვერაფერს გააწყო? კაცი; ისე სჯო-
 ბია დამშვიდდეთ და გულდაწყნარებული განსხ-
 ვოთ... რომ მობრუნება შეიძლებოდეს ამ საქმისა
 არც მე გირჩევთ დაეთანხმოთ, მაგრამ ვარდენი
 გაშმაგვებულია იმ ქალის სიცარულით... ამასთან,
 ერთიც უნდა მოგახსენოთ—ოღონდ გლეხის ქა-
 ლია, თორემ უკეთეს გასათხოვაა ქალს ახლა მე
 არ ვხედავ. დარწმუნდით, ყოველისფერ სიკეოეს
 დაიშვენებს და მოუტდება კიდევა...

ზაქ. (ჟვარის) ხომ არ გაგიუდი, ყმაწვილო! მართლა
 გინდა დამაჯერო, რომ ნება მივცე ჩემს შვილს ამ
 სამარტვინო ქორწინებისა, თუ როგორ არის შენი
 საქმე! დღეს ყველანი გაგიუდით... მომშორდი,
 ბატონო, ამ ჩემ ოჯახში აღარ მასენებთ, თუ რა
 ამბავია!.. მე უფრო ვიცი, რა სჯობიაჩემთვის და
 ჩემის ოჯახისათვის... მგონია აქ მე ვარ ბატონი...
 (გარდენ შემთხვის).

ზარ. (ადედვებული) რა ამბავია, მამა'ემო? ამ კაცს რას
 ერთი? თუ რამე გნებავს, მე მიბაძნე!..

ზაქ. (მჯაფრათ). მაშ ეს მართლია, რომ შენ ტიმოთეს
 ქალი გინდა შეირთო?

ზარ. დიალ, ბატონო, ეს ჩემი გადაწყვეტილი აზრია.

ზაქ. (მოდიბება). მერე, ყმაწვილო, თუ ცოლის შერთვა
 გინდოდა, უკეთესი ვერავინ მონახე, რომ შენი
 გლეხის ქალს არ გადაკიდებოდი! ვინ, არის, რომ
 ჩემს შვილს ქალს დაუჭერდა!.. აი, თავადი ნიკო-
 ლოზ, თითონ მეხვეწება, დამიმოყვრდით და მოე-



ლი თავისი ქონება უნდა გადასცეს თავისი საზოგადოებრივია
აქლავე. რატომ იმ ქალს არ ირთავ?

ვარ. იმისთვის, ბატონო, რომ ის ქალი მე არ მიყვარს!..

ზაქ. რა ვიცი, ძალიან კი ეტრფიალებოდი, აქ რომ
გამოიარეს, ამას წინეთ და...

ვარდენ. გაიგე, მამაჩემო, რომ ის ტრფიალება სხვა
იყო, და ეს სულ სხვა გრძენობაა...

ზაქ. კი, მაგრამ, მამაშენი რომ არ და ეთანხმოს, მა-
შინ რას ინებებ? კაი ხუმრობაა, თუ ფიქრობ, ვი-
ღიაც გოგო მოგაყენინო აქ, ჩემს ძველს ოჯახში
და რძლათ დაგისმევინო?! (გამოიცელის კილოს,
ტექსტის). ვარდენ, შვილო! ნუ თუ მამაშენი, რო-
მელმაც შენ შემოგწირა თავის სიყმაწვილე, აღა-
რასფერი არ გაუვა შენთან?.. არ მჯერა, შვილო,
ასე მომიტულო და სამარცხვინო ცოლ-ქმრობაზე
გასცვალო მამიშენის პატივიცემა და სიყვარუ-
ლი .. არა, არ მჯერა...: შენ ყოველთუის კარგი
შვილი იყავი...

ვარ. დავანებოთ თავი, მამაჩემო, ამაზედ ლაპარაკის: ვინ
არის ჩეენში მართალი—თქვენ, თუ მე? იქნება
თქვენ მართალიც იყოთ, იქნება ცუდს საქმესა
ვშეკრებოდე, მაგრამ, გაიგეთ, არ შემილია სხვა-
ნირად მოვიცე...

ზაქ. რატომ, შვილო?

ვარ. იმიტომ, რომ მიყვარს!..

ზაქ. მერე, შენ გვიჩვით ეს სიყვარული დიდხანს გაგ-
უვება? ნუ თუ წუთიერს გულის-თქმას და მორე-
ულს ვნებათა-ღელვას უნდა შესწირო შენი მო-
მავალი, შენი ოჯახისა და მამის სახელი!

- ვარ.** ვთქვათ, რაცა ბძანეთ, სწორეთ ასეა. მერე, გჯინ
თქვენ გგონიათ, რომ ჩემს ცოლს თქვენ საპატ-
რონოთ მოვიყვან და მით დაგირღვევთ თქვენის
ოჯახის მყუდროებას? დამშვიდდით, ბატონო, მე
თუ ცოლს შევირთავ, ბინასაც ვიშოვი...
- ზაქ.** მაშ გათავებულია?!.. არ გინდა შეიბრალო შენი
მოხუცებული მამა! გინდა უკანასკნელი დღე გა-
მიმწარო და შემარცხვინო!!..
- ვარ.** რა ვქნა, მამა, გვიან არის...
- ზაქ.** (უერთო გამოიცვდას კიდეს) რადგანაც ასეა, მაშ
კარგი!.. შეიტყო, რომ შენი საცოლო ცუდი ყო-
ფაქცევის ქალია... რომ დაკვირვებოდი, უთუოთ
შეამნეკდი. არ მინდოდა მეოქვა, ყვაწვილი ხარ,
შეგაწუქებს, მაგრამ რა ვქნა!
- ვარ.** (ადედევებული). რას ბძანებ, მამაჩემო! როგორ გე-
კადრება ასეთი უმსგავსო ჭორის მოგონება?!..
- ზაქ.** დარწმუნდი, არ გეტყოდი უსაბუთოთ, ვიცი არ
დამიჯერებ...
- ვარ.** საბუთი?!
- ზაქ.** დიალ, საბუთი... საბუთი... ვითომ, რა ძალიან
გაგიკვირდა ქალისაგან ღალატი!..
- ვარ.** არა, ეს შეუძლებელია, საძაგელი ცილისწამებაა,
უკადრისი და უაზრო!..
- ზაქ.** (გუდმოსეულსავით). გნებავს, დაგიმტკიცო?
- ვარ.** არა თუ მნებავს—ვთხოულობ!..
- ზაქ.** მაშ დამაცადე რამდენიმე დღე და თითონ დაი-
ნახავ, როგორ თვალ-აბმული ხარ?
- ვარ.** (სასახარჟვეთიდებით). მოდი ახლა და გააძელ ამის-
თანა ხახლში! (გადასახლება და ნესტორ გადასახ). არა
- ზაქ.** ბიკო! (შემოდის ბიჭი) მარინეს დამიძახე, აქ მო-

ვიდეს!.. (მიწი გადის) აი, ატლანტელი გარშემოწევა
ბული კაცები... ჰეი, ჰეი! როგორ უკულმა დატ-
რიალდა ჩემი განზრახვა და იმედები!.. ვფიქრობ-
დი, ჩემს ვარდენს მდიდარს ქალს შევრთავ, ვალებს
გადავიხდი, ოჯახს და სახლ-კარს გავამშენიერებ,
ისე რომ მტერს თვალი დაუდგეს მეთქი.. და ამე-
გბის მაგივრად, ჩემი იმედი ვაჟი-შვილი ნებასა
მოხვეს, რომ გლეხის ქალი შეირთოს ცოლათ!..
ოხ! ოხ!.. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან... თუ
ეს ეშმაკი დედა-კაცი მარინე ჩემსკენ იქნა, ისეთ
ხაფუნქს მოვუწყობ, ვარდენისთანა ყმაწვილი კი
არა, უფრო გამოცდილი კაციც გაებას!.. (შემო-
დის მარინე) შენ, ქალპატონო, ჩემი ოჯახის ლალა-
ტში შედიარ?! ამდენს ხანს იმისთვის გააჩერეთ
ჩემი შვილი თქვენსა, რომ შენი ტმის-წული გაე-
რიგებინა ცოლათ?!.. შენ კი წინ და წინ ამო-
ბქანდი, ვითომ და მე არაფერს შეუაში ვარო!

მარ. (გათცემით). რას ბანებთ, ბატონო! ვინ მოვახდენა
მაგისთანა ახირებული ამბავი! სად თქვენი შეილი
— სად ჩემი ძმისწული, რა სათქმელია?..

ზაქ. არა, მე ვერ გამაცურებ, ეს შენი და შენი ეშმა-
კი ტმის მოხერხებულია... თქვენი მანქანებაა,
კუდიანო!.. მაგრამ გაფრთხილებ, მარინე! მე რომ
გული მომივა, ცუდია, ძალიან ცუდი! იმ შენი
ტმის ნამოსახლებელ ტურებს დავაწყებინებ ჩხავილს
და თითონ ბატონს ტიმოთეს ციმბირში ამოვა-
კოფინებ თავს!.. ღმერთო კი მომკალი! როგორ
გამიპედეთ, როგორ ამიგდეთ ასე მასხარათ?!.. გა-
ვენებთ თქვენ სეირს, თუ მამიჩემის შეილი ვარ!

მარ. თუნდა მომკლათ, ბატონო, მაინც ვერ დაიჯე-
რებ, რომ ეს მართალი იყოს...

- ზაქ. გაგიუდი, დედაკაცო, თუ? თითონ ვარდენმა შით-
ხრა ყოველისფერი თავის პირით... არც აქა
გჯერა?!.. „ტიმოთეს ქალი ნინო უნდა შეკირთო,
უთუოთ, და ნება მომეციო“ გეხმის?..

შარ. ასე მგონია, თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, სიზ-
მარში ვიყო...

ზაქ. (გამთაცვლის ხმის და უფრთ ღმობისერათ.) მარინე,
ერთბელ შენ ჩემი ოჯახის ერთგული იყავი...

შარ. ახლაც ისე ვარ ამ სულს ვფიცავ. (მიაღებს არ
თათხ ტუჩებზედ).

ზაქ. მაშ, თუ მართალს მეუბნები, დამიმტკიცე საქ-
მით.

შარ. მიბძანე, ბატონო...

ზაქ. იცოდე კი, ერთი ნამცეცი ლალატი და სიცრუტი
რომ შეგამჩნიო, არც შენს სამსახურს გავიხსენებ
და, არც შენს წლოვანებას! იმ შენს დიდებულს
ოჯახს და სახლ-კარს ერთიანათ დავანგრევ და
დავბუგავ. ხოლო შენ... სამათხოვროთ გაგადებ
გარეთ და ეთრიო სოფელ-სოფელ! ეს ტუუილი
მუქარა არ გეგონოს. მე ერთი შვილი მყავს და
იმის ბედნიერებისათვის არავის არ დავხოგავ!..

შარ. (შეშანებულდა.) რა ვქნა მე ბედშავმა! რა წყალში
ჩავარდე! თუ მიბრძანებ იმ უბედურ გოგოს ჰაში
ჩავაგდებ... თქვენს ოჯახს შემოველოს ჩემი თავი-
ცა და ჩემიანებისაცა.

ზაქ. აბა, იფიქრე, მარინე, ჰკუიანი დედაკაცი ხარ,
თუ ემსგავსება რასმეს ჩემი და ტიმოთეს დამოყვ-
რება?!

შარ. რა საოქმელია, ბატონო...

ზაქ. მაშ აქა წადი შინ და ისე მოაწყვე საქმე, რომ

Սարդուռնի ზեց պատշաճ ճակատ մմուսմա ճամ նոնոմ...

ճոնո վզօս եռմ սարդուռնիս ճամ?

թահ. (Հառույցներ.) ճուալ, ծարոնո... զուելցեծո... մարա...

թաժ. (Մայզը արյուն). մարա, ռա! աելացը զանեարց ցանա?!

թահ. զուելցեծո մյույգո, մոցաեսեցնց, մարա առ մյեմուս, ռա սայնորուս!..

թաժ. ռա սայնորուս առուս—յև հյուս սայմաց!..

թահ. զեցուցեծո, ծարոնո, զացչազնո...

թաժ. զեցուցեծո հռմյուլուս! պատշաճ նեց-լամ սարդուռնիս ճամ ճակատ տացուսու ճարուսալցելցու մմա... Շեն ու մոռնջումցէ, ռա ոյնցիւ, հռմ առ մոաեցրես!..

թահ. զարցո, ծարոնո, զացչազնո...

թաժ. մազաս ցարձա, Շենուս մմուս-բյուլուս կեցնուու ճառնացրուու պահանձու մազու բյացուցես սարդուռնիս ճա, շյեմուս?

թահ. ցացոց, ծարոնո!..

թաժ. մա՛ աելա բյացու ճա սուրպա օրացիւտան բյամոցը պաւագուցես! շյեմուս? տուրքմ սրա կեցնուս կուգչու մոցածամ ճա ուսց ճազացլուտունց Շենս տացւ. (մարոնց զագուս). տուրքու ամաս „նյմուու կուլա վզօս“, մացրամ Շեն եց-ճազ, մամառ նեցուցրո, հռմ Շզուլուս և ուցարուցլու-սատցուս հացագուար ամ պահցաս (աճուշյութնելուն). Շյե-մոնց պահցալու, պահցալու մոխիպալցու!.. մաշրամ... հռցուր մոմուլծա ցուլու!.. ուլունճ հյուս ոչչանո կո ցագացարինու ամ Շյուրակենցուաս ճա պահցալու-ցուցրո մեծարուցեծա!.. մա՛ ցնաճատ աելա, հյուս հցուր-ցասու Շզուլու, հռցուր ցամոցադցեծա մամուՇենուս պահինծա!

գարդա.

მოძღვანება მესამე.

გამოსვლა შირველი.

სცენა წარმოადგენს სთვლის კანცელარიას, რომელსაც გქედი აივანი აქვს. წინ ქზთა, აქა-იქ ხეები. ცოტა შარტხისათ დადი ცაცხია, ამ სეს ამთვარებია ნესტორ და მოურავი. კანცელარიას საპატიომრო თოახია აქვს რკინის სარკმლებიანი; აივანზე ზის ნაბიჯიანი დარჩეული თოვლით და სივეჯებს, მთვარიანი დამუა.

გარდენ (შემთხვის)

ვარ. აი სანამდის მიმიკვანა გულში ჩაწვეთე? ულმა იკვემა. რას დავეძებ და რა მინდა შევიტყო? ნინო, ეს სინათლე ჩემის სულისა, ეს კეშმარიტი უმანკოება „გლალატობსო“, მიბძანა მამა-ჩემმა და მეც მოვსულვარ, რომ ჩემის ოვალით ვნახო ეს ლალატი. ლმერთო, რა სიმდაბლემდის დავეცი და რას ჩავდივარ! მე, რომელსაც გუშინ ნინოზედ უკეთესი არა გამანდა რა, რომლის სიყარული მასულდგმულებდა და ზეცას ავყავდი ნეტარებით, ახლა მოვსულვარ მზეერავათ და სხივს მართლისას დავეძებ ამ წყვდიადში! საპრალო ქალო! შენალულო და შეგინებულო! ტყუილი კი არ უთქვამს ინგლისის დიდებულ პოეტს ქალზედ: „თოვლზედ სპეტაკი რომ იყო და ყინულზედ გულციერი, ცილის წამებას მაინც ვერ ასცდებიო“ მხოლოთ ახლა ვგრძნობ რამდენათ მართალია ეს



სიტყვები... მაგრამ დავიცადოთ, საცაა გამოაშეკა-
რავდება ყოველივე...

- 306.** მოურავო, ძალიან დაივიანა იმ ქალმა; იქნება ამაღამ არც კი მოვიდეს? დარწმუნებული ხარ, რომ ბეჯითათ დადის ტიმოთეს ქალი სარდიონთან?

307. (მოდის ამათან). რასა ბძანებ! განა რომ ბეჯითათ არა სცოდნოდა ბატონს ზაქარიას, ამ სიშორეზედ ტყუილათ გამოვვეზავნიდა?

308. არა! არ მჯერა, არა, რომ ნინო მე მღალატობდეს!..

309. ღმერთმა ქმნას, რომ ტყუილი გამოდგეს, მაგრამ ამაღამ რომ ვერა ვნახოთ-რა, ამას იკმარებ?

310. სრულიათ... და დავრწმუნდები, რომ თითონ მე ვყოფილვარ საზიღარი, რადგან ასეთი იქვი შექმნარა გულს...

311. და ეგ არის ძნელი, რომ იქვი დაგბადებია და რავი ერთხელ ფეხი მოიდგა ამ გრძნობამ შენს გულში, ძალიან ძნელია მისი ამოფევრა. რაც უნდა ძალა დაატანო თავს, ის მაინც თავისას არ იშლის და კიახავით ხრავს ადამიანის გულს! მე ეს ცეცხლი გამომიცდია და ვიცი რაც არის შეყვარებულის იკვიანობა! (ამ ღრმას საპატიოროს კარები გააღება და გამოჩნდება სარდიონი).

312. სსუ! რაღაცა ამბავია!..

313. (ერთხენს ჩუმათ იხედება გარეთ რაბინებზედ ხელჩვდებულია, შემდგა დაიწევდეს ხევდიასთა დიდისნ: „ჩემთ იავთ ბეჭი არ გაიწერას“-ს. სიმღერის შემდეგ დაიძისება): გაბრიელ, გაბრიელ!

314. (უბისა გამოცდებება) რა გნებავს.

- სარ. რას შვრები, კაცო, გძინავს!
- გაბ. აბა, რა გავაკეთო?
- სარ. შენისთანა დარაჯს კი რა უთხრა! ბიჭო, რომ
ამ გავიძეცე?
- გაბ. გაქცევა რას გიშველის, თორემ მე არ გაკავებ!
- სარ. ამბავი ხომ არა გაგიგია რა, გაპრიელ?
- გაბ. რა ამპავი?
- სარ. გამომძიებელი თუ ჩამოსულა?
- გაბ. დიალ, ჩამოსულა და ჩვენებაც ჩამოურთმევია და-
კრილისათვის.
- სარ. მერე, რა უთქვამს, თუ შეიტყვე?
- გაბ. აბა, კარგს რას ეტუოდა ის კაცი, რომელსაც
თოფი ესროლე და დასცერი!
- სარ. ღმერთი ხომ მოწამეა, ზრალი არა მაქვს... ვუძა-
ხე: „დამეთხოვე, ადამიანო, შენთან რა საქმე მაჟვს,
თავს ნუ შემაკლავ“ მეთქი! არა გამოვიდა რა!
დავასწარ, თორემ ბეჯითათ მომკლავდა.
- გაბ. ექიმს უთქვამს: საშიშარი არა აქვს რაო... ბატონ
კნიაზს წერილი გაუგზავნია გამომძიებელისათვის.
- სარ. რის თაობაზედ?
- გაბ. შენზედა სწერს თურმე: „თუ სარდიონ კლდია-
შვილი თავდებით გამოუშევი, მთავრობასთან ავა-
ლო და მაშინ—ან შენ იქნები და ან მეო! მაგას
გარდა ტიმოთეს დამუქრებია, თუ თავდებათ დაუ-
დექი სარდიონსო.
- სარ. ძალიან ვაუკაცობაა მე შენ გითხრა, ჩემი მორევა
იმისთანა კაცისაგან... ეს, ძალი კი ჩაკვდა ამის-
თანა სიცოცხლეს!.. ბარემ მოკვეკალი იმ ოჯან-
დაქცეულს!..

- გაბ. (გაზმორები) ეჭ, ეჭ, ეჭ, რა ვქნათ, ბატონო, ასეა
ეს სოფელი: დიდი პატარას ერევა! მოდი ერთი
დუქანში შევიდე...
- სარ. მერე რისა გეშინია, წადი. მართლა ხომ არა
გვანია, რომ გავიცევი.
- გაბ. არა, მეშინია მამასახლისმა არ მომასწროს და ხა-
თაბალა რამ არ ამიტეოს, დარაჯობას თვით რათ
დაანებეო?!.
- სარ. დარღი ნუ გაქვს, წადი, მე გავცემ პასუხს მამა.
სახლისს, მე და ის მოვრიგდებით.
- გაბ. მაშ წავალ... თუ მოვიდეს შენ იცი... მალე დავ-
ბრუნდები... (გადის. სარდიონ დაწყების „ჩემი თავი
ბეჭი არ გიწერას“-ს; ამ დროს შემთვდენ აიგანზედ
მამასახლისი და სარდიონის და ნახო. ვარდენს გამო-
სვდა უნდა, მაგრამ ნესტორი და მოურავი არ უმ-
ებებ).
- ნეს. თუ აქარდი ვეღარაფერს ვერ შევიტყობოთ...
- მოურ. ბატონო, ცოტა მოთმინება იქონიეთ და მალე
დარწმუნდებით, რომ მამათქვენის ნათქვამი მარ-
თალია...

გამოსვლა მიორე.

სარდიონ, მამასახლისი და ნიხოვ.

- სარ. (დაცემულდება და იცნობს დას) ნინო! ნინო ხარ შენ!
ოჭ, შენ კი გენაცვალოს შენი სარდიონ! რა კარგ
დოროს მოხვედი!.. (მამასახლისი ადებს სახატამრის
კარების. სარდიონ გამოდის, მიებისუბა დას, გადაეხვევა).

მამასახლისი. სუჯ! კაცო, ხომ არ გაგიერებულხარ, რა
გაყვირებს! იცი რა მომელის, რომ შემიტყონ ეს
ამბავი? ტიშბირს არ მაკმარებენ! მაგრამ რაც იქ-
ნება, იქნეს! ოქვენის საცოდვაობით გული მიკუ-
დება. მაშ მალე მოილაპარაკეთ; მანამ მე დუ-
ქანში შევალ.

სარ. გმაღლობ, ღმერთმა გადაგიხადოს მავიერი ჰატი-ვისცემა. თუ გადავრჩი, გემსახურები; იქ დუქანში გაბრიელ დაგხვდება და ნუ გაუწყრები, ეს-ეს არის წავიდა.

ବୀର. କାର୍ଗି, ଏଠା ଉତ୍ତାପ୍ତି... (ଶବ୍ଦରେ ଓ ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଲେଖକ
ମାନୁଷ).

მოურ. აქლა თომ თქ-ენი თვალით ნახეთ, მაღლობა
ლმერთს!.. კალს, ბატონო, არაფერი. არ დაეჭირ-
ტება.

ნესტ. კმარა, ოედორე, რაღა საჭიროა ამის ლაპარაკი,
განა ვერა ვხედავთ, რაც ამბავია!..

856. ვხედავ, ვხედავ, როკორ დაბრმავებული ვყო-
ფილვარ... გამიშეით, შევალ... ოჭ, ღმერთო,
რისთვის მომაღწევინე დღემდის!.. მაშ ასე, ჩემო
ქალბატონო, კარგი!.. (მადის, ნებითო და მოურავდა
აჩერებენ).

606. ვარდენ, შენი ჰირიმე, გონს მოდი, არ გეკადრება, რომ ვიღაც გოგოსა და ბიჭის გამო ხაქვეუნოს კანდალი მოახდინო... დაანებე თავი, ამოირეცხე მაგ გარყვნილ ქალის სიცვარული გულიდგან. წავიდეთ...

356. ଏହା, ଯୁଦ୍ଧରେ ଜୀବନ, ଜାମିଯୁଗ!..
(କିଛି-କିଛିବେ କିମ୍ବରିବେ).

606. აღარა ღირს აქ დარენა, დამიჯერე! ხომ აიღი,
 ვარდენ, როგორ მიყვარხარ და რა ერთგულიცა
 ვარ შენი, წავიდეთ... აგერ აქ კაცია, რომელსაც
 ცხენები უჭირავს და გამოვკითხოთ. (შიდას ბაჭ-
 თან, რომელსაც ცხენები უჭირავს ხის ძირში).
607. ბიჭო, ვისია ეს ცხენები?
608. ტიმოთე შალვაძის გახლავთ, ბატონო.
609. მერე აქ რა უნდა?.. ეს ქალის უნაგირი რაღაა?
 ვინ მოიცვანე?
610. ეს, ბატონო, ტიმოთეს ქალი გახლავთ, ნინო,
 ვიღაც ტუსალის სანახავათ.
611. ამის მეტათ ხომ არა ყოფილა?
612. როგორ არა, ბატონო, ხშირად დადის.
613. (იცინის შესრულება) აი, . ეს არის ქალის უმანკოება
 და სიმართლე! ოჟ, რა სატანჯველია!.. ახლა კი
 წავიდეთ...

ფარდა.

მოქმედება მიღოთხე.

გამოსხლა შერგები.

ბზაზე დუქნია, ერთ სუფრაზე ეზოში სხედან გარენ და ნებითი).

606. საკურველია შენი საქმე, რა დაგემართა! ავათ
ხომ არა ხარ?

607. არა, როგორდაც ქეიფზედ არა ვარ...

608. ქალაქში კარგათ იყავი?

609. უნდა გითხრა, ძალიან ცუდ გუნდებაზეთ დაუდე-
ქი... ვგონებ, ნაცნობი ალაგები რომ დავინახე,
იმან მომავონა წარსული დრო და დარდები ამე-
შალა...

610. როგორ არ გრცხვენია, რომ აღარ გაათავე ეს
ძველი ამბავი?.. აკი ამბობდი, სრულიათ მოვრ-
ჩიო!.. შე დალოცვილის შვილო, ამდენს ხანს კა-
ცი საყვარელ ცოლს გამოიკლოვებდა, და შენ რა
დაგემართა, რომ ერთს სოფლის გოგოს გადაყევი!..

611. არც მე მინდა, მაკრამ რა ვქნა, რომ ვერ დავი-
ვიწყე; რომ ველარაფერი ვერ მოკუხერებ ამ ოხერ
გულს!.. შენ რა ვგონია?! ამ ორ თვეს გიჟივით
რატომ ვქეიფობდი? სწორეთ იმიტომ, რომ მინ-
დოდა თავი დავიწყებისთვის მიმეცა; მინდოდა ნი-
ადაკ ბურანში ვყოფილიყა, თორებ რასა ჰგავდა
ჩემი ყოფაცცევა ამ ხანებში! დღე სადმე სარდა-
ფში ან ბალში უნდა დავმოკრალვიყავით, მერე



უნდა ჩავმატდარვიყავით „ფაეტონში“ და გილერეა...
ვით გვეცენებინა... საღამოს ძალზედ ნაღვინევები
ან თეატრში შეეცვინდებოდით, ან საღმე ნაცნობ
ოჯახში... გალექტებულნი, გამხეცებულნი... უკე-
ლანი სწუხდენ, უთუოთ ჩვენს ასეთს ყოფის და
გვერიდებოდენ... შენ გვინია, ნესტორ, მე არ
მესმოდა, რომ ასეთი ქცევა უკადრისი და უმსგავ-
სო იქნი.. მაგრამ რას კიზამდი!.. გვუბნები, მინ-
დოდა დამეციწყა პოველიფერი... სხვებიცა და ჩემი
თავიც... ასე რო არ მექნა, ბეჭითათ, ან მოვკვ-
დებოდი, ან გავგიჟდებოდი.

306. კარგი. შენი ჰირიმე, ვარდენ, დაანებე მაგ წყეულ
ამბავს თავი... აგერ შინ მიკალთ, ცოტა შევის-
ვენოთ და მერე სანადიროთ რომ დაგვპატიჟეს,
იქ წავიდეთ, ძალიან შეიქცევ თავს... ნადირობაც
ჩინებული გვეწება და დროს გატარებაც... ამბო-
ბენ: იმ აქლო-მახლო სოფლებში მრავალი მშვე-
ნიერი ქალია, იქნება ღმერთმა ქნას, მოგეწონოს
ვინმე... და შევიყვარდეს კიდეცა.

307. არა, ნესტორ, ჩემი სიყვარული გათავდა... გა-
თავდა სამუდამოთ. მე აქლა აღარც სიყვარული
მრწამს და აღარც იმისი სიწმინდე... განა წარმო-
ვიდგენდი ოდენმე, რომ ნინო მე მიღალატებდა
და სხვაზედ გამცვლიდა!?. არა, მე და სარდიონი
ამ ქცეუნათ ერთათ მაინც არ ვივარგებთ...

გამოცვლა მეორე

შემდის შედეუქნე და სარდიონ. (სარდიონ გაიღდის ისე,
თათქმის ვერა ხედავს ვარდებს, შედის და შთოს სუბ-
რაზედ ჭდება).

308. (შემრთება) ჰა, ესეც მობძანდა!



၆၀၆. დამშვიდდი, ვარდენ, შენი ჭირიმე, რა შენი საქართველოს
მაგას თავი გაუტოლო?!
၆၀၇. არა, უნდა გამოცელაპარაკო!
၆၀၈. გევედრები, ვარდენ, თავი დაანებე, დაწყნარდი!
სხვა დროს, როდესაც გნებავს, რაც გინდა ისა
ქენ, ოღონდ ამ დუქანში არა შეგვმოხვეს რა! შე-
ნი ოჯახის შეილი და დუქანში სხუბი, აბა იფიქრე,
რას ემსგავსება?..
၆၀၉. კარგი, კარგი, მართალს ამბობ... გავუძლოთ
ამასაც...
၆၁၀. ბიჭო, შენ როდის გააღე ეს დუქანი? დაგწყევ-
ლოს ღმერთმა, ხან სოფლის დარაჯი ხარ და ხან
პირველი სოელაგარი!.. შენსას კაცი უერაფერს
გაიგებს.
၆၁၁. შენი დარაჯი რომ ვიყავი, მაშინაც მქონდა
დუქანი, მაგრამ სოფლის სამსახურის რიგმა მომი-
წია და იმიტომ გახლდი იქ. წელიწადში ორჯერ
შემხვდება ხოლმე და მაშინ მეტი ღონე არ
არის, დუქანში ჩემ მაგიერათ სხვა ვინმე უნდა
დაეტოვო.
၆၁၂. ძალიან მაღლობელი ვარ შენი; შენ რომ არ
კოფილიყავ, ვეონებ, იმ საქმიდგან თავს ვერ და-
ვისხნილი.
၆၁၃. ჩემი კი არა, ჯერ ლვობა და მერე შენის დის
მაღლობელი უნდა იყო. ძალიან მოხერხებული
ქალია ის შენი და, მე და ჩემმა ღმერთმა.
၆၁၄. ეს, ჩემო გაბრიელ, ან კი რა არის ეს ჩემი გა-
დარენა და თავისუფლება!.. რა ჯანდაპათ მინდა?!.
ძალიან ცუდ ვარსკვლავზედა ვარ დაბადეზული!



- მეღ.** ცოტა რამ გამიკონია შენი ამბავი... ვთუდი მართლა, როგორ არის ტიმოთეს ქალი, რას ამბობს ექიმი, გადარჩევა?
- სარ.** ძალიან უიმედოთ არის... ღმერთმა კითხოს ვისიც ბრალია, იმის ასე დალუპა!.. (ვარდენ და წესტორ ეურს დაუგდებენ).
- ნებ.** ვინ არის, სარდიონ, ავათ, ბარემ ჩვენც ვეითხარი! ჩემთან მაინც რა სამდურავი გაქცე?
- სარ.** რას ბძანებთ, ვისთან რა სამდურავი უნდა მქონდეს!.. ჩემთვის ხომ არავის არა დაუშავებია რა?! სხვას თუ რამ უბედურება შეამოხვევეს,—ეს ხომ იმის ჭირისუფლის საქმეა!
- ვარ.** არ შეიძლება, ყმაწვილო, გვიაშბო ეკ რაღაც საიდუმლო ამბავი?
- სარ.** რატომ არა, ბატონო... მოგახსენებ... მაგრამ ძალიან საზარელი ამბავი გახლავს...
- ვარ.** მერე, სთქვი მაინც.
- სარ.** ვითომ, ვიფიქრე უსიამოვნო ამბავია მეთქი... მაგრამ ესეც კია, ჩვენ რა შევკერდება?! (შეაწერდება ვარდენს). ჩვენ ხომ... არავითარი მონაწილეობა არ გავაქვს... ამ საქმეში და სინიდისი არ დაკრიან-ჯავს?!
- ნებ.** ეკ შენი ქარაგმით ლაპარავი არ გვესმის... პირდა პირ სთქვი, კაცო! რა მოხდა ასეთი?
- სარ.** დიღი არაფერი... სულ უბრალო საქმეა: ჩვენს ახლო ერთი გასათოვარი ქალი იყო, ეს ქალი შეუკვარდა იმავე სოფლის აზნაურის შვილს იმ წმინდა გრძნობით, რომელსაც მხოლოთ ანგელოზი ჩააგონებს ადამიანს... საკულისხმოც იყო, რომ ეს ორი ახალ გაზდა ბედნიერნი იქნებოდენ



საუკუნოთ ერთმანეთის სიყვარულით, მატრამ უდიდესობა
ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ჩაშალა საქმე...

696. სოქვი, სოქვი, საუკუნოვთ ამბავია... (ფარდენი
სმენათ არის გადაქცეული).

700. დიალ, ამ აზნაურიშვილს იმედი ქონდა ეს ქალი
შეერთო, მაგრამ ამ დროს ერთი გარეწარი, ახალ-
გაზდა თვალისშვილი, განათლებული კაცი, შე-
უწინდა ქალს და მოტაცა გული თუ არა იმ საბა-
რალოს, იმ წამსვე შეიძინა და ზურგი შეაქცია.

701. ვიზედ ამბობ მაგას, ყმაწვილო, არ მცხმია...

702. ეს, ბატონო, სულ გარეშე ამბავია... ჩვენ ხომ
სინიდისი წმინდათა კვაჭეს და თუ ვიზეს საძაგლო-
ბა რამ ჩაუდენია, ჩვენი რა საქმეა?!.. ჩვენ რა
გვენალვლება...

703. მერე, მერე...

704. დიალ, რომ დარწმუნდა ასლა კი ნამდეილთ
ვუყვარებარო, ადგა და მისწერა ქალს: „დღეის
ამას იქეთ მე შენ აღარ მინდებხარ, გარუცნილი ხარ
და მღალატობო“... საბრალომაც, მიიღო თუ არა
ეს უნამუშო ბარათი, იმ წამსვე მდინარისაკენ გა-
იქცა და წყალში გადავარდა, თავს იტოვდა...
ძლივს ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს, და ახლა ან-
თებით კვდება!.. უნდა მოვახსენოთ, ჩემო ბატო-
ნო, რომ იმ ქალის დანაშაულობა მხოლოდ ის
იყო, რომ დიდი კაცის შვილს მიენდო და თავი
შესწირა....

705. მაშ შენ ნინოზედ ლაპარაკობ?!

706. (წამდებება და მრისხანება) დიალ, ნინოზედ მოვახ-
სენებ... და თქვენს კაი კაცობაზედ, წემო ბატო-
ნის შვილო... შენ რომ სირცხვილ-ნამუში გქონ-
დეს, იმ ქალის სახელს როგორდა ასენებდი!..



- ვარ. შენ, კმაწვილო, ვგონებ, დაგვიწყებია ვისიამოსუა
ლაპარაკობ! გირევ კარგათ ჩაუფიქრდე რასაც
მეუბნები, რომ მერე სანანებლათ არ დაგირჩეს!
- ნებ. კარგი, შენი ჭირიმე, ვარდენ, დაანებდე თავი, რა
დროს ჩხებია და მერე ისიც დუქანში! სარდიონ,
შენ გახდას, მოგვშორდი, რა გინდა აქლა აქ რომ
მოახდინო!
- სარ. მე ცუდს არაფერს ვამჰოვ!?. ტოლო თქვენ, თა-
ვადო, მახსოვს ვინცა ბძანდებით... თქვენა ხართ
ის კაცი, რომელმაც შეიწირეთ მსჯერპლათ საპ-
რალო ქალი, თქვენთვის თავდადებული... ის გა-
გიუებული იყო თქვენის სიყვარულით .. და თქვენ
კი უარ ყავით იმისთვის, რომ გლეხ-კაცის შვი-
ლი იყო! ფარი! ვეველი და მასხარა! კიდევ მე მი-
ბედავს მუქარა!
- ვარ. მაშ, მე გასწავლი როგორ უნდა ჩემთან ლაპარა-
კი! შენ რაც გეკადრება მე ვიცი!.. (წამოუსვამის
მათრასს ხედის. იმ დროს სარდიონ იშიშვლებს ხანჭალს
ვარდები მათრასს გადააგდებს და რევოლუცის ამთადებს
ბუდიდგან და რომ მასხლოვდება სარდიონ, ვარდები
მათრასების): გაწერდი, თორემ მოგკალი! (სარდიონ
ხანჭალით მოდის. გავარდება რევოლუცი. სარდიონ წა-
ბარისცდება და ხანჭალი ხედიდგან გაუვარდება. ხესტრი,
რომელმაც ვერ მოახერხა გაშეღება, მივარდება და ხელს
მოკიდებს).
- სარ. აკი მომკლა ამ ოჯახ დაქცეულმა!..
- ნებ. ნუ გეშინია, სარდიონ, აგერ ნაბაღზედ წამოწე-
კი... (წაუვაჩქნის და დაწვენების ხაბაღზე სცენაზედ. მე-
ლექნებს შემთაქვს უნაგირი და შეუდებს თაფ-ქამშ). ახ-
ლავე ექიმს მოგიყვანთ, არა გიჭირსრა....



- სარ. ოოპ მოვკვდი... (წაივლების გულზედ ჩელს). გილოზის
316. (რთმედირ შოშორებით სდგას ხელები წაივლებული თმებ-
ში, თითქმ ემინა და ასეთ გამოიდგინა, შეხედავს თა-
ვის მხლებელს და ეტეჭის): ახლავე გასწი, აპენე
ცხენი და ექიმი მოიყვანე. ჩემ მაგიერ უთხარი...
ჩემ ცხენზედ შეჯერი... ოპ, ღმერთო, რა სახარე-
ლი საქმე ჩავიდინე!..
- სარ. რათ იწულებ თავს, წემი ექიმი ალა მე ვიცი...
აი (აჩვენების ზეგით თვალის). იქ არის... მე კაცი
ველარ მიშველის... (გული წაუვა).
616. წყალი, წყალი ჩქარა!.. (ტანისამისს შეაჭრიას და
სისხლიასა მშერდი გამოუწევდება... უარდენა შაარბენს
შეწაფდათ).
316. რას შვრები, სარდიონ? როკორა ხარ?!.
- სარ. კარგათ, კარგათ... მაგრამ ტყუილათ კი მომკა-
ლი, ვარდენ!.. ღმერთია მოწამე, მე შენთან და-
ნაშაული არ ვიყავ...
316. რა დროს მაგის ლაპარაკია... წყალი დალიე.
(ასმევენ და ასხურებენ სახეზედ).
- სარ. ნეატორ! იცი რისთვის გამომიმეტა ვარდენმა ასე?
უთუოთ მე მწამობს რასმე იმ საბრალო ქალის
საქმეში... ახლა მიკვდი... მაგრამ, ხომ იცის
უფალმა, იმ ქალთან არავითარი ცოდვა არ მა-
მიძღვის, ისე როგორც ჩემ და ნინოსთან...
316. ჩემი და ნინოვო?!
- სარ. დიალ, როგორც ჩემ და ნინოსთან.
316. როგორ თუ შენ და ნინოსთან?
- სარ. ვფიცავ ამ სიკვდილის უამს: ტიმოთეს ქალთან
არავითარი ცოდვა არა მქონოდეს...



- ვარ. მაშ დაქერილი რომ იყევი და შენთან დაშრულებული უკუკელ ღამესა?!
- სარ. არც ერთხელ არა ყოფილა ჩემთან ტიმოთეს ქალი...
- გის. ჩვენის თვალითა ვნახეთ ერთ ღამეს, რომ მოვიდა შენთან—იქვე ვდარაჯობლით, გაზრახებული იყო ვარდენი. შენ და ტიმოთეს ქალი დიდ ხანს დარჩით ერთათ.
- სარ. მაშ, რა უბრალოთ მოგიყლავი, ვარდენ, ის ქალი და მეცა... ის ტიმოთეს ნინო კი არა—ემი და ნინო იყო.
- ვარ. როგორ თუ შენი და ნინო!.. (სარდითნ მწარეთ გაადიმებს და აქნებს თავს).
- მედუშენ. დიალ, ბატონო... მე გახლდით მაშინ დარაჯათ და ის ქალი, სწორეთ მაგისი და ნინო იყო!.. სხვა იქ არავინ მოსულა.
- ვარ. აა! ახლა კი მესმის!.. მესმის ყველაფერი... რა ბოროტება ჩავიდინე მე ღმერთ გამწყრალმა!.. აქ ეს უბრალო კაცი მოვკალი და იქ ჩემთვის უძვირფასები ადამიანი... (დაუჩექებს სარდითნს და აკაცებს შებდზედ ცრემლ-მორუედა). შემინდე, ძმაო, შემინდე!.. დამიკერე, შენზედ უბედური მე ვარ... შენ პირნათლათ წარსდგები უმაღლეს სამსჯავროს წინაშე, ხოლო მე, მე ჩემით სიცოცხლე მწარე სინანულში უნდა დავლიო.
- სარ. შეგინდოւ ღმერთმა... იმასაც შეუნდოს, თუ ჩემთან დანაშაული ქონდეს... იცოდე კი ნინო შენთან დამნაშავე არ არის... მშეიღობით... მშეიღობით... (კვდება).

ფარდა.

გამოსვლა შირველი.

სტენა წარმოადგენს ტამთვეს სახლის. ნანთ აფაღეთიდან საცმელი წევს ტახტზედ. მაგადაზედ წამლიანი შუშები სდგას.

6069 (გამოსახელს თვალებს და სახეზედ ხელს გადასვას). რა კარგს და სისიამოვნო სიზმარში ვიყვავი... ნების ტავი არ გამდვიძებოდა! ახლა აღარაფერი მიუირს, მოვრინ, მოვრჩი... ასეთ გუნებაზედ ჯერ არა ვყოფილვარ... მამა, შენა ხარ?

6070. მე ვარ შვილო, შენი უბედური მამა, მე... როგორა გრძნობ თაქს, შვილო?.. მართლა უკეთა ხარ, თუ მე მანუგეშებ?..

6071. არა, მამა, ნამდვილათ უკეთა ვარ... ოჰ, რა სანატრელ სიზმარში ვიყვავი... არა, ეს სიზმირი არ იყო... ცხადი იყო, ცხადი!.. რატომ არ გიხარია, მამა, ჩემი ბედნიერება?.. შენ ხომ ვიყვარს კიდევ შენი ნინო... (მოხვევს ხელს კასურზედ).

6072. დიმშვიდდი, შვილო, დამშვიდდი... ღმერთი მოწყალეა... რა დავვიშავებია მისთვის!.. (ადაპურობის ხელი) შენ თითონა ხარ მოწმე, ზეციერო მამავ, რომ არავისთვის ცუდი არ მიქნია ჩემს დღეში; მხოლოთ მძიმე შრომითა და შენის მოწყალებით შემიძენია ყოველიცე რაც გამაჩნია... შეიწირე, უფალო, რაც წყალობა გიპოდებია ჩემთვის, თვით ჩემი სიჯოცხლეც-კი, ოლონდ ეს საბრალო ბავშვი მაჩუქე! (სტირის).

ნინო. (გამოიწვებით) მამა, მაშ ძალიან ავათ ვყოფილ-
ვარ, შენ რომ ასე გეშინია?

ტიმ. არა, შვილო, მე ეს ისე ტყუილათ მომივიდა, რა
გიკირს, შენ შემოგველოს მამა შენი!.. ღმერ-
თი ისე როგორ მომიძულებს, რომ შენი თავი
წამართვას!

გამოსვლას მეორე

იგინივე და მარინე (შემოდის დახედავს სასის და სტეპი
წამილეს აჭათმეცვეს).

შენ. დროა, შვილო, წამალი დალიო. დალიე, შენი
კირიმე, მოგიხდება... მალე კარგათ იქნები, მორ-
ჩები...

ნინო. (ისე გაადაშებს, თათქოს არ სჯერდეს მორჩებს).
დავლევ, მამილა, დავლევ... იქნება მართლა მოვ-
რე?! რა კარგი იქნებოდა, ისე რომ შევიქნებოდე,
მამიდა, როგორც ვიყავი!.. (წამოჯდებს აიღებს სარ-
ბეს და წაიხედავს). არა! არა! ეს შეუძლებელია...
ღმერთო, რას დავმსგავსებივარ!?. აღარც ფერი,
აღარც ხორცი, თითქო სიცოცხლის ნიშანიც-კი
აღარ მეტყობა სახეზე!.. როგორი მშვენიერი და
ნათელი იყო ჩემი ბედის განთიადი, და აპა რათ
გადავიქეცი დღეს!.. მაგრამ არა! ჯერ ყველაფერი
არ გათავებულა: ჩემი სული გრძნობს, რომ მე
კიდევ ვიქნები ბედნიერი, კიდევ ვეღირსები ჩემი
ვარდენის დანახვას! ვეღირსები, მაგრამ როგორ!..
ვეყვარები კიდევ?! არა! არა!.. განქრა ყოველი!..

გამოსვლას მესამე

600

„განავე და გარდენ“

356. ნინო! ანგელოზო ჩემო! მე ვარ შენთან, მე ბედ-
შვი, შემომხედე, შემომხედე ერთი!

357. (იპავლის და მოუხვევა) ვარდენ! ვარდენი ხარუ!..
კიდევ მოხვედი, ერთხელ კიდევ ნახე შენი ნინო?!.
მაშ ჩემი სიზმარი მართალი ყოფილა? არ შევტუ-
ლებივარ განა? მაშ კიდევ შენი ვიქნები, არა
ვარდენ!?

358. დამშვიდდი, შენი უირიმე, მე აღარ მოგშორდე-
ბი, მაგრამ შემირიგებ-კი ნინო? მაპატივებ ჩემს
დანაშაულს?.. არა, არ მინდა პატივება, ლირსი
არა ვარ... არა ვარ ლირსი, რომ შენს წმინდა
არსებას, შენს ნათელ სახეს შეცექეროდე... მე ...
ავაზაკი... მე ორი ადამიანის მკლელი...

359. (მოდაჭუ) ახლა აღარ მცალიან... მამიდა! მამა!
ჩქარა, ჩქარა წავიდეთ საყდარში, ხვალ აღებაა,
მერე ჯვარის წერა აღარ შეი'ლება!.. ვარდენი,
ჩემი ვარდენი მიცდის იქ!.. მამა, გესმის? წამიყ-
ვანეთ, აბა! (ადგება). ლმერთო, ხელ-ახლავ გად-
მომავა შენის მოწყალე თვალით! ხელ-ახლავ
დამიპრუნე ჩემი ვარდენ!.. წავიდეთ, წავიდეთ
ჩქარა საყდარზე.

გამოსვლას მეოთხე

„განავე და გარდენ“

360. (შემთაღებს კარებს) ვარდენი ხომ არ არის აქ?

ტ08. აქ გახლავს ბატონი. მაგრამ რიცხვის მობრძანებულხარ, ჩემს უპედურებას გინდა უკურო და გაიხარო, თუ რა გნებავს?

ზ09. (შემთდის) ტიმოთე ჩემი, შენც მამა ხარ და მეცა... თუ შენ გეკარგება შვილი, არც მე ვარ უკეთეს დღეში... ნუ მიმზერ ასე მტრულათ!

ტ09. რას ბძანებ, ბატონი, განა ლირსი ვარ თქვენის მობრძანებისა ჩემს ოჯახში!.. მე, თქვენი მონა, თქვენი ფერხთა მტკერი, როგორ გაეცედავ გაწყვნილო... (გამოიცედის ხმას): მაგრამ ჩემი ქალი, ჩემი ერთათ-ერთი ქალი რომ დამიღუპე, შენ ავო კაცო! რას მიპირებ ატლა! ვინ მომცემს მე ნინოს მაგიერს?!.. და ეს ყველა შენი ბრალია! გამშორდი აქედგან, ამ წმინდა ალაგიდან. (ანაშებს ნინოსქენ). წადი, წადი მეთქი გეუბნები!.. (ისევ თავაზიან კალთვე). აბა, რა დაგიშავე, ბატონი, რომ ერთათ-ერთი შვილი მომიკალი!.. (ისევ მრაისხანეთ) არა, როდესაც იმ უცნაურს ხაფანგს უგებდი ამ საცოდავებს (ანაშებს ფარდებსა და ნინოზედ) ღმერთი სულ არ გახსოვდა? (ტარის).

ზ09. (მრაისხანეთ) ტიმოთე! თუმცა შენს სახლში ვარ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, ვინცა ვარ... მესმის შენი გამწარება... მეც შვილის პატრონი ვარ...

ნ06ო. (გამოიყიაზღუბის) ეს ვისი ხმა მესმის? ვინ არის აქ?.. ბატონი! ვარდენის მამა!.. ჩემს ქორწილში მობრძანებულა?.. აბა, მალე, მალე წამიკანეთ ეკკლესიაში, მალე, ხომ თანახმა ხარ, ბატონი?!

ზ09. ოლონდ კარგათ იყავი, შვილო, და ღმერთმა გაკურთხოსთ ორნივე...

- ნინო. (დონე მიხდილი). გმადლობ, ბატონო! მაშტა-
ვიდეთ, ვარდენი მიცდის ეკკლესიაში... რა მშე-
ნიერათ არის გამოწყობილი თეთრის ტანისამოსით.
(დგება) წამიუვანეთ... მიშველეთ...
- ვარ. ნინო! ნინო! აქა ვარ მე, შემომზედე!.. ვეღარ
მიცან?!

- ნინო. (დააცქერდება) შენ?!.. შენ ვინა ხარ? შენ რა გი-
გავს ჩემს ვარდენს?!.. წამიუვანეთ ჩქარა! (წამოდგება
მაკრამ ისევ დასუსტებული დაუტემა დოგინზედ).
- ვარ. (დაიღვება) ღმერთო ზეციერო! რა დაგიშავე ასე-
თი, რომ ჩემი ნინო ვეღარც-კი მცნობს? მე მოგ-
კალ შენ, მე ვარ შენი მკვლელი!

- ნინო. მამიდა! მამა! (უნდა კაიხსენოს რადაცა და იკონება)
ჰო, მამა, ჩემი ხოხობი მომგვარეთ, ვარდენმა რომ
მომიუვანა, აი მაშინ... (ტიმთვე მიდის) როგორ
უყვარდი მაშინ, რა ბეღნიერი დრო იყო!..
- ვარ. ახლაც ისევ მიუვარხარ, ჩემო ნინო!.. (კოცნას
ხელზე).

- ნინო. (გათცებით). ვარდენ? შენ! ღმერთო მოწყალეო!
გმადლობ, რომ კიდევ გხედავ. (ტიმთვეს მოუხატს
ხთხობი, ნინთ მააუგანინებს ახლო და ხელს პადება)
გახსოვს, ვარდენ, ეს ხოხობი, რომ მომიუვანე,
როგორ გიყვარდა მაშინ შენი ნინო?!

- ვარ. ღმერთო, ღმერთო! რისთვის მომაღწევინე ამ
დღემდი!..

БІОЕМ. аЗа, БіоЗаңі, ғүзініс һоузыармұлоса, оғзғ Ұғб-
түріс დа міндермұндық... (жадеңдеңіс եткөнді) ғауғ-
зи... ғаа тағиіс үзілдік... დа, әмбін მаін ү იცәп-
келиіс... Әң қо... Әң... (წағынайын) დრома сағтам-
ғынан т өмірдің! әң?.. (жадеңдеңіс). әз! ғиң
әңіс ғыс, ғиң әңіс?!.. әң ғиңда! әң წағынайын!
ғаардің! Ұғб ұнда წағынайын! Ұғб! әң! әң
ғағіншілді! әңізіс დағаңдіңді Ұғбіс тағы! မаңа! ბа-
ტан! მішілді... მішілді... ғаардің! ғаар-
дің! ғілеміа... ғілемі... (мәсініс ғынағасын ғасыріс һімі)
ғеңіміс!.. დრома!.. წағынайын. (әүгініс ғаардің) წа-
ғынайын... (жадеңдеңіс და ғиңдеңіс). *

ფ ა რ დ ა.

მ ა გ ა ღ ა



Настоящая трагедия, небъ называемъ «Капканъ», разрѣшена г. помощ-
никомъ главноначальствующаго къ представлению на сценахъ ьграя. Декабря
21 дня 1893 г.

Предсѣдатель комитета М. Гакнель.

Секретарь Н. Меликъ Чубаровъ.

*) әд დრоміс Ұғб ғаардіңда түзітінен ғаардіңда ғаардің.

ს ს მ ა რ თ ვ ი ღ რ ს

დ ე დ ა - ქ ა ღ ა ძ ქ ი

ტ ვ ი ღ რ ი ს ი.



თინა, რომი, ბაპილონი, მცხეთა, ბაღდადი,
ტფილისი... მარტო ამ სახელების გავონება
ჩვენს მეხსიერებაში აშლის ხოლმე აუარებელ
მოვონებას კაცობრიობის წარსულიდან. და
ეს განა არა იმისთვის, რომ ამ ქალაქებში
„ღმერთნი ღმერთობდენ“ და მეფენი
მეფობდენ“, რომ მათ ეჭირათ მთელის სახელმწიფოს
სამართი საჟე და რომ მათი სიძლიერე ჰნუ სისუსტე,
ბედნიერება ანუ უბედურება მოასწავებდა თვით სა-
ხელმწიფოს აღყვავებასა და ანუ დაცემა-დაძაბუნებას!
ამიტომაც, ისტორია რომელიმე სამეფოს დედაქალაქისა
არის იგივე ისტორია მთელის სახელმწიფოსი.

წარსულ დროუჟამთა წყვდიადში იყარგება ქართ-
ველ ქრის ზოვიერთ ქალაქების დასაბამი. პირველსავე

ქართველებთან ერთად, მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა, ჩნდებიან დაბა-ქალაქი: ქართლი (არმაზი), მცხეთა, უფლისციქე, თბილი, ეგრისი (ბეჭია), ქუთაისი, ტერჯო (ხორნაბუჯი იორა-ალაზნის შესართავთან), თრიალი (სამშვილდე), მტკვრის-ციხე (შემდევ ხუნანი გატეხილ ხიდთან დებედა-მტკვარზე), ლეღაციხე, ბოსტან-ქადაქი (რუსთავი ყარაიას), კაჩიანი (სანადირო ქალაქი სომხითში), ბერ (ჩელეთი, შილდა), თუხარისი („სპერის მდინარეზე, რომელ არს კოროხი“), წუნდა (ჯავახეთში), არტანი (ძველად ჰური და შემდევ ქაჯთა ქალაქი), ურნასია და კასპი.

შესამე-შეოთხე საუკ. ქრ. წინად ამათ მიემატნენ კიდევ: ღიმისა და შორაპანია (ააშენა ფარნავაზმა), ხერთვისა, ჭოდა, ნელქარი (ნენქარი=ნეკრესი). მცხეთა იმ დროს „დიდი ქალაქი“ იყო და მისს უბნებად ითვლებოდნენ: სარკანე (სარკინეთის მთის სიმაგრე), ციხე-დიდი (ძევვის ახლოს), ზანავი და თვით ქალაქი ქართლიც, რომელ-საც ეწოდა არმაზი და საცა იყო უმთავრესი სალოცავი ქართველებისა—საფლავი ქართლოსისა და აგრეთვე ღმერთნი არმაზი, გაცა და გაიმ.

ქართლ (არმაზ)-მცხეთა ქართლოსის დროითგანვე „თავადობდნენ“ საქართველოში, და ეს თავადობა (რელიგიური და პოლიტიკური უპირატესობა) შერჩა მას მეექვსე საუკუნის ნახევრამდე და ამ დროიდგან კი მისი „თავადობის ერთი წილი—პოლიტიკური უპირატესობა—მიითვისა ტფილისმა.

„ქართლის ცხოვრება“ ტფილისის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს. მას ეთანხმება ზეპირთქმულობაც: მთელი არე-მარე ტფილისისა ტყით მოცული იყო. ერთ დღეს ამ ტკეში ვახტანგ გორგასალი ნა-



დირობდათ. მისმა მწევრებმა ხოხობი ააფრინესოლიშვილი
ქორი ხოხოს გამოედევნათ და ორთავე ფრინველნი
მალე გადიკარგნენო. მეფე მხლებლებითურთ ქორის
საძეპნელად წავიდათ. ბევრი ძეპნის შემდევ ნახეს,
რომ ქორი და ხოხობი ჩაცვინულან ერთ წყაროში და
ჩახარშულან. ქორი, თურმე, ისეთის სისწრაფით და-
ცემოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეემაგრე-
ბინა და ბრჭყალებში შებოკილ ხოხობითურთ ძირს წა-
მოსულიყო და ხსენებულ წყაროში ჩავარდნილიყო.
ეს არე-მარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა,
რომ ამ შვენიერ ადგილას იყო მრავალი წყარო: გრი-
ლი, ტფილი და ცხელი, და ყველას გოვირდის სუნი
სდიოდა. მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამკურნალო
თვისება უნდა ჰქონდეთო. ვახტანგს მოეწონა წყაროე-
ბიცა და მათი ადგილ-მდებარეობაც, ააშენა ქალაქი და
სახელად, ტფილი წყლების გამო, ტფილისი უწოდათ.

მართალია, რომ ტფილისს სახელი სითბოსაგან
დაენათლა. ცნება „თბილს“ უწინდელი ქართველები
გამოსთქმიდნენ ნაირნაირად: ტფადი, თბილი (და შეუ-
მოკლებლად კი ტიფადი, თბილი). და ამიტომ ვამბობთ
და ვსწერთ „ტფადისი“, „თბილისი“. გარნა თვით ქალა
ქის აშენებისას და შემდევ ამისა კიდევ კარგა ხანს ეს
სახელი შეუმოკლებლად უოფილა ხმარებული და „ტიფ-
ადისი“ რქმევია. და ეს მტკიცდება მით, რომ მეექვსე
საუკუნეში ბერძენთა მწერლები საქართველოს დედა-
ქალაქს უწოდებენ ტიფლის-ად, და შემდევში ასრევე
უწოდებენ ამ ქალაქს არაპნიკა და თურქნიც (თათარ-
ნი). სანს, დასაწყისში ქართულადაც „ტიფლისი“ ყო-
ფილა. ვისგან, თუ არა ქართველებისგან ისწავლიდნენ
უცხოელნი ამ სახელს? და რომ „ტიფილი“ (იგივე

„თიბილი“), რომლისაგანაც წარმოსდგა „ტიფილიშვილი“ („თიბილისი“), შემდეგში შემოკლებულა და ტფილ (თბილ)-ად გამხდარა, ეს მტკიცდება ამ სიტყვის სვანურ-მეგრულ გამოთქმითაც: მეგრულად „ტიბუ“ და სვანურად „ტებდი“ (და აგრეთვე „ათვი“ თბილს ნიშნავს *).

რაიც შეეხება თქმულებას, რომ, ვითომ, ტფილისი პირველად აეშენებიოს ვახტანგ გორგასალს, ეს სარწმუნო არ უნდა იყოს. ქართლის ცხოვრებაში ვპოულობთ საბუთებს ჩვენის აზრის დასამტკიცებლად.

ტფილისი იხსენიება ფარნავაზის ღროილგანვე (ფარნავაზი მეფობდა 302—237 წლ. ქრ. წინად). მისს ცხოვრებაში სწერია: „საერისთავო ხუნანისა არის ბერდუჯის მდინარითგან ტფილისაძე და გაჩიანამდე, რომელ არს გარდაპანი“ (გვ. 31); და კიდევ ამის წინად: „მცხეთოსმა ააშენა მცხეთა და დაიპყრა ქვეყანა ტფილისათვან და არაგვითგან ზღვამდე სპერისა“ (გვ. 20).

ტფილისი იყო საზღვარი მცხეთისა და ხუნანის სასპასპეტოებისა. გრდანი (გლდანი), ლილო, მარტყოფი ხუნანამდე იწოდებოდა გარდაპანად. და ამ გარდაპნის მხარეს იყო (და არის) ნაწილები ტფილისისა ისანა, ქადა და შემდეგში პუქაც.

ქართლის ცხოვრებაშივე ვკითხულობთ: „მოვიდეს სპარსნი სომხითს და მთამარეს. შემოვიდეს ქართლს. სპარსთა ერისთავმა ააშენა ტფილისა კართა შორის ციხედ მცხეთისა“. ვარაზ-ბაკურ მეფე (379—394 წ.)

*) ნუ გვეუცხეთება შროვინტიალური სიტყვები. ა თუნდა შეგრული „წეარი“, რომელიც ნიშნავს წეადს. წეპნებური „წეარი“ და შეგრული „წეარი“ ერთი და იგივეა.

სპარსთა ერისთავს ხარჯის ძლევა აღუთქვა. და შემდეგ სპარსებმა მეფეს გადასცეს „ციხე ტფილისისა“ და „წავიდნენ“ (ქ.-ცხ. გვ. 106).

ამ დროითგან ტფილისს, როგორც სტრატეგიულს სიმაგრეს, ემატება მნიშვნელობა. სპარსნი საქართველოს ასაოხრებლად რომ მოდიან, პირველად სცდილობენ ფეხი მოიკიდონ ტფილისში.

ვაწრანგ გორგასლის პაპის დრომდე ქართლი სპარსთა ერისთავის „ვანსიგებული იყო“ (გვ. 108), ხოლო ეს ერისთავები განაგებდენ აგრეთვე რანსა და მოვაკანს (იქვე). ქართველთა მეფეები ებრძოდენ მათ და ერთერთ ამ ბრძოლაში მოორდა ტფილისიც. ხოლო ვაწრანგი რომ ტახტზე ავიდა, სპარსთა ყაენი კვლავ შემოესია საქართველოს. იბრძოლებს დიდხანს. მეფე გამაგრებულ იყო მცხეთაში: „ქართლის ცხოვრება“ ამბობს (გვ. 134): „ოდესმე განვლიან ფონი მტკვრისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისას, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე მათ“. ბრძოლა მორიგებით გათვალისწინება. ორნივე მეფენი შეიყარნენ „ველსა ზედა ჭადისას“, ხოლო ტფილისი სოფებლი და კალაცა მოოხრებულ იყო მაშინ“. მეფეებმა ერთმანეთი მოიკითხეს და გადასწყიტეს, რომ „ორთავე ერი (სპარს-ქართველნი) თავ-თავის სჯულსა ზედა გარდაუკალ დაშთეს“. ამის შემდეგ გავიდა რაოდენიმე წელიწადი და ვაწრანგი შეუდგა გაოხრებულ ტფილისის შენებას. „მეფე აშენებდა ქალაქსა ტფილისა და საფუძველი თდენ დაედვა“ (გვ. 146), რომ ყაენმა, ხოსრო ქმა (გამეფდა 531 წ.) მოციქულის პირით შემოუთვალა: „მოკვდა მამა ჩემი და მეფედ მყო მე ერმან მისმან... მოვალ მე წინაშე შენსა და შენ წარმიქედვ ჩვენ შევ-

ლასა ჩვენსა საპერჩეოს და მომეც ასული შეტრცდა-
ლად“ (იქვე). მეფემ უარი შეუუკალა. ყაენი გამოე-
მართა საქართველოსკენ. განჯით გადმოვიდა ივრის ხეო-
ბაში. მოაოხრა ქიზიყი, ველისციხე და იორზედ დადგა. ვახტანგი გამავრდა უჯარმაში. მტრები სასტიკად შე-
იძნენ იორზედ. ვახტანგმა ყაენს მოუკლა შეილი და
გაუწყვიტა მრავალი მეომარი, გარნა თვითონაც დაიპ-
რა. ყაენი იორზედ ვეღარ დადგა და რუსთავს მივიდა.
იქითგანაც აიყარა, მოაოხრა ტფილისი, არმაზის არე-
მარე და სამცხით კარნუ ქალაქს (არზრუმს) წავიდა.
იგი შიშობდა ბერძენთა იმპერატორი არ შეჰეოდა
უპატრონოდ დარჩენილ სპარსეთს.

მაშასადამე, უწინარეს უაშს ტფილისი ყოფილა
სოფელი, შემდეგ იგი ციხე-სიმაგრედ შექმნილა (379
წ.) და მერე ქალაქად ვახტანგ გორგასლის დროს*).

ვახტანგის შვილი დაჩი სცდილობდა გაედიდებინა
ტფილისი. მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისიანი
და, კითარ ებრძინა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამე-
უფოდ“. (ქართ.-ცხ., გვ. 150). „და დაჩის დროსვე ტფი-
ლისს კაცნი დასხდებოდეს და მათ წმიდად ეკკლესიად
(სიონი) აღაშენეს“ **).

მეფე ბაკურის დროს საქართველოს თავს დაატყდა
დიდი უბედურება: სპარსთ თვისი უფლება დაამკვიდრეს
ქართლსა, სომხითსა, სივნიეთსა და გუასპურაგანს და

*) ვახტანგ გორგასდის ცხოვრება, საქართველოს ის-
ტორიას მკვდევართაგან ქორთნიერნის არევისა გამო, ზდაპ-
რუდ ამბად მათხნათ „ქართლის ცხოვრების“ მტრების. მასი
ისტორია საქართველო გამორჩეულა გვაქვს და ცალპე დაჭელდავთ.

**) სამი ქრ. ე. თავათშვილისა, გვ. 30.

ბაკური რომ მოკვდა, სპარსელებმა ქართველები შეიტყობინები მისცეს ნება ჰყოლოდათ თვისი მეფე. ამიტომ ბაკურის შეიღები გამაგრდენ კახეთის მთიულეთს და მათნი მონათესავე მფლობელნი კლარჯეთის კლდეებში. ამასთანავე თვისთვისად განდგნენ ერისთავნი და ხარკს აძლევდნენ სპარსთა მეფის ორმუზდ IV-ის (579—591 წ.) შვილს ქაბრე II ამბარვებს (591—628 წ.), რომელსაც ეპურა რანი და მოვაკანი. ამ უბედურ დროს „მცხოვად ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალად განდიდნებოდა“ (სამი ქრ., გვ. 34).

შემდეგ ამისა საქართველოს ტახტი რომ იპყრა გურამ ბაგრატიონმა, „ტფილის მცენდრთ იწყეს ეკკლესიის გება. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი“ *) (სამი ქრ., გვ. 34). ქართ.-ცხ. გვ. 164). „გურამმან გმნაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა, ხოლო შემდგომად გურამისა განასრულეს აღშენებად ტფილისის სიონისა: ნახევარი ერთმან ვინმე ქვრივმან დედაკაცმან და ნახევარი ყოველმან ერმან“. სტეფანოზ I-ის უამს ტფილისი უკავ ისეთი დიდი და ვრცელი ქალაქი იყო და ისეთი ძლიერი ციხე ჰქონდა, რომ იგი იტევდა დიდალს ხალხსა და ჯარს, და შეეძლო კარგა ხანს გაპმაგრებოდა ძლევა-მოსილს მტერს—საბერძნეთის იმპერატორს ერეკლეს. სომი:

*) სუმბატის ქრთხიკაში სწერაა: „გურამისა—ზე ტფილისის მკვიდრთა მბდდესისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ეთველი ერთ აშენებდა და ნახევარსა ერთი განმე დედაკაცი“ (სამი ქრ., გვ. 45). თეიმურაზის უარიანტით, „გურამმა განახადა საფუძველი ტფილისის ნითხასა“ (იქვე, გვ. 46).

მწერალი უხტანესი ამბობს, რომ 595 წ. უკვე ტფი-
ლისი იყო უდიდებულესი სატახტო ქალაქი საქართვე-
ლოისა, იგი იყო სასწაულებრივ შენებული, საუცხოვ
და შესანიშნავიო *).

ამავე დროს სპარსეთში მეფობდა იგი ქასრე II
ამბარევზი, რომელსაც მომხრეობდა სტეფანოზი. მიზეზი
სპარს-ბერძენთა ომისა ის იყო, რომ ქასრემ დაიპყრო
მთელი მცირე აზია და ეგვიპტე, გაელიტა 90,000 სუ-
ლი ქრისტიანე და თვით საპერძნეთსაც მუქარა შესთ-
ვალი. მნემა და ძლიერმა ერეკლე იმპერატორმა დიდ-
ძალი ლაშქარი გადმოსხა მცირე აზიას და ზედიზედ
დაამარცხა ქასრე. მერე იგი წამოვიდა ალბანისაკენ და
დაიზამორა მუღამს (625 წ.). გზა-და-გზა მან შემუსრა
ცეცხლის-მსახურთა ტაძრები. ქრისტიანე ერნი სიხარუ-
ლით ეგებებოდნენ ერეკლეს. მეორე წელიწადს იგი
შეესია სპარსეთს და თავზე კავალი დაამტვრია მტრებს,
მაკრამ შიგ შუაგულს სპარსეთში შესვლა ვერ გაბედა,
უკან დაწია, გამოვლო ტიგრ-ეფფრატის ხეობანი და
ფაზისს მოვიდა და შეიერთა ხაზართა ლაშქარი და მათი
ხაყანი ზიბელი, რომელსაც თავის ასულის ევლოების
სურათი აჩვენა, რადგან იგი იმპერატორს სიძედ უნდო-
და. ერეკლე და ზიბელი მოადგნენ ტფილის. აქედგან
ერეკლე 70,000 მეომრით შეესია სპარსეთს, დაამარცხა
ქასრე, რომელიც გადააუენა მისმავე შეილმა სიროემა
და თვითონ გამეფდა. გაცეული ქასრე შეიძყრეს და
ციხეში ამოჰხადეს სული.

ამ ამბებს, მოთხრობილს მსოფლიო ისტორიკოსის
პიმპონის მიერ (ტ. 4, გვ. 509—524), უფრო დაწვრი-

* Сборн. свѣд. о Кавк., т. VI, стр. 271.

ლებით გადმოგვცემენ ქართველთა და სომეხთა შემატები-
ანენი.

ქართლის ცხოვრებით, სპარსთა მეფე ქარემ რომ
დაიპყრო მცირე აზია და იერუსალიმი და წარიტაცა
„ძელი ცხოვრებისა“, მაშინ სტეფანოზი განუდგა ბერ-
ძნებს და მიემხრო ქარეს. იმვ. ერეკლე დიდის ჯარით
წიმოვიდა პირდაპირ საქართველოსკენ და შემოვიდა
სამცხეს, მოვიდა აწყვერს და თაცვანი ხცა იმ ხატსა,
„რომელი წმ. ღვთის-მშობელს გამოესახა და მიეცა
მოციქულის ანდრიასათვის და მას მოესვენა და დაესვე-
ნებინა მცირესა ეკდერსა შინა აწყვერს“ (ქართ.-ცხ.
გვ. 166). სტეფანოზს გაემაგრებინა ციხე-ქალაქი და
მტერს მოელოდა ტფილისში. კეისარმა გამოვლო ქარ-
თლი და მოადგა ქალაქს. სტეფანოზი, „მხედარი ქველი
და შემმართებელი დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა
ქალაქისათა და ეპრძოდის ბერძენთა“. ერთს შეტაკე-
ბაში დასკრეს სტეფანოზი და მოჰკლეს. ერეკლემ იილო
ტფილისი, ხოლო ციხის-თავი გაუმაგრდა მას და მაღ-
ლიდგინ შემოჰყივლა: „ვაცისა წვერნი გასხენ და ვაც-
ბოტისა კისერ გაქვს“. ერეკლე ფრიად განრიცხდა და
სთქვა: „ამ კაცმა ბასრობით მიწოდა ვაცბოტად, გარნა
არა არს მისი სიტყვა ცუდ“. შერე მოატანინა წინა-
წირმეტუველის დანიელის წიგნი და ამოიკითხა შემდეგი
ადგილი: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს
რქანი ვერქისა აღმოსავლისანი“ *).

*) შატბერდის კრებულში სწერია: „უხმო ციხისითაგმან
გადაჭრ ტფილისისათა შეფეხს ჰერაკლეს ვაცბოტათ“ (სამი
ქრ., გვ. 35), ხოდო სუმბატის ქრონიკაში: „...გასხენ წე-
რნი ვაცისანი და ვაცბოტისანი“ (იქვე, გვ. 46). სუმბატის



ყველებამ გააჩარი კეისარი და იმედი მისცა, რომელიც მის გვება მას დარჩებოდა. მაგრამ რაღვან თვითონ ეშუ-რებოდა სპარსეთში შესასვლელად, ამიტომ მოიწვია ბატონიშვილი ადარნასე, ერისთავი კახეთისა, მას მისცა ტფილისი და მთავრობა ქართლისა და უპრძანა აელო ტფილისის ციხე. ადარნასეს შემწედ უზინა ჯიბდა და თვითონ წავიდა გარდაბანს. ადარნასემ და ჯიბდამ გა-ტეხეს ციხე ქალაქისა და დაატყვევეს ციხის-თავი, რო-მელსაც პირი გაუკესეს დრაჲ კანით, მერე ტყავი გაჲა-დეს და მიაწიგეს ერეკლეს გარდაპანს.

აქვე დავურთავთ ცნობას ამავე საგნის შესახებ კალანთ კათვაწიდან, რაღვან ეს მემატიანე იძლევა ზო-გიერთ წვლილს, რომელსაც არ იხსენიებენ სხვა წყა-რონი.

ჩრდილოეთის კავკასიის მთიულნი თავის ხაუანის ჯიბუს წინამდებობით არპევდენ მეზოღლად მდებარე ქვე-ნებს. ერეკლემ ზავი შეჰკრა ჯიბუსთან და მოიწვია იგი წინააღმდეგ ქართველთა. ამის შემდეგ მპინვარე მდინარის ტალღამ გაღმოხეთქა და მოედვა საქართვე-ლოს; მტრები შემოერტყნენ და მიესივნენ გაყინიზე-ბულსა, საალექ-მიცემოსა, სახელოვანსა და დიდებულ ქალაქ ტფილის. შეიტყო-რა ყოველივე ესე იმპერა-ტორმა ერეკლემ, შეაგროვა ყოველნი ძალი თვისის ძლიერებიანი და დაუყონებლივ მოვიდა თავის მო-კავშირებთან. მათ ძლვნები შესძლვნეს ერთმანეთს და მე-ტად გაიხარეს. იქ უნდა გენახათ შიში და ზარი იმ კაცთა, რომელნიც შემწყვდეულნი იყვნენ ციხეში;

ქრ.: „დღმუშავდეს ჭარი დასავლისა და შემუსინების რქანი ად-მოსაფიას კერძისანა“ (იხ. დაბადება, დან., თ. 8, გვ. 3—6).

უპედურება უპედურებაზედ ატყდებოდათ. შეიტყო-რა
ხოსრომ (ქარე II-მ) ორთა ხელმწიფეთა მოსელა, იგ-
რიშის მიტანამდე მოაწია შემწყვდეულებსა და ქალაქს
ხელოვანი და მანე მებრძოლი, თვისი სპასპეტი შარგა-
პაგა და მაჟთან 1000-მდე რჩეული მხედარი თვისთა
ამაღლის კაცთა და დარაჯთაგან. ქალაქის მკვიდრთ,
დაინახეს-რა მათდა მეშველად გამოგზავნილნი ძლიერნი
და ხელოვანნი მეომარნი, გამხნევდნენ და დაცინვა და-
უწყეს ორთავე მეფეებს. თუმცა იგინი ხედავდნენ უამ-
რავ ლაშქრობას ჩრდილოეთისას და დასავლეთისას, რო-
მელნიც მთებსავით ჩასდგომოდნენ ქალაქს გარეშემო;
აგრეთვე ხედავდნენ ოთხთვლებიან მანქანებს და სხვა
ფილაკავნებს, (გამოგონილს რომაელთა ოსტატებისა-
გან), რომლებითაც იგინი ნიშან-ამოღებით სტურცუნი-
დნენ ციხის კედლებს და აყრევინებდნენ დიდრონ ქვებს;
თუმცა იგინი ხედავდნენ დიდრონსა ნავტიკებს, გატე-
ნილებს ქვითა და ქვიშით, რომლებითაც მტრები აგუ-
ბებდენ მტკვარს და წყალს ქალაქში აბრუნებდენ,
გარნა, მეუხედავად ამისა, იდგნენ უშიშრად, ერთ-ურთს
ამინევებდნენ და მტრების მიერ დანგრეულ კედლებს
ხელისხლა აშენებდნენ და ამაგრებდნენ. ორივე მეფის
ლაშქარი რომ დაძაბუნდა, უკუქცეულ და ქანც-გაწ-
ყვეტილ იქმნა, და არა მცირედი რიცხვი მათის ქვეითის
ლაშქრისა გასწყდა პრალაში. მეფეთ დაიწყეს თათბირი
და ამბობდნენ: „რად უნდა დავლუპოთ ჩვენი ჯარი;
მართალი არ არის განა, თუ შეკვარით ძლიერი, მისს
სახლსაც წარვსტყვენით, ვითარცა გვსურს. მაშინ დიდ-
მა და მოსისხლე იმპ. ერეკლემ მოისაზრა და მოახერხა,
თუ რა უნდა ექმნათ, და უთხრა კაცსა, მისდამი საშეკ-
ლად მოსულსა: „დაბრუნდი ჯარითა შენითა მშვიდობით

ქვეყანასა შენსა ამ წელიწადსა, ვინაიდგან ვხედავთ მოღალულობასა შენსა. შენ ძალ არ გიცს სიცეტა ამა ზაფხულისასა მიაწიო ასურეთის ქვეყანამდე, საცა არის სპარსეთის დედა ქალაქი ტცივრისის მდინარეზედ. მეორე წელიწადის დადგომისას, გაივლიან-რა ცხელი თვეები, დაუყონებლივ მოდი აქავე და ჩვენ შევასრულებთ ჩვენს სურვილს. მანამდე მე არ დავიშლი ბრძოლას სპარსეთის ხელმწიფესთან და არ დავაცდი თავზარი არ დავცე მისთა ქვეყანათა და ქვეშევრდომთა, და მანამდე ვიხმარ ეშმაკობას, ვიდრე მას არ მოჰკვლენ მისინივე". ქალაქის მკვიდრთ შეიტყეს-რა, რომ მტერნი დაღალულან დაუკუნქცევა განუზრახავთ, უმეტესად გაგულისძნენ და თავისივე დასალუპავი თამაში მოიკონეს: მოიტანეს დიდი გორა, გამოსახეს მასზედ სახე გუნთა მეფისა,—ალაბი სიგრძით და ალაბი სიგანით; წამწამების მაგიერად გაუკეთეს რაოდენიმე მოკვეთილი ტოტი; წევრის ადგილი გაატიტვლეს საზიზლრად; ნებტოები წყრთის სიგანისა გაუკეთეს, ტუჩზედ აქა-იქ ჩაურკეს ბილი. განა ვის შეექლო ეკნო იგი (მანინჯი)! მოიტანეს ის და დასდეს ციხის კედელზედ პირდაპირ მტრისა და ყვიროდნენ: „აი, ოქვენი ხელმწიფე, დაბრუნდით და თავუანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაყანია!“ და ხელში იღებდნენ ლახერებს და სჩევლეტდნენ და ჰგმირავდნენ გოგრას; ასრევე დასცინოდნენ და ყბად იღებდნენ მეორე მეფესაც, რომელსაც გაჰკიოდნენ: „შენ ხარ საძაგელი და მამათმავალიო“. ამის გამგონე მეფეები ბრაზით სკდებოდნენ, მრისხანებლენ, ჯავრს გულში იკლავდნენ, თავს აქნევდნენ და ფიცულობდნენ, რომ ყველა თვისს ქვეშევრდომებს ამოსწყვეტენ, და ჯავრს კი არ შეარჩენენ მტერს იმ შერცვენისათვის,

რომელიც მიაყენეს მათ. და ორნივე მეფენი გაბრუნ-
დნენ და მუქარით წარვიდნენ. (გვ. 107—109).

(ქიხტეს მოკვლის შემდეგ)... უცბად მოუბერა
ძრიელმა ბორიამ და ეცა დიდხა აღმოსავლეთის ზღვასა.
გამოვიდა ველური ჩრდილოეთის ნადირი (ქახარეველნი
და მათი მეფე) სისხლის მწოველის თავის შვილით შა-
დითურთ. მან უწინარეს ყოვლისა პირი თვისი მიუპ-
რუნა საქართველოსა და ქალაქ ტფილის, და მასში
წინანდელ ვაშკაც კაცთაგან არავინ დაუხვდა და ჰპოვა
მოხერხებული დრო მაგიერი მიეკო მისის გაწმილები-
სათვის. როდესაც იგი გარს შემოერტყა ქალაქს და
ბრძოლით შევიწროვა მოქალაქენი, მაშინ ესენიც თავს
დაესხნენ მას და გამწარებულად იბრძოლეს ორი თვე,
თუმცა ამათ იყო მათი ბრძოლა წინააღმდეგ მოწვე-
ნულის სასიკვდილო გარდაწყვეტილებისა. შიში მათის
სისხლის დაქცევისა, რომელიც უკვე მოვლინებულ
იყო, ფრიად ჰქენჯნიდა მათ. მაშინ დაიღრიალა საში-
შარმა ნადირმა, ტყვე ჰყო და ანუ წყალსა შინა და-
ახრი მრავალნი მდაბიონი, ტყენი აღავსო ნადირითა
და ჯარი თვისი ნაძარცვით. იძრეს მახვილნი თვისნი და
ერთად მიესივნენ კედლებს და მოელი ეს სიმრავლე
აირია, გადალახა ართმანერთი, ამაღლდა კედლებსა ზე,
და შავმა ჩრდილმა დაჭარა უბედურნი მკვიდრნი ქა-
ლაქისანი. შემაერთებელნი კავშირნი დახწყდათ, მკლა-
ვები დაუძაბუნდათ; იგინი დამარცხებულ იქმნენ, გან-
შორდენ კედლებს, გარნა ბევრნი მათგან, ვითარცა
ჩიორანი, მომწყვდეულნი მონადირეთა გალიაში, ვერ
მივიღნენ თვის სახლებში, რომ მიეტანათ თავზარდამ-
ცემი და სამწუხარო ამბავი და ეპრძანათ თავიანთ საყ-
ვარელ ცოლებისათვის დამალულ იყვნენ და ანუ

ეზრუნათ ნაშობთა თვისთათვის. მშობელთა არ ეცალათ ეფიქრათ შესახებ თვისის მშობლიურ მოვალეობისა. პირიქით, ერთურთს ეჯახებოდნენ და სცდილობდნენ თავ შესაფარი ეშოვნათ სახლთა სახურავებზე ანუ განჯინებში. გარნა მრავალნი ჩაიმალნენ წმ. ეკკლესიათა აკლდამებში და მიყყრდნენ წმიდათა წმიდანის კვარცელბეჭს. ოცრა და გმინვა დედათა ისმოდა ისე, ვითარცა ბლავილი ურიცკ ცხვართა ფარისა. მათ ფეხდაფეხს მისდევდნენ მომქალნი უწყალონი, რომელთა ხელნი რუებრ ადენდენ სისხლს, ხოლო ფეხნი სკულეტდენ წაჟუცულთა გვამებს. როდესაც შესწუდა ხმაურობა, გმინვა და კვნესა და როდესაც აღარც ერთი აღარ დარჩა ცოცელად, მაშინ მხოლოდ სცნეს მტერთა, რომ მათნი მახვილნი გაძლნენ. მაშინ მოიჟვანეს ორნი მმართველნი, რომელთაგან ერთი იყო სპარსთა მეფის მოხელე და მეორე ქალაქის ადგილობრივი მკვიდრთაგანი, ქართველთა მთავართა შთამომავალი. შეიძყრეს იგინი და მიჰვარეს მეფე ხაყანს და ამან უბრძანა თავისიანებს თვალები დაეთხარათ ტყვეთათვის, რადგან მათ, მეფის გამოსაჯავრებლად მისი სურათი გამოსახეს უთვალებოდ, და შემდეგ იგინი დაახრჩო დიდის ტანჯვით, და გააძრო მათ ტყავი, რომელიც გამოაქნევინა და გაავსებინა თივით და ჩამოჰკიდა ციხის კედლებზე. მტერმა გაძარცვა მთელი ქალაქი, საყდრები და სახლები, შეაგროვა დიდძალი და უთვალავი ტალანტი ოქრო და ვერცხლი და წავიდა თავის ქვეყანაში, ხოლო თვისი შვილი შადი წარგზავნა აღოვანის (აღბანია) (იქვე, გვ. 119—120).

ხაზართა მეომარნი, ტფილისის დარბევის შემდეგ, ისე გამდიდრდენ, რომ ხმარობდენ მხოლოდ „ვერცხ-



ლის ფიალებსა და დოსტაქნებს, ოქროთი დაფუძნებულია
ლებს” (იქვე გვ. 126).

ჯერ ყველა ეს ამპები არც კი დაწყნარებულიყო,
რომ არაბები შემოესივნენ მცირე აზიასა და იქიდგან
სომხეთსა და საქართველოს. ქაზარეველნი და საქართ-
ველოს ერთი ამაռუ ებრძოდნენ არაბებს. მოავიას
ბრძანებით ჰაბიბი, მოსლემას შეიღი, 638 წ. იქერს
დოვინს, ნახევანს, ვაია-ძორს და ტფილისს, საცა აუ-
ნებს მაპმადიანთა მეციხოვნეთ. ტფილისი არაბთა მო-
ხარკე ხდება. იკიე არაბნი იპყრობენ ხუნანს, გარდა-
ბანს, სამუხეს და შავშეთს. 717 წელს საქართველოს
იმონავებს იეზიდი, მოადგილე ხორასნის მმართველის
სულეიმანისა. 731 წელს ხალიფა ჰიშამი, ნაცელად თა-
ვის ძმის მოსლემისა, მედართმთავრად კაცკასიაში ნიშ-
ნავს მერქან ბენ მოჰამედს (მურვან-ყურუ). ამავე წელი-
წალი (731 წ.) ხაზარნი აოხრებენ ტფილის. ამის მი-
ზებად შეიქმნა არილ მოწამის შენიერი ასული შუ-
შან. ამ შუშანის ცოლად შერთვა მოინდომა ქაზარე-
ველთა ხაყანმა და თვისი სურკილი განუცხადა არჩილის
შვილებს იოანესა და ჯუანშერს. ამათ უარი შეუთვა-
ლეს, რადგან „არა ინებეს შევონება დისა თვისისა
წარმართისაგან“. ხაზართა მეფემ იწყინა. თვისი სპასპე-
ტი ბლუან დიდის ჯარით ჩამოგზავნა კახეთს, საცა
ერთს ციხეში შეფარეულ იკვნენ ჯუანშერი და შუ-
შან. ციხე მტრებმა იიღეს, დაატყვევეს ორთავე ბა-
ტონიშვილნი, წამოვიდნენ და დაეცნენ ტფილის,
რომელიც შემუხრეს საფუძველითურთ 731 წ. და და-
რიელისკენ გასწიოს. შუშანმა წარმართის ცოლობას
სიკვდილი ამჯობინა. ბერედში აქნდა სამსალა. დარი-



ელას ოომ მიაწიეს, ამოწოდა სამსალა და მოუკრძალა
შემდეგ ამისა მურვან-ყრუ შედის კახეთში, ამარ-
ცხებს ილანებს 735 წ. ხაზარებს 737 წ. და ლე-
კებს 739 წ. (ვახუშტი, გვ. 114, შენ. 1).
ამავე დროდებან შემოდის საქართველოს სახელწოდება
ჯურზ, ჯორზან.

786 წ. 6 იანვარს ქალაქ ტფილისს დაედგა ნა-
თელი წმ. აბოს მოწამებრივის გვირკვინისა. ამ რიცხვს,
დღესა პარასკევსა, არაბთ საპყრობილითგან გამოიყვა-
ნეს აბო, ურმით მიიკვანეს მეტების ციხის ძირს, ავ-
ლაბრის მეორე ხიდთან, „ადგილსა, რომელსა ეწოდე-
ბის სალოდებელ, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა
მის ქალაქისათა და მუნ გარდამოილება იგი ურმისა მისგან
და დაღვეს იგი ქუცყანასა და მოილება თიკა და შეშა და
ნავთი და დაასხეს გრამა მას ზედა წმიდასა.“ და აღაგზ-
ნეს ცეცხლი და დაწუნეს ხორცნი მოწამისანი ადგილსა
მას, რომელ არს აღმოსავლეთით ციხესა ქალაქისა, ა
რომელსა სადილევო პრევიან, პირსა ზედა კლდისასა,
კბოდესა მტკვრისასა, რომელი განვლის აღმოსავლით
ქალაქსა“. (სამოთხე, გვ. 346).

აშოტ კურატპალატის ეამს (787—826 წ.) რაო-
დენათმე მოუძღურდნენ არაბნი. აშოტმა თვისი უფ-
ლობა განამტკიცა, „სახლად მისა იყო ტფილისი და
ბარდავი“ (განჯა) და „ტფილის არღარავინ დარჩა სარ-
კინოზთაგანი, თვინიერ ალიშუაბის ძისა“.

ხოლო 788 წ. აშოტი და აფხაზთა მეფე თეოდო-
სი შეებნენ კახეთის მთავარს გრიგოლს, რომლის მომ-
ხრე იყვნენ ტფილისის ამირი ალიშუაბის ძე, მთიულ-
ნი და წანარნი. შეიბნენ ქსანზედ. აშოტმა გაიმარჯვა.
მას დაემორჩილა ქვეყანა კლარჯეთიდგან ქსამდე. მაგ-



რამ მაღვ არაპეთით მოვიდა ხალილ იზიდის ძე შემატებული დაიპურა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. აშოტი გაიქცა, მარამ მტრეუმა დაამარცხეს იგი და დაპკლეს არტანუჯის პეტრე-პავლეს ტაძარში.

ალიშვილის ძის შემდევ ტფილისში ამირობდა საჰაკი იქმაველის ძე. მერმე მოვიდა მოპმედ ხალილის ძე. მას არ დაემორილა ტფილისის ამირა საჰაკი. მოპმედმა ქართლის მეფედ დასვა ბაგრატ აშოტის ძე და მის შემწეობით შეეგა საჰაკს სოფელ რეხის. საჰაკს შეეწიკნენ კახეთიდვან გარდაბანელნი. საკრიკი ბრძოლა მოხდა. ვერც ერთმა მარემ ვერ გაიმარჯვა. მოპმედი აიყარა და ბარდაცს წავიდა.

ამის მუნიბმა ამირა მუმლმა ბალდადელმა დიდის ჯარით გამოვჩავნა ბულა თურქი, რომელმაც აღაოჩრა სომხითი და მოადგა ქ. ტფილის, „რამეთუ არა მორილობდეს“ და მოპკლა ამირა ტფილისისა საჰაკ და შემუსრა ტფილისი და დაწვა ცეცხლითა და მოაოჩრა ყოველნი არენი მისნი. ამ ბულამ თავზარი დასცა მთელს კავკასიას, მაგრამ იგი ბალდადეს დაიბარეს და მის ადგილას ხალიფამ ამირად დასვა მოპამედ ხალილის ძე, ამის შემდევ ისე შინის ძე, მერე აბრაჰამ, შემდევ იგივე მოპამედ, მერე გაბლუკ, რომელიც შეიძყრა მეფე გურამმა და წარგზავნა საბერძნეთს. ამის შემდევ საქართველოს სედ-ბედი და მათან ტფილისისაც, თუმცა აქ ამირები კიდევ უფლობდენ, დიდს წარმატებაში შევიდა (ქართლ. ც. გვ. 191).

ზემორე ხსენეულ საჰაკის მოკულის შესახებ მემორიანე თომა არწრუნი სწერს: *) „ამირა საჰაკს არაბთ

* Сიმ. ენა. ი ქავ., რ. VI, გრ. 274.

შესწამეს ღალატი. არაბთ ეფონათ საპაკი სცდლულისათვის დამოუკიდებლობა მოიპოვოსო. ამიტომ ხალიფამ გამოზავნა სისტლის მწოველი ბუღა თურქი. არაბთა ლაშქარი მოადგა ტფილის, აილო იგი და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლი სწრაფად აბრიალდა, რაღვან შენობანი ხისა იყო. ამირა საპაკმა წამოისხა წაევის ტყავი, ხელში დაიკირა კვერთი, გამოვიდა ქალაქის იმ კარგბიდან, რომელიც იყო სამშეილდისკენ მიმავალს გზაზედ, მაგრამ იგი შეიძლება და წარუდგინეს ბუღას. საპაკის ცოლმა, შეიტყო-რა თვისის ქმრის შეპურობა, მოინდომა ეშველა მისთვის. იგი მეტად ლამაზი იყო და ძლიერებითა და თვისის სიმშევნიერით მოხიბლა ბუღა. მისს ქმარს მიენიჭა სიცოცლე, მაგრამ დროებით ბუღა ეტრფიალა საპაკის ცოლს და მოინდომა მეუღლედ დაესვა იგი. ამიტომ მან უბრძანა თვის ჯალათებს მოეკლათ საპაკი. საპაკს თვიდ გააგდებინეს. შემდეგში ბუღა მოკლულ იქმნა საპაკის ცოლის მიერ".

არაბებმა თვისის მფლობელობის უამს ფრიად შეგღილეს ზნეობა ტფილისის მკაფიობრთა. თ. არწრუნი ამბობს, რომ უადგილოდ მიმართია წერილობით აღვნიშნო ცველა უსამართლობა ამ ქალაქისა და მისნი ბოროტებანი, რომელნიც გარდაემეტა სოდომისა და იერიქოსას. (იქნე, გვ. 274).

არაბთა მწერლების თქმით ტფილის „პერნდა თვისი ობსერვატორია. ეს ობსერვატორია, ალბალ, ციხეში, კალაში, იყო. ტფილისი კავკასიის მხრივ მესამე ქალაქად ითვლებოდა: ბარდა, დარუბანდი, ტფილისი. ეს ქალაქი შემოზღუდული იყო ორის გალავნით და შეფენილი იყო მტკერის აქტი-იქით მაღლობებზე. მდინარის ერთს ნაპარას სცხოვრობდნენ „ურწმუნონი“

(ქრისტიანენი), რომელთა ტაძრების გუმბათებიდან მოისმოდა ზარის რეკა; მეორე ნაპირას ესახლნენ მაჰმადიანნი და მათის მიზეთებიდგან მოლები იწვევდნენ „მართლ-მორწმუნეთ“ სალოცავად. სახლების ბანები ერდო-ერდო მიყრილიყვნენ მთის ფერდობებზე. გოგირდიანი ცხელი წყლის წყაროები შეაღენდნენ ქალაქის სიმდიდრეს. ამ აპანოებით სარგებლობდნენ მხოლოდ მაჰმადიანნი. თფილისს ჰქონდა საქმაო აღებ-მიცემა. ტფილისიდგან გაპქონდათ: თაფლი, ხორბალი, ხალები, მატყლეულის ნაქსოვები, გაპენტილი ბამბა, ბარკის საქონელი და მონები“. (იქვე-გვ. 274).

ბაგრატ III-ის გამზერთანებულის ეპმ (980—1014 წ.) საქართველო მეტად ძლიერდება. მემატიანის სუმბატის (მე-XI საუკ.) სიტყვით (სამი ქ., გვ. 65), ბაგრატ „ეუფლა ტაოს, მამულსა თვისსა, და დაიბყრა ყოველი კავკასია ოვითმპურობელობითა ჯიქეთიდგან ვიღრე გარანგეთამდე, ხოლო ადარბადაგანი (ადრიბე-ეანი) და შარვანი (შირვანი) მოჩარკე ყო სომხითისა ხელმწიფებითა და... მოიყრანა კლარჯეთის მეფენი სუმბატ და გურგენ, პატიმარ-უჭუნა იგინი ციხესა შინა თმოვეისასა და ალიხუნა ქურებანი მათნი“. ტფილისის ამირად მარტო არდილი-ლა დარჩა წინანდელის ამირობისა.

1038 წ. ბაგრატ IV-მ ალყა შემოარტყა ტფილის. ქალაქის მკვიდრთ გაუკირდათ შთაკეტილ ქალაქში ცხოვრება და განიხრას ქალაქის კარები გაეღოთ მეფისათვის. ტფილისის ამირმა გააქეთებინა ტივები, რომ გაქცეულიყო განჯას. მაგრამ ბოროტმა კაცებმა შულლი ჩამოაკდეს მეფესა და მის წარჩინებულ თანამოღვაწის ლიპარიტ ორბელიანის შორის. ამიტომ

ბაგრატმა ამირად ტფილისისა იგივე ამირა დაამტკიცა და თეითონ განშორდა ქალაქებს. მალე მოკვდა ტფილისის ამირა და მოქალაქეთ მოიწვიეს მეფე ბაგრატი და გადასცეს მას ქალაქის კლიტენი. მეფე „შევიდა ტფილის და დაჯდა სახლსა საამიროსა და დაიპყრა კალა-ტფილისი, ხოლო ისანი არა მოსცეს და ბრძოლნენ ძლიერად“. ამ დროს მეფეს ეწვია კახეთის მეფე გაკი თავის ლაშქრით. ბაგრატი მათ დაუხვდა ისნის ველზედ, „ითაცვანნა იგინი და განუტევნა მშვიდობით“.

ამავე ხანებში მეტად განძლიერდნენ თურქნი, რომელთაც დაიპყრეს მთელი მცირე აზია და საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთი ქვეყნები. თურქთა სულტანი ართასარანი უგრძნეულად შემოვიდა საქართველოში, დაიპყრა თრიალეთი, აილო ახალქალაქი და ანისი. მას მიემხრნენ განჯის მთავარი ფადლონი, კახეთის მეფე აღსართანი და შემოჰყუნენ ქართლს (1068 წ.). სულტანი დადგა სოფელ კარბს და მერე იქიდგან წამოვიდა, დაიპყრა ტფილისი და მისცა იკი ფადლონს, და თვითონ წავიდა განჯისაკენ. მას ჰყვანდა 500,000 მეომარნი (ქართ. ც. 231), რომელნიც აოხრებდენ ქართლს. მისი დაპრუნების მიზეზი ის იყო, რომ ბაგრატმა შემოირიკა იგი. გაზაფულის ეჭამს აღელდა მტკვარი ისე, რომ წყალი ველარ ეტეოდა მის კალაპოტში. დიდწლობამ წალეკა მტკვრის ნაპირები, და მტრის აქ დარენილ მეომართაგან მრავალი დაარო. ამავე დროს ფადლონი მეტად განლაღდა, გაამპარტავნდა და უსჯულ ოებას მიჰყო ხელი. იწყო „ტფილისის სიახლესა საღამე გამოკვანებასა ხელოსანთასა“. მეფე ბაგრატი მოვიდა აფხაზეთიდან და დადგა დიდგორს,

საზაფხულო აგარაკს. ფადლონში არად ჩაგდო შეფუძ
ღიდვორს დგომა, შეპყარა 33,000 მეომარი, მივიდა
ტფილისს და დადგა ველსა ისნიასა. აქ დასტოვა
თვისი კარვები და თვითონ შეესა ქართლს და რბევა
დაუწყო. ბაგრატმა წარგზავნა თვისი მხედრობა შესაპ-
ყრობად მტრისა. ფადლონი დამარცხულ და ტყვე-ჭმილ
იქმნა. იგი „გასკეს ძელსა“ და დაიპყრეს ტფილისი,
ვსაცა „გაამირებასა ლამობდა შეგინ ქალაქს მდგომ
ინმე“, ბაგრატმა ტფილისი მისცა სითლარაბას, რო-ი
მელიც დანართის იდგა და თვითონ დაისაკუთრა ციხენი:
რუსთავი, ფარცხისი, აკარანი, გრიკოლ-ჭმილანი და
ქვეაზნი და მიიღო 44,000 დრაჟანი და დაიტევა მძე-
ვალნი (ფადლონის ძმის-წული და განჯის სამნი თავიდ-
ნი). (გვ. 233). გარნა ფადლონი სულტანის მიერ წარ-
მოგზავნილ ალხაზის შუამდგომლობით განათავისუფლა
მეფემ და გაისტუმრა განჯას. ბაგრამ ფადლონშა არ
მოისვენა. ბაგრატი რომ იმერეთს იყო, ფადლონი მი-
კიდა და დაიპურა ციხენი ქვეაზნი და აგარანი. განრის-
ხებული მეფე გადმოკიდა ქართლს. მისი შვილი გიორგი
დიდის ჯარით დაეცა ფადლონს, დაამარცხა იგი, მიჰურა
გაქცეულ მტერს, მიადგა განჯას, დაიპყრა იგი და
„აღილო ტყვე და ნატყვენავი ურიცხვი“ (გვ. 233).

ტფილისის ალბა ციხეებიანად წილად ხვდა დავით
აღმაშენებელს. პირველსაც დღეს თვისის ქალაქში შე-
სკლისას მეფის ბრძანებით ჩამოახრჩეს 500 მაჭმადიანი.
ეს მეფე გულჩვილი კაცი იყო და პატივით ეპყრობო-
და ყველა ტომის კაცს, და თუ 500 მაჭმადიანი ჩამო-
ართობინა, ეს ალბად იმიტომ, რომ თავზარი დაეცა
და შეეშინებინა საქართველოს მოსის ლე მტერნი, რო-
მელნიც არბევა-კუვდნენ, ულეტავდნენ და ოწიოკებ-

დენ ერს, გაუმაძღარ მკალხავით სძოვდნენ მის ნაცოფ-
ნაშრომს. თუ რაბამ დიდი უნდა ყოფილიყო მაშინდელი
ქართველი კაცის ზიღლი და მძულვარება მტრისადმი,
სავიროა მოკლედ და ქრონოლოგიურად იღვნეუსხოთ
ის პრძოლანი, რომელიც გადიხადა მეფე დავითმა, ვი-
დრე იგი აიღებდა ტფილისს.

დავითი რომ გამეფდა (1089 წ.), მტრებს მაშინ
ექირათ ასისფორნი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავ-
შეთი, აქარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, კუმნ-დიდი,
ტფილისი, მუხრანი, რუთავი, აგარანი, სამშვილდე,
რანი, შაქ-შირვანი. მათვე ივანობის დღეს (1080 წ.)
დაეწვათ ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაპ-
ნონი.

1105 წ. მეფე დავითმა დაამარცხა განძის ოთა? აგი,
დაიპყრა და შემოიერთა კახეთი.

1110 წ. აიღო სამშვილდე და ძერნა.

1115 წ. მუხნარი (მუხრანი).

1116 წ. თებერვალს კლარჯეთი ბასინამდე და
კარნიფორამდე.

1117 წ. ციხე გიში (ნუხი) და შირვანის ქალაქი
ქალაძორი.

1118 წ. დაიპყრა რახეის (არეზის) ქვეყანა, აგრე-
თვე ლორე და აგარანი (ივლისის თვეში) და მეორე
დღეს ცის-კარი.

1120 წ. 14 თებერვალს შემუსრა თურქთა ძალი
ბოტორის, იქიდგან წავიდა და აიღო შარვანის ქალაქი
ყაბალა, მერე 7 მაისს დაიპყრა შარვანი არაპია-ლი-
ჟათით ქურდევანამდე და შიშტლანთამდე; ნოემბრის
თვეში მეფემ მოსრა თურქნი აშორნას და სევკელამეჯს
და „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

1121 წ. მარტის თვეს მეფემ ამოსწყვიტა — თურქ-
განი მტკვარსა, გაგსა და ბერდუჯს შორის მდგომა-
რენი; ივნისის თვეში მეფემ დაიპყრა არაბია და ბარ-
დავი (განჯა); აცვისტოს 18 სამი საათის ბრძოლაში
დავით მეფემ შემუსრა თურქთა ურიცხვი ლაშქარი და და-
იპყრა თრიალეთი, მანგლისი და დიდგორი.

1122 წ. მეფემ აიღო ტფილისი.

1123 წ. მაისს დაამარცხა თურქთა სულტანი და
წაართვა შამანია და შემუსრა რანის სულტანი ალრუნ-
დული; ივნისის თვეში აიღო გულისტანი.

1124 წ. მარტს აიღო დმანისი; აპრილის თვეში
დაამარცხა შაბურან დარუბანდელი და წაართვა ციხენი
ლასანი და ხოაზაონდი; მაის დაიჭირა სომხითის ციხენი
გაგი, ტერონაკალი, ქავაზიანი, ნორიბედი, მანასტომნი,
ტალინჯაქარი; ივნისს განკლო ჯავახეთი, კოლა, კარ-
ნიფოლი, ბასიანი სპერამდის და აქაუროპაში დაშო-
ნილი თურქობა მოსრა და ტყვე ჰყო; გამოკლო ბუიათა-
ყური და დასწვა ოლთისი; მოვიდა და დადგა ბოჭა-
ნას-წყაროზედ; აგვისტოს 23 წავიდა ანისის ასალებად
და დაიპყრა ივი.

ყველა ამ ომების დროს მეფემ ამოულიტა, დაახ-
ლოვებით, 600,000 სული მაჭადიანი, და ამდენი კაცის
ცოდვა ედება თვით მათ სულონებს, რომელნიც და-
ვითს დაცინვით იხსენიებდენ, „ტყვეთა მეფედ“ ჰხადო-
დენ, ქართველთა გვარტომის გაქრობასა და ძირიან-
ფესვიანად ამოვდებას ემუქრებოდნენ.

შორს-მხედველმა მეფემ ტფილისზე იერიში მიი-
ტანა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიპყრა მის გარეშე-
მო მდებარე ძლიერი ციხეები და სიმაკრენი, რომელ-

ნიც ზურგს უმაგრებდენ და გაჭირვების უამს შეკელოდ-
ნენ ხოლმე.

ამ სახით, ტფილისი განთავისუფლდა მტერთაგან 1122 წელს და 400-ის წლის მონების უდელი განაგდო. ქართველთა სიხარულს სახლვარი არა ჰქონდა მის გამო, რომ მათ დაუბრუნდათ დედა-ქალაქი, შვენიერი ტფილისი. მტრების მფლობელობის უამს ტფილისის ქართველობა დიდს შეწუხებაში იყო. მემატიანე ამბობს (ქართ. ცხ., გვ. 254), რომ „ქალაქი სავსე იყო სისხ-
ლითა ქრისტიანეთათა; ოდესმე ჰყავიან ლავდავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი ჰყოვნიან ქრისტეანენი; ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოკუ-
ლილთა თურქთა ზედა განსცნიან შემომავალ-გამომა-
ვალი ქრისტეანენი და ტყვეობად სიკვდილსა მისცნიან,
და ესრეთ ისვროდა ქვეყანა მრავალეამ“. ესრეთი უოფა
ქრისტეანეთა ეძვინებოდა სულსა დავითისასაო, დასენს
მემატიანე (გვ. ივიცე) და მოგვითხრობს, რომ ერთხელ
დიდი ქარავანი შემოვიდა ტფილისა. ქარავანი განჯისა
იყო. მას მოპუნენ მრავალნი თურქნი. მათი ნახირი
მოეფინა აელაპილდან ლოჭინამდე . მეფე იდგა ავტა-
ლას. 15 კაცი წარგზავნა ლოჭინს და უბრძანა მოე-
ტაცნათ და მოესრათ მტერთა ნახირი. მათ ეკრე ჰყენს.
მტრებმა შეუტყეს. 100 თურქი მოერთა ნახირის მომ-
ტაცებელთ. სასტიკად შეინენ. ამ დროს მეფე წიგნს
ჰკითხულობდა. შეიტყო-რა ხმაურობა, წიგნი დასტოვა,
შებრძანდა ცხენზე და „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარ-
ცა არწივი და დააბნია ვითარცა კაკანი, გაულიტა
მტერნი, რომელთაგან მცირე ნაწილმა ძლივს შეასწრო
ქალაქს.“

რაც კი ქალაქში მაჰმადიანობა დარჩა, იმათ პა-

ტივით ეპურობოდა დავით მეფე. არაბთა მწერალი აღ-აინი ამბობს: „მაჰმადიანებმა დავითს სთხოვეს ჭრის ტიანები ჩვენთან ერთად აბანოში ნუ შემოვლენო და შეურაცხ-სუფას ნუ მოგვაყენებენო. დავითმა ესრეთი თხოვნა შეუსრულა მათო. მეფე დავითი და მისი შვილი დი-მიტრი ყოველდღე მეტიში იარებოდნენ და ისმენდენ სამეფო ლოცვას და ყორანის კითხვასათ. მეფე უხვად აჯილდოებდა მაჰმადიანთა მოძღვრებსა და ქადაგებსო. მან ტფილისში ააშენა ქარვასლები და სადგურები მო-ქადაგეთა, მოლათა და მგოსანთათვის, რომელთაც ულუფასაც უნიშნავდათ. თუ ამათგან ვინმე ტფილისის დატოვების მოისურვებდა, მეფე გულა-ავსებით ხელს უმართავდა და მგზავრებს ფულს აძლევდა. მაჰმადიანთ უფრო მეტს პატივს სცემდა მეფე, ვიდრე თვით მათნი მთავარნიო * (ვახუშტი, გვ. 185, შენ. 1).

დავითის დროს ვის ხელში იყო ტფილისის ვაჭ-რობა, არა სტანს; მხოლოდ მემატიანე გაკვრით მოი-სენიებს (გვ. 249), რომ 1121 წელს, ე. ი. მაშინ,

*) ქართ. ცხ.: „ადაშენა დავითმან ქსენონი ადგიდს შემსპასებულებსა და შეენაერსა, რომელსა შანა შექრიბნა მმანი თვითოთ სახითა სენითა განცდილები, და მოუმზადა მათ უობ-ლივე სასმარი უნავლებლოდ და უკეტით და განუჩინსა შეს-ვალნა და საღვაწნია; ხოდო თვათ მივიდის, მთიხილნის, მო-იკითხნის და ამითოს უმნის თვათოვეულსა, ჰელიუნებდის მამებრ, სწავლიდის და ჰესტრიდის, განამსნეთბდის; მთხნის ხედითა მისცის მათ ცხედრებსა, სამთხლეებსა და საკედლოთა, თქროსა გმასაუთველსა; განაგის უფაფლი საქმე მათი დიდად მგენიერად და დგოთს მსახურებით“. ესრე სასათქმის დავითის მემატიანე წერ ისევ ტფილისის ადგის წინად.

როდესაც ქალაქი ისევ თურქმანთ ეკირათ, ტფილისია, განჯისა და დმანისის ვაჭრებმა, დაკითისავან. შევიწროებულებმა, შეიღებეს ზოგმა პირი და ზოგმა ხელები. და წაკიდნენ წინაშე თვისის სულთნის და მიუთხრეს მას თვისი ვაჭირება.

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა ტფილისში, საიდგანაც მისი გვამი წაასვენეს და დაასაფლავეს გელათი. (ვახუშტი, გვ. 187).

გორუ მესამისა და მისის ასულის თამარ მეფის დროს ტფილისი დიდა წარმატებაში შევიდა, მოშენდა და ლამაზად მოეწყო. ქალაქის განდიდებასა და გაშვენებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფენი აქ სცხოვრობდენ აქვე იყო საცხოვრებელი ბინა საქართველოს დიდებულთა, დარბაზისეულთა, სეფე-წულთა, მოხელეთა და ლაშქართა; აქედანვე მეფენი გაისტუმრებდნენ ხოლმე ლაშქარს დასაპყრობად სხვა და სხვა ქვეყანათა და ერთა, და ცოველი გამარჯვება მტრებზე ქალაქს ავსებდა აუარებელის სიმღიდრითა: ტყვითა, ძროხითა, აქლემ-ჯორითა, ოქრო-ვერცხლითა, თვალ-მარგალიტითა, ხალებითა და ფარდაუებითა და სხ. და სხ. ამისა გამო ქალაქის ვაჭრობაც ფრიად გააღმებული იყო. ტფილისის მოვაჭრეთ საქონელი შეჭქონდათ შივ საქართველოს დაბა-სოფლებშიაც და მეზობლის ქვეწნებშიაც: ოსეთს, ყიბალს, ჩაინს, დაღისტანს, წერქებს და სხვ. რომ ერეთი დამოკიდებულება ჰქონდა ტფილის გარეშე მდებარე ქვეყნებთან, ამას ნათელს ჰქონდნენ ის გარემოება, რომ თამარისათვის ქმრის ჩამოსაცვანად ყიფაღეთიდგან, წარგზავნეს ქალაქის მკვიდრი და დიდებულ ვაჭართაგანი ზანქან ზორაპავლი, რომელმაც,

უკუკველია, საქართველო-ყიფჩალეთის სამხედრო შეზღუდვის უფრო კარგად იცოდა, ვიდრე სხვათ.

1189 წ. თამარი აღვიდა ტახტზედ და ეკურთხა მეფედ. გვირგვინი რომ დაადგეს თამარს და ხმალი შემოარტყეს, შეიქმნა საერთო სიხარული, „ჰკერეს სპილენძ-კურთა, ბუკთა, ქოხთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა. თაყვანი სცეს, დალოცეს და აღიდეს“.

ტფილისში მეფის სასახლე იყო ისანს (მეტების ციხეში), რომელიც გადმოჰყურებდა მოელს ქალაქს. მკეიდრთა სახლები შეფენილი იყო მტკერის მარჯვნიერა და მარცხნიერ აღმართებსა და ეორაკებზე. ძლიერი ციხის როლი გადავლებული იყო მეტების გორაკისა და მტკერის გაღმა სოლოლაკის მთის მწვერვალებზე, საიდგანაც ჩამოდიოდა ანჩისხატის ეკკლესიამდის და მტკერამდის. სოლოლაკი, ვანჭი, მთაწმინდა, ვერა, კუკია, ჩუღურეთი და ავლაბარი ციხეს გარეთ იყვნენ. სოლოლაკი გაშენებული იყო ბალ-ვენახებით. ვერა, კუკია, ჩუღურეთი, შორეული ავლაბარი და ნავთლული ქალაქის ნახირთა საძოვრად და ნაფუქვრებად ითვლებოდა. ყველა ამ ადგილებში მხოლოდ აქა-იქ მოჩანდნენ თიოთ-ოროლი ეკკლესიები. კუკიის ბოლოს დიდუბში იყო მეფეთა სასახლე და იქვე საყდარი ღვთის მშობლისა. თამარ მეფემ ამ ტაძარში დაიწერა ჯვარი და აქეც გადიხადა თვისი ქორწილი. ეს მოხდა 1193 წელს.

ქორწილის დღეს დიდუბებში შეიყარა დიდძალი ხალხი, ლაშქარი, დიდებულნი, ხელის უფალნი, სამღვდელონი და საერთონი. თავდარიგის მიმცემი იყო თამარის მამიდა რუსულანი, ქვრივი ხვარასნისა და ერა-



კის სულთნისა. ჯვრის წერის შემდეგ ლხინი უმოქალაქობა
„სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. ქორწილი
ქნება, შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და
შარავანდედობისა მათისა“. ერის შესაქცევად და გა-
სართობად მოწვეული იყვნენ მსახიობნი, მგოსანნი და
მუშაითნი. ერი დიდს შვებაჲა და ლხინს მიეცა. ავე-
ლას უხაროდა, რადგან დღეს მათს დედოფალს ცხოვ-
რების ამანაგი გაუტედა, დღეს მათ მიენიჭათ ახოვანი
ხელმწიფე დავით სოსლანი ბაგრატიონი. უხაროდათ
ობოლთაცა, გლახაკთა და ქვრივთაც, რადგან იგინი
ნუგეშინის-ცემულ და გამდიდრებულ იქმნენ; უხარო-
დათ მოვალეთაც, რადგან იგინი განთავისუფლეულ
იქმნენ ვალებისაგან; უხაროდათ სამლელელოთაც, რად-
გან ხელმწიფე ნეფე-პატარძალმა ეკკლესიებს მიანიჭეს
აურაცხელი საბორვარი; უხაროდა ლაშქარსაც, კინა-
იდგან მათ ჰპოვეს საიმედო წინამძლოლი და სპასალართ-
სპასალარი.

ქორწილის შემდეგ ორნივე „მნათობნი“, ორნივე
„მზენი განმანათლებელნი ყოველთანი“, შემოვიდნენ
ტფილისს და დასხდნენ „ტახტსა ბედნიერსა“.

ამავე ქორწინებას ასრე აღწერს საერო ლექსი:

საქართველოს დედოფალი, დედა ქართველისა თამარი,
სიმშევიურით მთხილი, ამთმავადი მზის დარი,
დავით სოსლანის შეუდღე, რომედს უმშენა მან მხარა;
დიდუბები იქთხწინა, სადაც რომ საედარი არა;
სადამთა გაუმართა,— მთიწვია თვისი ჯარი;
ასი სული ცხვარი დაქდა და თრასი ნიშა-სარა;
დურჯი სუფრა გაუშადა, იქნებოდა ასი მხარა;
ქვრივ-თბლებისა უწევდობა თქრო-ვერცხლი დიდი ძაღლი.

ახლა, როდესაც თამარს გამოუჩნდა პატრიტიკული საქართველოს დიდი ხელმწიფე, ძნელი იყო ისეთი გან-დგომილების მოხდენა, როგორც ესა ჰქმნა ამას წინად „ჯორის სახედ ორ-კონება“ ყუთლუ-არსლანშა, რომელმაც მიიბირა უაზნონი, დაიდგა „კარავი ვეღსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელსა“, და ჰყიქრობდა აქედგან თავისუფლად და დამოუკიდებლად ემართა ერი. ამასთანავე მან მიიჩემა ამირსპასალარობა და „გ ანეშადა სომეხთა მეფისა ადგილას ლორეს დაჯდომა“. (ქ. ც., გვ. 281). თამარმა შეაპურობინა იგი, გარნა მისნი მომ-ხრენი გარს შემოადგნენ ისანს და სცდილობდნენ, რა-თა გააშევებინონ ყუთლუ-არსლან და არა მიუშვან ვნებად მისსა. თამარმა არ ინდომა დალუპვა „ჯორის გონება“ კაცისა და მისთა მომხრეთა. მან ორთა დიოფალთა პი-რით ყუთლუს მოსთხოვა მორჩილობა. მეამბოხენი დაწყინარდნენ, მოკიდნენ წინაშე თამარისა და დაკრდომით თაყვანი სცეს მას, და მიცეს პირი ერთგულებისა. ის ორნი დიოფალნი იყვნენ: ერთი ხვაშაქი ცოქელი, დე-და ქართლის ერისთავის რატისა და მეორე კარავ ჯაყელი, დედა „აშ მყოფთა“ სამძივართა.

შემდეგ ამისა დაჯდა თამარი საყდართა ზედა ზე-ამაღლებულთა და იურვა ქვეყნის საქმეთათვის და გაამ-წესა ვაზირნი, სპასპეტნი, ამირ სპასალარი, მეჭურქლეთ უხუცესი, მსახურთ უხუცესი, ამილახორი, ჩუნჩერახი (მზარეულთ უხუცესი), ერისთავნი.

დიდს ლაშქრობისას ქართველთა ჯარი შეიყრდ-ბოდა ხოლმე ქალაქსა და მის სამხრეთის მარივ ტაბა-მელამდე, ყარალაჯამდე და ბერდუჯამდე (მდინ. ლეპედა). ჯარი რომ თავს მოიყრიდა, ატყობინებდენ თამარს, რომელიც მიბრძანდებოდა-რა სალაშქრო ბანაქს, ლო-

ცავდა ჯარს და ისტუმრებდა საბრძოლელად. ლეგენდა მოსილის ლაშქარის დაბრუნებისას თამარი უხვდებოდა ჯარს ტაბახმელასა და აგარონს. იკითხავდა ყველას ცალკ-ცალკე და იწვევდა ქალაქში. ოუ ტყვეთა რიცხვი და დავლა-ალაფი დიდი და უზომო იყო, ყველასა და ყოველივეს ჩამოგებდნენ ხოლმე დიდ-უბის ველზედ ტფილისიდგან ავჭალა-გლდანამდის და შემდეგ მათ დასახედავად გამობრძანდებოდა თამარ დედოფალი. აი მაგ. შანქორის ომიდან (1195 წ.) რომ დაბრუნდა ლაშქარი, მაშინ ამ დიდუბის ველზედ ქალაქის კარიდგან გლდანამდე გამოფენილ-ჩარიგებულ დაწყობილი იქ დროშა ხალიფასი, შემდევ ათაბაგისა, მერე ტყეენი 12,000, ავაზა 40, ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლე-მი 15,000, ყოველი კიდებული; ხოლო „სხვათა სიმღიდიდრეთა და საკურჯლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვად“. ჯველა ამის დახედვის შემდეგ დაბრუნდნენ ქალაქს ყოველნი მოქალაქენი, აღსავანი ოქროთი და სამყაულითა, მრავალ-სახე ჰურკლითა, თვალითა პატიოსნითა და უსასეიდლო მარგალიტითა, ჯავეითა, მუზარადითა, ხმლითა, ფერად-ფერად ნაქსოვითა, ოქრო-ქსოვილითა, მრავალ-ფერ სურნელითა, სპილენძითა. და კიდევ იმდენი დარჩა, რომ „სეფენი აზნაურიანი“ ანაკოფიიდან გულის-ტანამდე აღივსნენ ტყეითა რჩეულითა და საგანმურნი აღევსოთ ოქროითა და ურიცხვითა პატიოსნითა ჭითა. ხან და ხან ტყე იმდენი მოჰყავდათ, რომ ტყვე კაცი იყიდებოდა ნალისა და ჩამის ფასად, ხოლო თვალი პატიოსანი იმდენი მოჰყანდათ, რომ მას არა თვლიდნენ, არამედ „სარწყავით რწყვიდნენ“.

მოხე ჯ.ნაშვილი.

(შემდევი იქნება).

ბიბლიოგრაფიული ჟილიური.

ბერძნებს დექსებია ქართულად.

პოეტურ თაზულების ერთი ენიდან მეორეზედ გადაღება საზოგადოდ ძნელია. მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც სთარგმნის, ასე რომ წვრილმანიც რამ არ უნდა გამოეპაროს; თავისს საკუთარ ენაში, რომელზედაც გადააქვს უცხოდან, რაღა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს და ამას გარდა კიდევ ნიკითაც თანაბარი დედნის დამწერის, რომ გაუსწორდეს; თვარა ისე სიტყვითი სიტყვად გადმოთარგმნა, ცოცხლის მოკვლა და მერე მკვდრის ლვლერ-კით გადათრევა იქნება.

ამიტომაც საზოგადოდ თარგმანი დედნის ჩრდილია ხოლმე.—ყოველ მთარგმნელს, ზემო-მოხსენებულ ღირსებითაც რომ სრული იყოს, ე. ი. ზედმიწევნით იცოდეს ორივე ენა და ნიკითაც უტოლდებოდეს დედნის დამწერს, მაინც კიდევ გამოეპარება ის წვლილმანობა, რომელიც შეადგენს თვითოვეულ ხალას განსაკუთრე-



Յոյժուրո նախարմոյքօ, լոյթեցօ, ռոշարոս: յրտո
աղջոնցք շոնցիս, ամառլոյքօ; Թյու զադադու շրմնոծանց
և ռուզես յրտած էլլուսալուզ. Թյուրց կո—տցություն
և մեց կո առա պյու հա շոնցիստանառ, տազութազած

უძრება სულსა და გულში და თვითქმის უნებურად ჰქიბლავს ადამიანს. ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნიან სახალხო მგოსნები; მათი ლექსები უფრო სასიმღერო არიან, ვიდრე სადეკლამაციო, ხმა-მაღლა საკითხავი, და მართლაც, მათი კითხვის დროს გულში უეჭველად იმღერის მკითხველი. ამ უკანასკნელი დარგის მგოსნები იშვიათად იბადებიან, როგორც ინგლისელების ბორნი, გერმანელების ჰეინჯ, და თუ გნებავთ კოლცოვიც, რომელიც რუსის გრძნობა-გონების პირობაზე, ქებით მოსახსენებელია. ამათთაგანია, მაგრამ უფრო ძლიერი, ფრანსუაზის მკოსანი ბერანჟე, რომელმაც თავისი თანამედროვე საფრანგეთის ყოფა-ცხოვრება სასიმღერო ლექსებით გამოსახა. მისი ლექსები ერთსა და იმავე დროს კიდეც ატკბობენ და კიდევაც ანალვლიანებენ მკითხველს. ჰკითხულობ—გეცინება. მაგრამ იმ სიცილში რაღაც ეკალივით იჩხლიტება. კოველ მის ნათქვამში ლირიზმი და სატირა ერთად არიან შენათხები და თანასწორის ძლიერებით იმორჩილებენ მკითხველს. ამგვარი ნაწარმოების სხვა ენაზედ გადაღება თვითქმის მოუხერხებელია და ვერც არვინ დაიჩემდს, რომ ბერანჟე სამაგალითოდ გვაქვს გადმოღებულიო. კურონჩინისა არ იყოს, ზოვიერთი მთარგმნელი ნიკიერი პოეტები დაუაკლოდენ ბერანჟეს, მაგრამ ისე კი, როგორც მწუხრი განთიადს და მეტად კი არ მოხერდებოდა. ჩვენში პირველად სინჯა გადმოქართულება მისი გ. შუხრან-ბატონშა. რამოდენიმე ლექსი გადმოიღო, მაგრამ, რომ შეატყო თავის თაქს უვარესობა, აიღო ხელი. ჩვენ რამოდენჯერმე ცსინჯეთ, მაგრამ ჩვენი შრომა ბერანჟეს თავში კეტის დაკვრა გამოდგა და დავანებეთ თავი. ყველას რომ ჩვენთვის მოებაძნა და ხელი

აეღო ბერანეეს თარგმნაზე, თქვენი მტერია, ქართველები ისე დავრჩებოდით, როგორც ანდაზა ამბობს: „კარგი არ მაღირსიან და ცუდი არ მაყადრიანო!“ მაგრამ ღმერთმა უშველოს, ჩვენსავით არ მოქცეულა ახალგაზდა პოეტი გვაზავა და ცდილა, რომ ბერანეეს რამოდენიმე ლექსი გადმოეღო ქართულად და ცალკე წიგნაკადაც გამოეცა. „არაობას, კარაობა სჯობიაო“ ნათქვამია და ახალგაზდა პოეტიც მაღლობის ღირსია: ეტყობა, რომ რაც კი შეიძლებოდა ბევრი უცდია და უფრთხილებია; ბერანეეს შეჭიდების რა მოვაპსენოთ, და ისე კი ეტყობა ბ. გვაზავას, რომ ნიკი არ აკლია, მაგრამ როგორცა სჩანს, იმასაც თანვე სდევს თანამედროული ქართული დაუდევრობა და ზარმაცობა: დედა ენის ცოდნაში კოჭლობს და ეს სირცხვილია ნიკიერ ქართველისათვის!.. ჯერ-ჯერობით მეტს აღარას ვიტყვით!..

სიტყვიერების თეორია.

ეს სახელმძღვანელო წიგნი, ამ დაკნინებისა და დაცარვის დროს, ჩვენში შესანიშნავი მოვლინებაა და ქართულ ოჯახებში აუცილებელ განძაღ შესატანი. ამის შემდგენლებს არ ჰქონებიათ არც ცოდნა, არც ბეჯითობა, არც სხვა რამ, რაც კი რამ სავიროა ამ გვარ სახელმძღვანელოს შესადგენად. ცხადია, რომ ნიკი კეთილად მოუხმარიათ, მაგრამ სალიტერატურო მინუშების დამატებაში კი ცოტა უსუსტებიათ: თუმცა არც



მათი მინუშები არიან უკარგისი, მაგრამ ჩვენს უმჯობესი
ლობაში მოიპოვებიან უკეთესი სამინუშოები, და ისინი
გამოპარვიათ. აგრევე დიდი შეცდომაა გაურჩევლად
რაზიკაშვილების ნაწერების სამინუშოდ შემოტანა სა-
ხელმძღვანელოში. ამით მე ის კი არ მინდა ვსოდვა,
რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ!.. პირაქედ, უხვად
არიან მაღლით მიმადლებული. ამ კრებულში რომ და-
ბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემა „გოკოთურ და აფშინა“,
ერთი უკეთესთაგანია მთლიად ჩვენს მწერლობაში.
წვრილმანილექსები, როკორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი
ძმის „ბაზანასი“ და ოედოსი საზოგადოდ სამარტილიტო
შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი. მაგრამ
საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ
ნაწარმოებს ქართულის გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით და
შიგა და შივ ისეთ რამეებს ახორცეტებენ, რომ შვე-
ნიერებას საუწმინდუროდ ჰდალვენ!.. ვინ არ იცის, რომ
ქართული ენის სიმღიდრეს უმეტესად შეაღენენ ზმნები,
მათი უღლილება და მიმოხვრა!.. ვინც ზმნებს ჯეროვა-
ნად ვერ ხმარობს, ის უექველად ქართული ენის უმე-
ცარია!.. და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვე-
რა, ანუ უფრო მართალი იქმნება ვსოდვათ, განზრაა
არა ხმარობენ სისწორით. ამახინჯებენ და ეს უკუღ-
მართობა სიტყვიერების გარევანი სხივ-ცისკროვნება
ჰგონიათ!.. მაგალითად:

„ვაჭმე, იღუბვის ქვეშანა
ფშავდები ჩატბოცავის, (ე. ი. დაუხოდით)
წასული სისხლის ღვარით,—
დესეთში გაურეკავის, (ე. ი. გაურეკათ). (გვ. 614).

ანუ ეს:

„იქთ გავხედნებ—მოქმია, (ე. ი. გაფიხედავ—მოქმია),
 მაღდა ავხედნებ—ცა არის, (ე. ი. ავიხედავ—ცა არის),

და ანუ თედოსი: [გვ. 615].

„მინდორთ, მინდვრის დედა!“
 ნიკარა შეიბრალოდეთ!
 რომ მოგვდეს, თქვენსა კადოსში
 მიაღეთ, მიიბაროდეთ,
 ნუ გახდით საუფაფ-უორნედ,
 შვალურად შეინახოდეთ!!“ და სხვანი. (გვ. 618).

ეს ზმები: „ჩაუხოცავის, გაურეკავის, გავხედ-
 ნებ, ავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ“ და სხვ.
 ამგვარნი, ნეტავი რა ფრატებია და ლრამატიკულს რო-
 მელ კანონთაგანს ეთანხმება?.. არ გავონებსო ეს რუ-
 სის მოჩიროვილ ქართულს, როდესაც ის წალის მაგი-
 ერად „ცაუდის“ ამბობს და „გავაკეთებ“-ის ნაცვლად
 „გაუძები მე“-ს? გვეტყვიან: „მათ მხარეში, მოქმი
 ხალხი სწორედ მაგრე ხმარობს მაგ სიტყვებს და ეს
 პროვინციალიზმია!“ ჩვენ საზოგადოდ პროვინცია-
 ლიზმის წინააღმდეგი არა ვართ!.. სხვა-და-სხვა მხარე-
 ებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარენილი, განსაკუთ-
 რებით მთა-აღვილებში, რომ მათი გამოქებნა და მითი
 ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა; აგ-
 რევე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი საღმე პრო-
 ვინციაში გასპეტაკებულა და დედა-ენის კანონის თანა-
 ხმად აღმოცენებულა, მისაბაძავია საყოველთაოდ...
 ამგვარ კანონიერ რამეებით, რომ შევავსოთ და გავა-
 სუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის. მაგრამ ის, რაც
 დედა ენის წინააღმდეგ სხვა-და-სხვა მხარეებში, პრო-

ვინციებში, გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელ-მოსაკიდები კი არა პირ-იქით გასადევნია!.. მაგალითად, გურიაში ამბობენ: „ნენა! რას უყუნცულებ? დროა პაწა შუკიდოთ ცეხლს და ჩა ვავათ. (დედა! რას უცდი, დროა შევუკიდოთ ცეცხლს და ჩაი დავლიოთ).

იმერეთში: დანები მოსულარიან და აქანეი ჯილა-რიან. (დები მოსულან და აქ ჯიან, ანუ სხედან).

რაჭაში: ქვე ქნიან ფონ ქვერე ჩემ გოჭუკელის. (ფონს ქვეით (წყლის პირად) ასო-ასოდ სკრიან ჩემ გოჭეს).

ქართლში: ჯალაპი ოპაზე წავასხი და ჩვენთან ერთად ფოფოდიაც მოაბოტებდა. (სახლობა ხატობაზე, (ანუ ჯვარობაზე, ანუ დღეობაზე) წავიყვანე და ჩვენ. თან ერთად მღვდლის ცოლიც მოღიოდა). ამგვარი რამ ყოველ კუთხეშია—ე'ენი ყველა პროეინტიალიზმია; მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამების შემოტანა, აქაო და ჩვენ კუთხეში ასე ხმარობენო, ნუ თუ ენის გარყვნა არ იქნება? სხვებმაც რომ რაზიკაშვილებსა-ვით ზმნები ამახინჯონ და სწერონ: „ჯილარიან, გაშ-პა, ქვე ქნიან, მოაბოტებს“ და სხვანი—ბაბილონის გოდოლის დაქცევის შედეგი იქნება!... მიუხედავად ამ წვრილმანი ნაკლისა, მაინც კიდევვიტყვით, რომ ეს

წიგნი ყოველ ქართულ ღჯახისათვის საკიროს, უფრო, რომ შეძენაც აღვილია: სულ ღირს ერთ მანეთად.

ისტორია საქართველოს ეპედესისა

წიგნი I

მოქმედა ქართველთა, შედგენიდა რუსულ ენაზე მ. ჭანაშვილის განხილვას.

ბევრის თქმა საკირო აღარ არის!.. ამ წიგნის შემდგენელის სახელი ამტკიცებს, რომ ეს თხზულება ქარგი რამ უნდა იყოს. ბ. მ. ჯანაშვილი იმ იშვიათ მოღვაწეთაგანია, რომელნიც დღეს ცოტათი კიდევ გვაგონებენ ძველ ქართველ მოღვაწეებს—იმ საღიღებელ პირებს, რომელნიც თავუდადებით შრომობდენ და სასყიდლად ითვლიდენ, საქვეყნო ვალის მოხდით გამოწეულ, საიდუმლო სიტკბოებას!....

სიტონ ჭყანდიდლის ქადაგისნი

უფლად სამდვდედთის იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის
გამოცემა.

მამა-პაპების ზეპირ-გადმონაცემობით, ვის არ გაუ-
გონია ჩვენში ანტონ ჭყანდიდლის ქადა-დიდება და
როგორც მცევრ-მეტყველი მქადაგებლის მაღალ საფეხურზე
დგომა?!.. გადმოცემული გვაძვს აგრე მისსიონერ-პატრის
ნათქვამი მის შესახებ: ერთხელ თურმე ფრანგების პატრის
მისსიონერს, რომელმაც სიონში მოისმინა ქართული
ანტონ კათალიკოსის ქადაგება, სასახლეში ჰკიოხეს:
როგორ მოგწონს კათალიკოსის ქადაგება და ვინ უკე-
თხსად ჰქადაგებს: ეს თუ ჭყანდიდლიონი?.. პატრიმა
მიუგო: კარგი მქადაგებელი ის არის, ვინც თავისს აზრს
დიდსა და პატარასა, ნასწავლსა და უსწავლელს ყველას
ერთად ნათლად გააგებიებსო. დიდი საგანი ისე უნდა
დაგრიხოს, დააწვრილოს ორატორმა საჭიროების დროს,
რომ ღირსება-დაუკარგავად ნევსის კურწში გააცრი-
ნოსო. ამას ყოლიფერს შემძლებელობს ანტონ ჭყან-
დიდელი, და მისებრი მქადაგებელი დასავლეთშიაც
ძვირად მოიპოება სადმეო!“ ეს ყოლიფერი რაც აქამდე
ამბად გაგვიგონია, დღეს შეგვიძლია დავამოწმოთ: უკვ-
ლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის
წყალობით, რომელმაც კეთილ-ინება რამოდენიმე ქა-
დაგების ცალკე წიგნად გამოცემა. ამ წიგნს შესავალია დ
მიუძღვის წინა-სიტყვაობა ბ. თ. ქორდანიასი, რომე-
ლიც თუმცა ყოველ-გვარ მოღვაწეობას ჭყანდიდლისას
არ ეხება, სრული ბიოგრაფია არ არის, მაგრამ მაინც

კარგი და მოსაწონი რამ არის!.. სავნის სიკეთეს განხილვის სიკარგეც გამოუწვევია და ორივე, როგორც ქადაგებანი, ისე წინასიტყვაობა, ერთი მეორეს ათავსებენ. მას ძევდ რაც ეს ქადაგებანი თქმულა ერთ საუკუნეზე შეტია, მაგრამ დღესაც კიდევ, როგორც ენის მხრით, ისე აზრის სიღიადითაც სამაგალითო მინუშებად ჩასათვალია!—დღეს რომ კითხვის დროს კაცი ასე საოცრად იხიბლება, რა უნდა ეკრძნოთ იმ დროს მსმენელებს, რომელთაც ორატორის პირისაგან ესმოდათ ცხოველი სიტუა?—იმათ, ვინც ჩვენს წასრულს აბუჩად იგდებს, წაიკითხონ და ნახონ, თუ რა მაღალ ხარისხზე ყოფილი აყვანილი საქართველოში საღმრთო სიტყვიერება?—და როგორი წარმომადგენლები ჰყოლიათ? შეადარონ იმათ, რომელთაც დიპლომები ხელში უჭირავსთ, მაგრამ თავისი საკუთარი კი ჭყუტ!.. როგორც თავში, ისე გულშიაც!.. მის ნაცვლად, რომ ჩვენ დღევანდელმა ქართველებმა ფარდა აქადოთ და სინათლე მიჟაფინოთ, უფროც ვაბნელებთ!.. ვინ იცის, რამდენიამისათანა, შეიძლება კიდევ უკეთესიც, საერთ განძი გადმოუციათ ჩვენ ძველებს ჩვენთვის და სადა პერიან, ჩვენ არც კი ვიცით. ვინც იმათ გამოაებნის და გამოაცემს, ღვთისა და კაცის სასიამოქნო საქმეს იზამა!—მაგრამ დღეს ვინ-და ეძებს ან ერთსა და ან მეორეს? ბაღევში, სასტუმროებში, და ათას ამ გვარ საცუნდრუქო რამეებში არასა ვზოგავთ! საზანდრების გადასაგდებათ, არტისტების თავზე გადასაყრელად, ულირსების შესაწევრად, სამეტიაჩოდ და სამაიმუნოდ არასა ვზოგავთ და ხელშიაც მოგვყვება ვხარჯოთ!.. და ამ გვარ საშვილიშვილო რამეზე მცი-

რედსაც ვერ ვიმეტებთ! აი რას ჰქვიან დაგონჯება?.. ამისთანა დროს ცოტა რამეც დიდათ ჩაითვლება, და ამიტომაც საქებია ამ წიგნის გამომცემი. გამოცემული კარგად არის სტამბის მხრითაც. არც ძვირია: მანეთნახევრადა (1,50) ლირს. მხოლოდ გულ-სანაკლო ის არის, რომ ცოტა გამოუციათ, მხოლოდ ეკულესიების შესაძენად, მაშინ როდესაც, უფრო მეტი რომ ყოფილიყო და იაფიც, ერის კაცებიც შეიძენდენ და კარგი იქნებოდა.

მემკვე ნომერი, ანუ ხალაფის წანააღმდეგია.

ამბავი იდდიზ-კიოსკიდან.

მეორე წელიწადია, რაც ეს პატარა ამზავი გამოვიდა ცალკე წიგნაკად. ბოლოში რომ „იასე რაჭველი“ არ იყოს მოწერილი, ჩვენ ეს პატარა მოთხრობა ვინმე ცნობილ, ევროპის მწერლის ნაწარმოები გვეკონებოდა. მართლა რომ ევროპიულ გემოზეა დაწერალი!.. აკტორი, გაუკირველი, თეითო-ოროლი კალმის გაკვრით გვითვალისწინებს სტამბოლის ცხოვრების, მისის ფარდა-ჩამოფარებულ ჰარემ-ხანებით. ამ თხზულების შინაარსი აქ არ მოგვაქვს, „იმიტომ რომ ცნობის მოუვარე მკითხველი პირდაპირ მიმართავს დედანს და უკეთაც შეიგნებს. ჩვენ მხოლოდ, ამ თხზულების გამოისობით, ცოტას განზე გადავუხვევთ და ვიკითხავთ: ვინ არის ეს „იასე რაჭველი“? — ეს იმ ქართველთაგანია, ვისთვისაც ბედს ურგუნებია ჩვენი ქვეყნის მოშორება!..



მერე და სამშობლოს მოშორება განა დიდი უბედულება
არ არისო? იკითხავს ვინმე. და ჩვენც რასაკვირველია
იმავ აზრისა ვართ: სამუდამოდ თავის სამშობლოს მო-
შორება ნახევარი სიკვდილია, მაგრამ ღროებითი კი
— მხოლოდ გადახალას ება! ეს საზოგადო კანონია, რომე-
ლიც კერძოდ ჩვენ ხალხზე ერთი ორად სჭრის. ჩვენ
ბევრჯელ გვითქვამს და სხვებსაც, რასაკვირველია, შეუ-
ნიშნავი არ დარწებოდათ, რომ იმერელი შინ სხვა და
გარედ კიდევ სულ სხვა: ერთგან — ცუდი, მეორეგან —
კარგი. და რას უნდა მივაწეროთ ეს?.. იმას რომ იმე-
რელი თან-შობილად მდიდარი გრძნობა-გონების შე-
ქონია; მისი ბუნებაც ყოველთვის კარგს მოითქოვს,
მაგრამ გარემოება ჰყარავს მის წალმართობას და აფუ-
ჭებს. დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობა
იმერეთში იმდენად უკუღმართია, რომ
აუზნეურებს იმერელს!.. ის იულებულია, მისი
ბუნების წინააღმდევ იუკუღმართოს, რომ სიცოცხლე
შეიტანოს და ან კი რა ჰქმნა? სწორის გზით რომ
წავიდეს, ათასი რამ, ზოგი სხვებისაგან განხრას შე-
მოტანილი და ზოგიც შინაური უგნურების ნაყოფი,
წინ ეღობება, და თუ არ მიუხ-მოუხვია, ხომ დარჩება
საპყრიდ და სისაცინო ნაცარქექიად! იცის რომ გარს
ისეთი ხალხი ახვევია, რომელიც მას არა ჰქოვავს:
სადაც მოასწრებს იქ ჩაჰუავს; და თვითონაც იმავ
იარაღს ეპოტინება, რომ მტერი მოიგეროს. თუ ასე
არა ჰქმნა, და ფარამალი დააგდო, დაიღუპება. მაგრამ
იგივე იმერელი ნახეთ სხვაგან სადმე, სადაც იმას კო-
კებში არავინ შეჰყურებს და ხელს არავინ უშლის?!.
მართლა რომ კაცია, თავისთვის კარგი და სხვისიც გა-
მოადევი!.. საზოგადო კანონია, რომ ზოგჯერ ერთის

უკულმართობა მეორესაც გამოიწვევს ხოლმე შაჟულ-
მართოდ. ეს თვით ჩვენ თავზედაც გამოგვიცდია: ამას
წინად ერთი უცხო მათხოვარი შემხვდა და გამომიწოდა
ხელი სამოწყალოსათვის; მე შემეძლო რამოდენიმე
გროში მიმეწოდებია, მაგრამ ხმაც არ გავეცი, გავიარე
ჩემთვის, ვითომ-და ვერც კი შევნიშნე. შინ რომ მივედი
სინიდისმა დამიწყო ქენჯნა!.. გული მეუბნებოდა: რად
წაიდინე შენი ხასიათისა და ქრისტიანობის წინააღმდეგი
საქმე? შეგეძლო გლახაკისათვის შემწეობა მიგეცა და
უყურადღებოდ კი დასტოვე? ეგებ შიმშილითაც კვდება
ახლა და შენ კი... ამ გვარი რამეები მოსვენებს არ
მაძლევდენ. იმავე დროს გონება მეჩურჩულებოდა: ის
უცხო მათხოვარი, მართალია, დღეს შესაბრალისია,
მაგრამ როგორც კი სულს მოიდგავს შენი წყალობით,
ყოველივეს დაივიწყებს. არც გიმოყვრებს და არც გიმევნებ-
რებს, მობასაც შორს დაიკერს და თუ მოგერია ჩაგ-
ყლაპავს!.. ნურც შენი შვილები მოელიან მაგის შვი-
ლებისაგან ხასიეროს! შეიძლება შენი შვილები გა-
ანადგურონ და შენ ნამოსახლზე მაგათ გამოჭიმონ
ციხე-გალავანი!.. ეს კიდეც დაგვიმტკიცა ისტორიამ.
და ხელმეორედ კიდევ წაყრუება და თვალის დახუჭვა
უგნურება იქნება. არა! თუ შენ შენი სამშობლო ქვე-
ყანა გიცვარს, მისი წარსული არ დაგვიიწყებია და მომა-
ვალზედაც ჰფიქრობ, ნუ აპყვები გულს, ნუ გაიკითხავ იმ
მოყვრულად მოსულს, მაგრამ მერმისისათვის კი სამტროდ
მომხადებულ გარეშეს. იმას არც ბუნება, არც ისტორია,
არც დღევანდელი მისი გარემოება, არ მისცემს ნებას,
რომ სამაგიეროდ შევეკავშიროს... შენი დანით დაგ-
კლავს!.. ასე ეწინააღმდეგებოდენ ჩემი გრძნობა და გონე-
ბა ერთმანეთს... მე ვიტანჯებოდი და ბოლოს მაინც

ჩემი სურვილის საწინააღმდეგო საქმე ჩავიდინე. არ გავიკითხე გლახაკი! — ამისი არ იყოს, ბევრი ამ გვარი რამ უშლის იმერელსაც ხელს, რომ მან თავის სახლში კარგი რამ ჩაიდინოს. — მე რომ ჩემდა თვალ შემეძლოს, უკველ იმერელს, დროებით რასაკვირველია, სადმე გავისტუმრებდი... მოვაშორებდი სამშობლოს, რომ გადახალასებულიყო და ადამიანად დაბრუნებოდა ჩვენს ქვეყანას. — მაგრამ ადგილიც არის და ადგილიც, იქით კენ გავისტუმრებდი, სადაც ადამიანის გრძნობა-გონების გაუმჯობესობას ფართო სარბიელი აქვს... საზოგადოდ, ამ აზიდან ეკროპისაკენ. სტამბოლი რა არის?.. სტამბოლი! თურქების სატახტო ქალაქი, რომელიც ბარბაროზის სახელით არის უკველგან ცნობილი, მაგრამ იქაც კი, რადგანაც ევროპიელებს ხშირად ხვდებიან, შეუძლია კაცს გრძნობა-გონებას საზრდო მისცეს და გაიმტკიცოს... აქ შეიძლება მკითხველმა გაიკვირვოს: „საიდან სადაო წმინდა საბაო?“ სად „მევქვე ნომერი“, სად ჩვენებიო? მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ ჯერ ჯერობით კიდევ ნამდვილ-განათლებისათვის ჩვენი მხარეც იგივე კარ-დაკეტილი ჰარებ-ხანაა, სადაც ზნეობითი საკურისები მაოლოდ სასულტანოზე ჰფიქრობენ...

ქრონიკა ღვაბენდები.

რუსულ ქურნალ-გაზეთებში ხან და ხან იწერება ხოლმე ზოგიერთი რამ „გულბათის“ სახელით. და დღეს

კი ცალკე წიგნადაც გამოიცა იმავე „გულბათის“ ხა-
ხელით „ქართული ლეგენდები“. — „გულბათი“ ფხევ-
დონიმია და რადგანაც ავტორს არა ჰსურს თვისის ხა-
ხელისა და გვარის გამომედავნება — არც ჩვენ გვაქვს
უფლება მისი ვინაობა აღვიაროთ. ამას კი ვიტუვით
მხოლოდ, რომ ის არის ქართველი, დიდი ჩამომავლო-
ბისა და ოჯახის ასული, რომელიც რუსეთში დაბადე-
ბულა, იქვე გაზდილა და, რასაკვირველია, ქართული
დედა-ენა ვერ შეუსწავლია. მაგრამ უცხო ენებიდან კი
რაც გაუგონია და გაუგია მისის სამშობლოს შესახებ,
უყურადღებოდ არ დაუგდია — გულსმოდგინებითა და
სიკვარულით უდევნებია თვალუური. შეუსწავლია
უფრო, რასაკვირველია, წარსული ჩვენი ცხოვრება,
და იმ ძველიდან გამოუკრებია ეს „ქართული ლეგენ-
დები“. ეს „ლეგენდები“ დაიპეჭდებიან ჩვენ „კრე-
ბულში“ დრო-გამოშვებით. ამის გადმოქართულება
იყიდული პატივუცემულმა ალექსანდრა მაკარის ასულმა
კნეინა მელიქოვისამ, რომლის შვენიერი ნათარგმნი
დრუჟინინის მოთხრობა „პოლინკა საკსი“ ერთხელ კიდე-
ვაც იყო ქართულ უურნალში დაბეჭდილი. დევ, აქლა
მაინც იგულისხმონ, იმ ცდომილმა, ქართველ ძველი
ოჯახის ასულებმა, რომელნიც თავ-მომწონეობით გაი-
ძახიან: „ჩვენ კარტული არ ვიცით!“ „რად გვინდა
კარტული?“ და სხვანი, რომ გვარიშვილობა და ხარისხი
არა თუ დამცირდება მშობლიურთან დაახლოებით, პირ-
აქით ამაღლდება: შინაურობაში სიყვარულს მოუპოებს
და გარედ პატივის-ცემას. — და მართლაც, ვისაც მამა-
პაპების არა სწამს-რა, შინაურები ეჯავრება, თვის სა-
კუთარ ოჯახის გარეწარია, განა იმას შეუძლიან სხვისი
სიყვარული და გარეშესთან გულ-მართლად შეკედლე-

ბა?! არა!.. ის არის უგულო და უგულლოებზე დიდი ხანია გადაწრითა სთქვა რუსთველმა: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია!“ და ჩვენც ამ კაცთაგან განაკიდ ქალბატონებს მივუთითებთ ამ ორ ოჯახის ასულისაკენ: ერთი მათგანი სამშობლოს გარედ დარჩენილა, მაგრამ იმ სიშორედან კავშირი არ გაუსტელებია, და ქართულად უძევრია მის გულს!.. მეორე მალალ საფეხურზე ასულა, მაგრამ აქაც კიდევ, დაუჯდომელად გაუხდია: ის დედა ენა, რომლიიაც ღალადებდენ ნინო, თამარ, ქეთევან და ჩვენ ძველ დედათა გუნდი.

აბაბი.

ორი გერმანული მაცხოვრის აზრი ქართული
ადგანის შესახებ.

Ueber der Ursprung der Grusinischen Schrift, von Dr. Friedrich Müller, (Sitzungsberichte der Kais. Akad. d. Wiss. in Wien. Phil.-hist. Classe, B. CXXXVII), Wien 1897, 8° s. 12).



ქართველ სნაინის შემთხვებაზე, დ-რ ფრან-
რის მაულელერის. 1897 წ.

ამოქნილმა მეცნიერმა, მრავალ ენეზის
მცოდნებ და გამოცდილმა დ-რმა ფრიდ-
რიხ მიულლერმა ქართულ ანბანსაც
მიუძღვნა მოკლე წერილი, რომელიც
ვენის აკადემიაშ დაბეჭდა თავის სხდო-
მების ანგარიშებში.

ქართულ ანბანის შესახებ ბევრია ნაწერი; მრავალი მეცნიერი ჩვენში და უცხოეთშიაც ცდილა და ცდილობს გამოატკვიოს, როდის ან საიდგან წარმოსდგა ქართული ანბანი, მაგრამ გარკვეული და საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ ვერც ერთს ვერა უოქვამს ოა. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, ვითომც ქართული

անձանո ֆարմաթերապուոս Շերմենյուլու ցայլենոտ. ծ.
ծիրուսսե ամեռածդա—յարտուլո ոնդոյտու անձանու մոեց-
ցուոտ արուո Շեմդցարո,—մացրամ ծ. մուլլույրո ամացես
սածաց՛շո ուրբեաս յշիուցյեծ. մուսու աէրուոտ եղու և եցա-
գան յնճա մոցեցենուո յարտուլ անձանու սատացյ, ու
ցուոնճա համեց սամեցնոյրու գասկենաս գացաւցյոտ.

Սոմեցնու սուրպուոտ,—ամեռած ծ. մուլլույրո,—
յարտուլո անձանո Շեմուոլու մեսրումա, հոմելմապ Շե-
աջցունա սոմեցնու անձանու. յարտուցյեծ յու Յուր-օվյուոտ
ոմաս ամբույզենո, հոմ մը-Ի.Ի սալույնեշո յիրուսիւյմուու
սայարտուցյուոս մեցյեմ ցարնացամա Շեմուոլու յշցուցյու
յարտուլո անձանո,—մեցուրուլուո.

ծ. մուլլույրո չյըր ոմաս որկացյ, հոմելո ան-
ձանու Յուրուցյուուլո,—ելուպուրո ու մեցուրու-
լո, դա ոմ աէրս ացցեծ, հոմ ելուպուրո ծցըրաւ յուրու
մցուցյ, դա Շեմուուո տան-ճա-տան Շեպուլուո մեցուրու-
լուու. ամիս գասամբույզենուո յրումանցրուշո ալարցես
ելուպուր դա մեցուրուլ անձանու 23 նունես (ա, ծ, ց, լ,
յ, չ, տ, ո, լ, մ, ն, ռ, ց, հ, և, յ, յ, լ, պ, Շ,
մ, վ, չ.) դա ամեռած, հոմ մատու մեցացյեծ յցուցյուու
աՇյարա յնճա ույուու. յշցուցյու եցլունաՇյուրյեծ
հոմ Շեցուժառուո ելուպուրս, ալթաւ գանահիյն այուու
մռեանցուլուու ալմռենցյեծ ելուպուրու մեցացեսու, գաս-
ցեն ծ. մուլլույրո.

Հայու ելուպուրո դա մեցուրուլո որուցյ յրուու, ամո-
ւոմ ան յրուո յնճա ույու Յուրուցյուո Շեմուուուլո դա
ան մեռայ. Յալուցըրացյուոս սայրուո յանոնցյուոս մոեց-
ցուոտ, ծ. մուլլույրու աէրուոտ, գայշցյույցյուո ոյմեցյու-
դա, հոմ չյըր մեցուրուլո Շեմուուոտ յարտուցյեծ դա
մերմե մուսցան Շեցուցյուոտ նոյսեա-ելուպուրո դա ասումուց-

რული; დაუჯერებელია, ჯერ მრგვალი, გადაბმული, უფრო ადვილი საწერი ანბანი ჰქონდა ქართველებს და მერმე მათ მაგიერ შემოედოთ ოთხუთხი, მოუხერხებელი ნიშნები. საზოგადო კანონი კი ის არის, რომ რთულიდგან წარმოსდგება მარტივი და ოთხუთხი წერისაგან მრგვალი.

მაშ პირველად იქმნა შემოლებული ხუცური და ბ. მიულლერის აზრით ამ ხუცურის სათავე, წყარო ძველ ებრაელების, არამეების ანბანი არის, რომელიც ქართველებს შემოულიათ ქრ. წინად მე-III საუკუნეში.

მავრამ ბ. მიულლერი ამასთანავე სომხურ მატიანე'აც უჯერებს, ვითომუ მეტროპს შემოელოს ქართველებისათვის ანბანი და ი ამ ორ ერთმანერთის მოწინააღმდეგ აზრის შესათანაბმებლად დაუწერია მას თავისი შრომა.

მთელი ქართული ანბანი მესროპის შემოლებული არ უნდა იყოსო, ამაობს ბ. მიულლერი. სომხურში და ქართულში უკელა ერთი და იგივე ბგერაა და საკვირველი იქმნებოდა, რომ მესროპს, რომელმაც იმის წინად შესარულა თავისი ძნელი შრომა და გამოიგონა სომხური ანბანი, მერმე ქართველებისათვის კიდევ ახალ ანბანის გამოვონება დაეწყო. ქართული ანბანი მესროპის შემოლებული რომ ყოფილიყო, მისი ნიშნები ნამდეილად დაემაგრესებოდა სომხურ ანბანის ნიშნებსო.

მაგრამ ქართული ანბანი არა ჰგავს სომხურს; „ალბად ქართველებს მესროპის მოსკლამდის უკვე ჰქონიათ შემოლებული საკუთარი ანბანი“, და „დარწმუნებითაც შემიძლია ვსოდეა, — დასქენს იგი, — ეს უნდა ყოფილიყო არამეული ანბანი ან სხვა რომელიმე მისივე მსგავსიო“.

არამეულს ანბანს რომ შევადაროთ ქართული, მაშინვე შევამჩნევთ მათში მსგავსებას. ქართულის 17 ნიშანი (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც, თ, ი, კ, ლ, ო, ქ, ს, ტ, უ,) მოგვაგონებს არამეულ ანბანის ნიშნებს; ანბანის რიგი ქართულში და არამეულში ერთი და იგივე არის და ზოგიერთ ნიშნის სახელიც არამეულს, ებრაულს წააგავს და არა ბერძნულს (ზენ, სან, შინ).

ეს საბუთები ბ. მიულლერის აზრით, ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ქართულ ანბანის წყარო არამეულია და ალბად ეს არამეული ანბანი არსებობდა საქართველოში მესროპის მოსვლამდე, და როგორც ქართული მატიანე გადმოკვლემს, შემოღებული იყო ფარნავაზის მიერ ქრ. წინეთ მე-III საუკუნეში.

მესროპმა ეს ანბანი მხოლოდ ცოტაოდნათ შესცვალა და შეავსოთ, ამბობს იგი. ერაულში, არამეულში მოკლე ხმოვანი არ იწერება, და ამის მიხედვით არ იწერებოდათ ალბად. იმ დროის ქართულშიაც. მესროპმა ქართულს მიუმატა ხმოვანების გამომხატველი ნიშნები და საამისოდ ისარგებლა ისევ იმავე არამეულ ანბანით, სადაც გრძელ ხმოვანებისათვის არსებობდა განსაკუთრებული ნიშნები.

მესროპის შემოსკლამდის ქართველებს რომ პქონდათ ანბანი,—არამეულიდგან პირდაპირ შეუცვლელად გადმოღებული არ ყოფილა. ებრაულს, არამეულს ანბანში ძალიან ცოტა ასოა, ქართულ ენას კი ბევრად მეტი სკირია. ქართულ და სოენერ ანბანის უკანასკნელი ნიშნები (შით დაწყებული) არ არსებობს არამეულში და თეთო ამ ორ ენის ანბანში სხვა და სხვა სოხაზულობის არის, ერთმანერთს სრულებით არა ჰგავს.



მესროპის შემოსვლის დროს ქართველების ანბანს გამოი-
კვლებოდა ეს უკანასკნელი ნიშნები, მესროპი ნამდევ-
ლად ახლად გამოკონებულ სომხურ ანბანის ნიშნებს
შემოიღებდა; და ასე თუ ირ მოიქცა, ამის მიზეზი
ისევ ის არის, რომ ქართველებს მის მოსკლამდისაც
დიდი ხნის შემოლებული ჰქონიათ ხმარებაში ეს უკა-
ნასკნელი ნიშნები.

ესლა თავი მოკუყაროთ ბ. მიულლერის ნათქვამს:

1⁰—მხედრული და ხუცური ერთი და იგივეა,
მხოლოდ ხუცური უფრო ადრეა შემოლებული.

2⁰—ქართველებს ქრ. წ. მე III საუკ. შემოულიათ
არამეული ანბანი.

3⁰—ამ ანბანში ქართველებს მესროპის მოსკლამდის
ჩაუმატებიათ რამდენიმე ნიშანი (9; შიოთ დაწესებული),
რომელიც თვითონვე გამოუკონიათ.

4⁰—მაგრამ ხმოვანები კი აკლდათ ანბანში და
მესროპშა მიუმატა მათი გამომხატველი ნიშნები, რო-
მელიც ისესა ისევ იმავე არამეულ ანბანში.

ესლა გავსინჯოთ რამდენად მართალია ბ. მიულ-
ლერი.

ვისაც უკითხავს ხუცური, იმისთვის ცხადია, რომ მხედ-
რულიც და ხუცურიც მართლაც ერთი და იგივეა. მხედრუ-
ლი მხოლოდ მორგვალებული ხუცური ასოებია, გაკრუ-
ლად დაწერილი ხუცური ნიშნები. ბ. მიულლერი მხოლოდ
ეხლანდელს მხედრულს აღარებს ხუცურთან და ამიტომ
ზოგიერთი რამ მისთვის გაუგებრაც დარჩენილია: მათ-
ლოდ 23 ნიშანში უნახავს მსგავსება, ესლა კი, რო-
დესაც მოინარა მე X-XI საუკ. მხედრული და ბ. თა-
ყაიშვილმა გამოსცა კიდეც მე XI საუკ. დაწერილი
ბაგრატ მე IV სიგელი, მხედრულის მაგავსება ხუცურ-



თან უფრო აშკარა ხდება. იმ დროს მხედრული აუკუნისა და მაშინ სხვა ნაირად იწერებოდა და მხოლოდ შემდეგში შეცვლილა წერის გასაადვილებლად. მაშინდელი მხედრული რომ შეცუდაროთ ხუცურს, დავინახავთ, რომ ბ. მიულლერისაგან შედარებულ 23 ნიშანს გარდა, კიდევ სხვა 11 ნიშანი ნამდვილი ხუცურია (ვ, კ, პ, ტ, უ, ჩ, ც, წ, ხ, კ, პ). რჩება შეცუდარებელი კიდევ 4 ნიშანი (ჰ, ა, ჯ, კ, პ, რომელიც შემთხვევით არ არის ნახმარი სიგელში, მაგრამ რაკი დანარჩენი 34 ნიშანი ხუცურში და მაგრამ ერთმანერთს წააგავს, — ამიტომ ამ ოთხს აღარავთარი მნიშვნელობა არა აქვს.

უწინ მხედრული ესლანდელზედ უფრო წააგავდა ხუცურ ხელს; მე-XI საუკ. მხედრული არც ისე მორგვალებულია, როგორც წვენს დროში, ზოგიერთ მხედრულ ნიშანს შემდეგ მობმული კუდი აკლია (ლ, ლ), ზოგი იწერებოდა როგორც ხუცურში (ვ, კ, პ, ჩ, ტ, ც); ერთის სიტყვით თუ არსებობს რაიმე განსხვავება ხუცურსა და მხედრულში, ეს მხოლოდ შემდევი დროის საქმეა. ამიტომ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პირველად ხუცური ხელი ყოფილა შემოლებული.

იმის შესახებ აქ არას ვიტყვით, თუ რამდენად დასაჯერებელია ბ. მიულლერის აზრი, ვითომ ფარნავაზის არამდეული ანბანი შემოედოს ქართველებისთვის. ერთა-ელების ანბანს დიდი გავლენა ჰქონია ბერძნულზედ და სხვა ანბანებზედაც, და არ იქნება საკვირველი, რომ ქართველებსაც ესარგებლათ უკვე არსებულ და იმ დროს მეტად გავრცელებულ ანბანით. ამასვე ამტკიცებს ბ. მიულლერისაგან შედარებული 17 ნიშანიც. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მისი საბუთები არც ისე

მტკიცეა, და ეს კითხვაც ჯერ კიდევ საბოლოოდ შემოღების დაწყვეტილ კითხვად არ უნდა ჩაეთვალით. თვით ბ. მიულლერიც ამბობს, რომ უძველესი ქართული მე-IX საუკ. არის და ამნაირად პირველად ანბანის შემოღების შემდევ გასულა 1200 წელი; ამ 12 საუკუნის განმავლობაში წერის ნიშნები ნამდვილად შეიცვლებოდა, და თუ გვინდა რაიმე გადაწყვეტილ აზრს დავადგეთ, უნდა მოკიცადოთ, სანამ მოინახება უუძველესი ქართული ნაწერები. მანამდე კი ყოველი ჩენი მოსაზრებადვე რჩება და მას სამეცნიერო დამტკიცება აკლია.

დასაჯერებლად მიგვაჩნია ის აზრიც, რომ ქართველებს მესროპის მოსელამდე შემოედოთ ზოვიერთ ბგერის გამოსახატავად რამოდენიმე საკუთარი ნიშანი. დაუჯერებელი და შემცდარი გვვონია მხოლოდ ბ. მიულლერის უკანასკნელი აზრი, ვითომც მესროპმა ქართულ ანბანს მოუმატა ხმოვანების გამომხატველი ნიშნები, შემცდარი იმავე მოსაზრების ძალითაც, რომელიც წამოაყენა თვით ბ. მიულლერმაც.

ქართველებს ებრაელების ანბანი რომ გადმოედოთ უთუოდ ეცდებოდენ ქარგებლათ ამ ანბანის კველი ნიშნებით და ამასთანავე ქართულ ენის კველი ბგერის-თვის შემოედოთ შესაფერი ნიშანი. სემიტურ ენებში და არამეულშიაც არსებობს მოკლე და გრძნელი ხმოვანები; მოკლე ხმოვანი სულ არ იწერება და მნიშვნელოვან გრძელ ხმოვანებისათვის არსებობს განსაკუთრებული ასოები. ქართულში კი კველი ხმოვანი თანასწორია სიკრძით, და ქართველები არამეულ ანბანს რომ გადმოიღებდენ, უთუოდ წაიწყდებოდენ გრძელ ხმოვანების გამომხატველ ასოებსაც. საკვირველი იქნებოდა სწორედ,



რომ მათ ერთის მხრივ მთელი არამეული ანბანსაც დადგინდა
მოელოთ ხმოვანებს გარდა, და მეორეს მხრივ 7 საუ-
კუნის განმავლობაში მუდამ უხმოვანოდ ეწერათ,
თუმცა ასეთი წერა სრულებით არ შეეფერება
ქართულ ენის ხასიათს, მეტად უხერხულია და თვით
ქართველებიც იგრძნობდენ ამ უხერხულობას. საკვირ-
ველია, რამ აიტულა ასე უცნაურად მოქცეულიყვნ, და
რატომ ერთხელ არის მაინც არ გაასხენდათ, რომ ამ
უხერხულობის მოსასპობელი საშუალება იმავე ანბანში
არის, რომელიც მათ ჰქონდათ გადმოღებული. ნუ თუ
ამისათვის უთუოდ მესროპის მოსვლა იყო საჭირო?

არამეულში რომ არ ყოფილიყო კიდეც ხმოვანე-
ბისათვის განსაკუთრებული ნიშნები, ქართველები თვი-
თონაც გამოიგონებდენ მათ მესროპამდე, როგორც
გამოუგონიათ, იმავე ბ. მიულლერის მოწმობით, ანბა-
ნის უკანასკნელი ნიშნები. სადაც ერთი ნაკლი შეავსეს,
იქ მეორესაც მოუხერხებდენ შევსებას 6—7 საუკ. გან-
მავლობაში.

მესროპის შემოღებული რომ ყოფილიყო ხმოვა-
ნები ქართულში, ხომ ისევ ახლად გამოგონილ ხომ-
ხურს შემოიღებდა? ამნაირად ჰფიქტობს ბ. მიულლე-
რიც, როდესაც მთელ ანბანის შესახებ არის ბასი,
მაგრამ ავიწყდება ეს მოსახრება, როდესაც მხოლოდ
ხმოვანებზედ დაიწყებს ლაპარაკს. ხომხური და ქართუ-
ლი ხმოვანები კი სრულებით არა ჰგავს ერთმანერთს.

ეს სამი საბუთი სრული საკმარისია იმ აზრის და-
სარღვევად, ვითომც მესროპს შემოელოს ქართულში
ხმოვანების გამომხატველი ნიშნები. დანარენი ანბანი
ხომ თვით ბ. მიულლერის აზრითაც არ არის მისი შე-
ფეროვანი და მომცველი იმავე სამარტინო და გერმანი



მოლებული, და ამნაირად მესროპის ღვაწლი ქართლულია
ანგანის შემოღებაში არარად იქცევა.

მაგრამ ბ. მიულლერს სომხურ მატიანესი სჯერა; სჯერა, რომ ქართულ ანბანს რაღაც აქვს საერთო სომხურთან (მ, ნ, Ը, თ, კ, ლ, რ, ძ-ის მოხაზულობა; ბ, ი, კ, მ, რ, უ, ფ, ჰ-ის სახელები) და ჰუკერობს, ყოველივე ეს უთუოდ ქართველებს უნდა ჰქონდეს გადაღებული სომხებისაგან. ამას ჰუკერობს და ის კი ავიწყდება, რომ მისი საბუთი ორპირი არის. ამავე საბუთით, ე. ი. შიოლოდ ორივე ანბანში ზოგიერთ ნიშანთა მსგავსებით, შეგვიძლია ისიც დავამტკიცოთ, რომ ქართველებს კი არა, პირ იქით სომხებს უნდა ჰქონდეს გადაღებული ქართველებისაგან ყოველივე ის, რაიც მათ ქართველებთან აღმოუჩნდებათ საერთო.

Ist die Äenlichkeit des glagolischen mit dem grusinischen Alphabet Zufall? von Dr. R. Abicht.

8° s. lith. Lpz 1895. Raimund Gerhard.

გლეხოდღირის ქართულ ანიანთინ მხედვების შემთხვევა-
გთან თუ არ? დ. რ. აბიხტი. 1895.

პ. რ. აბიხტის პატარა წიგნაკი გამოიცა 1895 წ.,
ამიტომ მისი გარეთ ეხლა, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულად უნდა ჩავთვალოთ; მაგრამ მისი შინაარსი
ისეთი საგულისხმოა და ჩვენში ჯერ კიდევ ისე ნაკლებად ცნობილი, რომ ეს დაგვიანებული გარეთ ეხლაც არ იქმნება ზედმეტი.

პ. აბიხტის აზრად აქვს, გამოიკვლიოს საიდვან წარმოსდგა სლავური ანბანი, რომელსაც გლავოლიცას უწოდებენ ხოლმე, და დარწმუნებით და გადატრით ამბობს, რომ სლავებს ეს ანბანი გადაულიათ ქართველებიაგან. ამ თავის აზრს პ. აბიხტი ჯერ თეორიულად ასაბუთებს. ამტკიცებს, რომ ისტორიულად ეს გადაღება



ძალიან დასაჯერებელია, და მერმე სათვითოობა რეგბის ერთმანეთში გლაგოლიცას და ქართულ ანბანის ნიშნებსაც.

სლავებს ორი სხვა და სხვა ანბანი ჰქონიათ. გლაგოლიცა და კირილიცა. პირველი ამათში უფრო ძველია, მე-IX საუკუნე. გამოყონილი და უწინდელს დროში უფრო გაუკრელებული ყოფილა. ის როგორ მოგვითხობს სლავების მატიანე ამ ანბანის გამოგონებას: მეფე რასტისლავმა სთხოვა ბიზანტიის იმპერატორს მიქაელს გაეგზავნა მისთვის სარწმუნოების გამავრცელებელი მასწავლებელი, და იმპერატორმაც გარდასცა ეს თაოვნა კონსტანტინე ფილოსოფოსს, რომელიც სტამბოლში სცხოვრობდა. კონსტანტინე დასთანხმდა წასვლაზედ, მხოლოდ საჭიროდ მიაჩნდა რომ რასტისლავის ერს ჰქონდა თვისი ანბანი, საეკკლესიო წიგნების სათარგმნები. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ლოცვა-ველრების შემდევ, კონსტანტინემ „უცეპ“ შეადგინა კიდეც ანბანი და სთარგმნა საღვთო წერილი.

ცხადია, ამპობს ბ. აპიხტი, რომ კონსტანტინეს თვისი ახალი ანბანი არ გამოუვინია; ამას თეთი მატიანეც მოწმობს, როდესაც მოგვითხოვს, რომ კონსტანტინემ „უცეპ“ შეადგინა ანბანი. ამას გარდა ი'იც ვიცით, რომ კონსტანტინეს ეშინოდა, ვად თუ სხვა თვალით შეხედა ხალხმა ჩემს შრომას და ანანის შემოღებისთვის სარწმუნოებრივი მწკალებლობა, მართლ-მადიდებლობაზედ გადადგომა დამწამა. იმ დროს ბევრს სხვა და სხვა ერს ჰქონია ანანი,—სომებს, სპარსელებს, ა'ურელებს და სხვებსაც, მაგრამ ეკენი მართლ-მადიდებელნი არ იყვნენ. და მათი ანბანი რომ შემოეღო კონსტანტინესო, ხალხი უთუოდ ეკვის თეა-



ლით შეხედავდა მის ნაშრომს. ამიტომ საფიქრებელი ადრესი არ კონსტანტინე რომელიმე მართლ-მაღიდებელ ერის ანბანს გადმოიღებდა.

იმ დროს ერთ ძველ ხელო-ნაწერის მოწმობით მხოლოდ ორ, მართლ-მაღიდებელ ერს ჰქონია საკუთარი ანბანი: ბერნებს და ქართველებს. ამიტომ საფიქრებელია რომ კონსტანტინეც ერთ ერთს მათვანს მიმართავდა ანბანის გადმოაღებად.

მაგრამ ბერნული ანბანის სლავებში აღრევე იყო ცნობილი; როსტისლავს და კონსტანტინესაც უნდოდათ საკვირველი, ხალხისათვის უცრო რამ შემოეღოთ, რომ ეს ახალი ანბანი ყველას ჰვონებოდა ღვთისავან მონიკებული და ღვთიურ საჩუქრად მიეღო. ასე მოისახენიებს ამ ანბანს იმპერატორი მიქაელი მეფე რასტისლავთან გაგზავნილ წერილში.

ამასთანავე ბერნულ ანბანში მხოლოდ 24 ნიშანია და ეს სლავურ ენის მრავალ ბერათა გამოსახატავად საკმარისი არ იყო. ქართული ანბანი კი უფრო რთულია, და მისი 38 ნიშანი სრული საკმარისია სლავურ ენისათვის.

ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე ფილო-ოფოსიც, თუ იცნობდა ქართულ ანბანს, მასევ მიმართავდა და არა ბერნულს. ქართულს უფრო გადმოიღებდა, რადგანაც იგი უფრო ვრცელია, და თვით ქართველი ერიც ცნობილი იყო თავის სიმტკიცით მართლ-მაღიდებელ სარწმუნოების დაცვაში.

იმ დროს ქართველებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ სტამილთან, პოლიტიკურად და სარწმუნოებაშიაც ქართველი ერი კავშირს არ სწყვეტდა ერთმორწმუნებიზანტიასთან და მრავალი ქართველი ბა-

ტონიშვილი და დიდებული სცხოვრებდა და იზღრებოდა ბიზანტიის დედა-ქალაქში და თვით იმპერატორის სასახლეშიაც. კონსტანტინე ფილოსოფოსი იმპერატორის წიგნთ-საცავის მცველად ყოფილა, ენების ცოდნაში მეტად განვითარებული, და საკვირველი იქმნებოდა, რომ მას ყურადღება არ მიექცია ქართველების თავისებურ ანბანისათვის.

ამნაირად ისტორიულია მხრივ რომ შევხედოთ ამ საქმეს, მეტად შესაძლო და საფიქრებელიც ხდება, რომ კონსტანტინეს ნაკისრ შრომის ასასრულებლად უნდა მიემართა ქართულ ანბანისათვის, და რომ სლავების გლაგოლიცა შედგენილია ქართულ ანბანის მიხედვით.

მაგრამ მხოლოდ ეს თეორიული, საზოგადო მოსახრება საკმარისი არ არის; საკიროა მას გვერდში ამოვუყენოთ სხვა-გვარი საბუთიც: უნდა შევადაროთ ორივე ანბანი: სლავების გლაგოლიცა და ქართულიც და დავხედოთ თუ მართლა არსებობს მათში რაიმე მსგავსება. პ. აბიხტი სათვითოოდ და დაწვრილებით ადარებს მათ ერთმანეთში და იმ დასკვნას ადგება, რომ გლაგოლიცას ყველა ნიშანი წააგავს ქართულ ანბანის ნიშნებს მხოლოდ ცოტაოდნათ შეცვლილს და გადასცაფერებულს.

ამ შეცვლას პ. აბიხტმა თავისებური კანონებიც გამოუნახა. გლაგოლიცაში ზოგიერთ ქართულ ასოს სხვა მხარესაკენ აქვს მიქცეული თავი; ზოგან ქართუ-

ლის ორი ხაზი შეკავშირებული ან ქართულ ანბანის ორი ნიშანი ერთ ნიშნად შედუღებული სახოგადოთ ყველა ნიშანი წერის სიადვილისათვის ცოტაოდნათ გამოცვლილია, ზოგს კუდი იქნეს მიბმული თავი, გადი-დებული ან მოკვეცილი.

აქ არ შეგვიძლია მკითხველს უფრო დაწვრილე-ბით გადავსცეთ რომელი ქართული ნიშანი და რითი წააგავს გლაგოლიცისას; არ შეკვიძლია იმიტომ, რომ ამას მაგალითები სჭირია და საამისოდ კი აუცილებე-ლი საჭიროა მინუშების, გლაგოლიცის ამოქრა, და ამასთანავე შეუჩეველი მკითხველი, პალეოგრაფიის ძი-რითად კანონების არ მოდნე, ისე ადვილად ვერ მი-უხვდება მსგავსებას იქ, სადაც შეჩვეულ თვალისოვის მსგავსებაც და იგივეობაც აშკარა არის. მაგრამ რომ შეგვძლებოდა გლაგოლიცის აქ დაბეჭდვა, ყველა ად-ვილად მიხვდებოდა, რომ ზოგიერთი ნიშანი (ა, ბ, გ, ე, ვ, მ, ნ, რ, შ, ხ) მართლაც ნამდვილი ქართული არის, მათლოდ წერის სიადვილიათვის ცოტაოდნათ შეცვლილი.

გლაგოლიცა მ-IX საუკუნეშია შემოღებული; ამ ანბანით დაწერილი უძველესი ხელთ-ნაწერი კი მე-X საუკ. ეკუთვნის. მე-X საუკ. არის ის ქართული წარ-წერებიც, რომლითაც სარგებლობდა ბ. აპიხტი ამ შე-დარების დროს. ეს გარემოება რასაკვირველია მეტად აფერხებს საქმეს და შედარებას აძნელებს; ერთის საუ-

კუნის განმაცლობაში გლაგოლიცაც გამოიცვლებოდა
 და ქართულიც. ბ. აბიტი კარგად გრძნობს ამას და
 მიმართავს ქართველ საზოგადოებას იმ თხოვნით, რომ
 გამოსცენ, თუ მოექმნებათ უძველესი ქართულ წერის
 მინუშები, უფრო მე-VIII და მე-IX საუკუნეები. და ეს
 მისი თხოვნა, იმედია, მალე ასრულდება კიდეც, როდე-
 საც „კრებულის“ რედაქცია გამოსცემს მ. ჯანაშვილის
 მიერ შეგროვებულს პალეოკრაფიულ მინუშებს.

ბ. აბიტი გლაგოლიცას ხუცურთან ადარებს.
 თუმცა იმასაც ამბობს, რომ, მისის აზრით, მხედრულ-
 საც უნდა ჰქონოდა გავლენა გლაგოლიცაზედ, მაგრამ
 არ გვიჩვენებს კი რომელი ნიშანი გლაგოლიცაში უფ-
 რო წააგავს მხედრულს და ვერც იტყოდა, რადგანაც
 მას არა ჰქონია უძველეს მხედრულის მინუშები შეა-
 დარებლად.

გლაგოლიცა უფრო გაკრული ხელია, და ამიტომ
 საფიქრებელიც არის, რომ მას გლაგოლიცაზედ ექმნე-
 ბოდა გავლენა. ბაგრატ მე-IV სიგელში შენახული
 მე-XI საუკ. მხედრული, რომ შევადაროთ გლაგოლი-
 ცას, მსგავსება უფრო თვალ-საზონო და აშკარა
 ხდება.

ამნაირად ბ. აბიტი იმ დასკვნას აღვენა, რომ
 სლავებს ქართველებისაგან გადაულიათ თავიანთი ან-
 ბანი.

ეს ფაქტი ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, და არც
უნდა დავივიწყოთ არას დროს, რომ ეს ღვაწლი მაინც
მიგვიძლვის სლავების წინაშე: ყოფილა დრო, როდესაც
ჩვენგან სწავლობდენ წერას; იმ დროს შემოქმედებითი
ძალა და ნიჭი ბლომად შესწევდა ქართველებს და წარ-
მატების გზაზე სიარულიც ეხერხებოდათ. როდესაც
ყველა გვისაყველურებს: რაც გაქვთ სხვებისაგან გად-
მოღებული გაქვთო, ნუ დავივიწყებთ პ. აბიხტის შრო-
მას და თამამად ვუპასუხოთ, რომ არც წენ ვყოფილ-
ვართ სხვისი ურგები და არიან. ისეთნი ტომნიც კი,
ვისთვისაც ჩვენს ანბანს წინა-მძღოლობა გაუწევია.

ბ. მ.

სახული წევა,

ავალები, მათი ვინაობა

თავ-გადასავალი.



ავარდნილი თოხარიეთ მიუაგელვებ ჩემს
 ლურჯას, მივჰერი აღმოსავლეთისაკენ. დი-
 ლის უირხლი სახეს მსუბუკს. ლურჯას ორ-
 თქლის შუქი გამოქმუკა ნეშტოებიდან და
 გაშლილ, ასივეზულ ფაფარზე ეცვევა. ავედი
 უმწვერვალეს წევის სიმაღლეზე და შესდგა ყალყზე ჩემი
 ლურჯა; თითქოს ისიც ისე გაოცდა, როვორც მე. ჯერ
 კიდევ აძლუვალი მხის შუქი, ოდესმე მოუერილი ფარ-
 დის ფერი, ერთ ზაფრანის ფერად ღებავდა აღმოსავ-
 ლეთის ტატნების სიკრცე-ლაუკარდ ფარჩის. ერთი პა-
 ტარა ღრუბლის ნაწყვეტი იქ გალანდული, თითქო
 აღუვებული ნაკვერქებალიაო, ელვარებდა. შემორჩენილი
 ვარსკვლავები აფასურებდენ მოხშირებულად თვალებს
 და იუტებოდენ. დასაელეთისაკენ უქილობით სახე-მო-
 ცატებული, ლამის-თვევით ფერ-დაკარგული მოვარე ის-

ის იყო სპეტაკ ვახტანგის მთებში ჩაპარეას აპირებდა, მაგრამ იმდენს კიდევ აცვიანებდა, რომ თვისი საყვარელი მზისათვის ერთი თვალის გადაკურა მაინც მოესწრო. ამთაცოცა აღუვებული სახე მზემაც, და რომ მოატანა თვალი სატრფოს, სირცხვილით და მის გაქცევის გამო გულ-დაწყვეტით თან გაწითლდა და თან სიყვითლე შეეპარა. მის ელფერ შუქჩე უცნაურად აფერადდენ კავკასიონის ბუმბერაზი ქედები, თითქოს და ატლასის ჩადრები წამოიხურესო, და ჩემს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ წამოსხედილნი გარემო მოხურხლულ, თავ-მოყრილ ქედებს, ბორცვებს თითქო მედიდურნი მფარველნი თავზე დაჰყურებდენ. იალბუზის ნათალ ბროლის ერთიან გვირგვინს გარს შემოხვეული როგორც „ჩალმა“ ღრუბელი ნაირ-ნაირ ცხოველ ფერადად ანთებოდა, თითქოს და ცის-სარტყელაების ჭობა გარშემო შემოვლებიაო. ჩემს წინ ირგვლივ და ყველგან ქვენიური სამოთხე გაშლილიყო, ოქროს ფერად გალამაზებული დილის ცხოველ-მყოფელი ნათელით, ფანტასტიურ სანახავს წარმოადგენდა კავკასიონის კვარცხლ-ბეკები-დან დაწყებული ვაკე-გორეების წითელ-ყვითელი ტუები, ველები და ირგვლივ და ყველგან საუცხოვოდ და მოხდენით გაფანტული სოფლები. აქედან თავზე დაწერებივარ თითქმის მთელ იმერეთს. აქა-იქ სოფლებში გამოქათქათობენ. თეთრი კედლები და ალაპლაპებული ჯვრები საყდრებისა. დასაცლეთ-ჩრდილოეთისაკენ სანა-ხაობა იკარგება ბურუსში, იქ, სადაც სძინავს შავ-ზღვას. იქამდე ვაკე-ველებში პატარ-პატარა სერები თითქო ზეირთები მწვანედ გაყინულან. სამ-კუთხივ მივლის გარეშემო 3—4 ვერსის მანძილზე ხევები: აღმოსავლეთით და სამხრეთით მდინარე ძირულისა, ჩრდილოე-

თისკენ მდინარე ყვირილისა. სამხრეთიდგან მესმის, თუ როგორ ახმაურებს ძირულის ხევის კლდე-ღრეებს დიდი ორთქლ-მავალის ქლოშინი და სტვენა, ჩრდილოეთი-საკენ კი ყვირილის ხევის პატარა ორთქლ-მავალის კივილი; აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ მიდის და მიღის თვალ-გადუწვდენელი ვაკე თუ ტყებუქნარიანი, და თუ ეული მინდვრებიანი „საბაქო“-საკენ. აგრე დასავლეთისკენ ქორივით დაეჩერებივარ წევის ეკკლესიის უზარ-მაზარ ცაცხვს და გარეშემო კალოსავით შემოკრეალულ სასაფლაოს. ქსიტინი დაიწყო ცივმა ნიავმა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ლიხის მთა-გრეხილებიდან წამოიწერა თითქო მსუბუქი, მქრალი ნისლიანი ღრუბლები და გადმოეშალა სამხრეთით წაზოდვილ ვახტანგის მთა-გრეხილების კვარცელ-ბეჭედ დაფენილ სოფლებს. აი, სიმაღლე წევის ამ წვერისა, სადაც მე ეხლა ვდგევარ: სამ-მხრივ წაზოდვილი უზარ-მაზარი მთები დაჰყურებენ წევას, მეოთხე მხარეს კი შავი ზღვისაკენ თვითონ წევა გადადგომია სოფლებს ქედივით. აქედან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ 3-4 ვერსხე მიღის წევის ვაკე-მინდვრები და თავდება იქ, სადაც აღგილს ქვია „მოქუშნული“. აქედან, სადაც ვდგევარ, „საბაქოსკენ“ იწყება „ულევი“. წევის ულევი აღმოსავლეთით ისაზღვრება სოფ. შროშათი, დასავლეთით სოფ. წიფლავაკეთი. ამათ შორის სიგანეა 4-5 ვერსამდე. აქ არის სახნავ-სათესი და საბალახო აღგილები სოფლელებისა, აქა-იქ დაფენებაებში ვენახებია, შიგა-და-შიგ ბუქნარია, სტეები და იშვიათად ტყეები. ამ ვაკეებზე ძალიან დაშორებული არიან მოსახლეები და ორ-ორი, სამ-სამი გლეხი ერთად ცხოვრობენ ერთ ფუძეში, ისიც კიდევ განაპირე საზღვრებისკენ ქარ-ბუქისაგან მიფარებულ ბრეკებში. წევის ულევის აღგილების სახელები: მოქუშნულთან „ყვილიპირი“, ყვილიპირს



მოჰყება „ხშინალი“, ხშინალს „ქანდარა“, ქანდარებულის „ეწერი“, ეწერს „ბარდნალი“, ბარდნალს „თეთრა-წვერი“ და სხვ.

საღაც მე ვდგევარ, აქედან სამხრეთისაკენ და და-სავლეთისაკენ დაიწყება ოღრო-ჩოღრო დაფენებანი წევის წმ. გიორგის საყდრის გასწვრივამდე ირგვლივ. ჯერ ძალიან არ გვერდოვდება, მაგრამ შიგა-და-შიგ ღელეები ჩნდება და მოსახლეობაც აქედან უფრო და უფრო უხშირებს იმ გასწვრივამდე. აქ ერთ ვაკე მინ-დორზე კვირიკობის თვის 15 რიცხვში (3 დღის გან-მავლობაში) იციან ბაზრობა, კარვობა, კვირიკობა, წევობა. 120 კარვამდეა აქ აშენებულ-გამართული. აქე-დან მესამედი ვერსით უფრო ჭვევით დაფენებას ორ-წარებად შეჰყვება ალმაცერად წევის ბაზარი, რომელიც შედგება 30—40 დუქნისაგან და რომელი რიცხვიდან 5—6 დუქანილა ვაჭრობს, სავა ცარიელია და დახურუ-ლი. ბაზარს დასავლეთისკენ წამომართვია ორ-სართუ-ლიანი ჭვითკირის შენობა, წევის ეკულესის სამრევლო სკოლა. აქ სწავლობს დღეს 60 ბავშვე მეტი *). სკო-ლის კედლებზეა მოგდებული ქვის გალავანი საყდრის გარეშემო ვაკეთ შემოკრულ სასაფლაოსი, რომელიც 3—4 ტერამდე იქნება. ეს სასაფლაო იქამდე სავსეა ძვე-ლი და ახალი მკვდრებით, რომ ძალიან ხშირად იღე-ბენ ჯერ დაუხრწნელ ცხედრის ძვლებს და მის აღ-გილზე დასაფლავებულ მკვდარს იყრიან თავზე. გალა-

*) აქ არის თრი მასწავლებელი, ერთი სემინარიელია. აა, ამ გმაწვილის გუდი-მთდგინედახმარებთ და ბავშვის და-უზარებელობით და სისალისით შემცრის უმეტესი ნაწილი ქვემთ მოჰყანიდი ზეპირ-სიტყვათბისა.

ვანს უცლის ირგვლივ გზა, და გზას შემორტყმია კიდევ ერთი ნაწილი მციდროთ დასახლებულ მოსახლეთა, ხახელდობრ ოთიაშეილთა. აქედან და ამის აქლო-მახლო გასწერივიდან მდინარე ძირულასკენ სამიერ კუთხით დაიწყება თავ-დაღმართები, შიგა-და-შიგ საშვავეები, აქ და იქ ტყიან-ჩიკვნარიანი ხრიოკები და, ხადაც კი ფეხ-მისადგომია, გადალისტული ვენახები. დასავლეთისკენ ეს ციცაბო თავუდაღმართები ჩაწყდება „გლინავის ღელეს“, რომელიც საზღვრავს ს. წევას სოფელ წითლავაკისაკენ. სამხრეთით მთელი თავ-დაღმართი, თავის შევაკებული დაფენებაებით თითქმის სულ ვენახებია „კობახოურის“ ლრიანტელის გარდა, და ჩაიკრება „ჭალაში“. ეს ჭალა ერთ-ნახვაორ ვერსის კუბოკრულ მანქილზეა გაშლილი და ვარეშე სამოსახლო ეზოებისა სულ დაბლარითა (ვახი) მოდებული რკინის გზამდე და მდინარე ძირულამდე. (წევაში საზოგადოდ მაღლარი იშვიათია). სამხრეთ-დასავლეთისკენ კი აიზინება როგორც კოშკი ხალებით გარს შემორტყმული „კლდეკარა“, ხატის სასვენებელი, და კლდეებით, ფხეწოებით, ჩიგვნარებით დაეშვება, წაზურგულდება და შივ მდ. ძირულაში შეკორდება.

27 ოქტომბრის (1897 წ.) შემოღამება კლდე-კარაზე:

ჭინკოპის თვეა. (15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ჭინკობის თვეს ეძახიან). ღამდება. მე ვდგვეარ კლდეკარას ქედზე სამი დახავსული მუხის ქვეშ, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჩამოცენია ფოთლები. ნიავის ქროლა ისმის. ფოთლების ნძრევა არაა. ძირს, უფსკრულში „წითელ-კლდეს“ ძირს უარისნის გველივით აქერწლილი თითქმ გახელებული, მიღლაკნილ-მოლ-

ლაკნილი ძირულა. სერებზე აქა-იქ, ირგვლივ ვეოცხ-
ლის სირმის ხაზები გამოჰკიაფობენ — ეს წყალი ჩამდ-
გარა ნახნავებში. ფხეჭვებში, საშვავეების თავებზე
მოდებული ტყე-ჩიგვნარები წითელ-ყვითლად საოცნე-
ბოდ შეფერადებულან. აღმოსავლეთით თავზე წამომ-
დგომია ს. წევის ერთი ნაწილი, ვენახებით მოფენილი,
რომელიც ხეებში შესაფრებული ლამაზ-ლამაზი კრელა-
კრელა სატლებით თავსაკრავივით შემოვლებია პატარა
ვაკე გორაკს შუბლზე; თითქო ეს თავსაკრაცი საქორ-
წილოდ მოლამაზებულ ქალწულის არისო, რომლის
თავსაც აშენებს გვირგვინის ჯვარი. ეს ხეებსა და სახ-
ლებს შორის ოქროსავით გამოპრწყინებული წევის საყ-
დრის ჯვარია. დასავლეთით მზე ახლად-ახლა ჩასვენე-
ბულა ვახტანგის მთების გადაღმა. გადმოღმა მხარე
მთა-ბორკვებისა, რომელიც ჩამონაშბულა თოვლით და
მოხუცებულის აგრუზულ ვერცხლის თმას მოგაგონებს,
კვარცხლ-ბეკების ჭალებზე გაშლილი სოფლები, სადაც
აქა-იქ მურალ ლექაქივით გაკრულა კვამლი, როცა
თითქოს და მიუბუნდავს წყვდიადს, — მაღლა ცის მოწ-
მენდილ ლაქვარდ ტატნებზე მზის შუქი ისევ ცხოვ-
ლად ელვარობს და თითქო ბროლიდან გამოკრილს
მთების მწვერვალ-გრეხილებს ოქროს უვავილიან არ-
შიებს ავლებსო. შორეულ უფრო მაღალ მწვერვალებზე
ბამბასავით აბურთული უზარ-მაზარი ღრუბლები ტყეე-
ბამდე დაშლილი ვაკე-სპეტაკ ველებს მოლრეშით დაპ-
ყურებს. კიდევ უფრო შორს ამოძრავებული, ტყვია-
სავით მძიმე ღრუბლები ორ-ფერ სახეს იღებენ, ჩამო-
ბუმბლულ ხეებს ზედ ეხვევიან, თითქოს და მზად არიან
თოვლი გადმოუშვან თვალებიდან. აი, ამ დროს აქ,
ამ მზის შუქით ჯერ კიდევ გავარვალებულ ტატნებზე

საუცხოვო სურათი იხატება. მხისგან თვალ-მოქრილს, თვალ-ამჟავლეულს აგერ სიკრცეში რომ რაღაც უსახო ნათელი, არეულ-დარეული ნიშნები დაეხატება, იმნაირად ოქრო-ალის ფერად,—თუ ღრუბლებიაო, კიდეც ვერ იცნობს კაცი,—წაკვრია ტატნების მსუბუქი, გამჭვირვალე ზოლები. თვალს ჰვინია, ცის გუმბათს გადმოხურვია წყვდიად-ლაუვარლის ფერი და ამ ერთ ადგილს ოთხგან თუ ხუთგან ეს თვალ-გადუწვდენელი ფარდა თითქო გახეულა და გუმბათ გადაღმა მუდამ ნათელის შუქით მოელვარე სამოთხეს სარკმლები გაკეთებიათ. ამ ციურს წმინდა ნათელში რაღაც ღუვილი, ფერადების მოძრაობა, დენა თითქოს და მოჩანდა. ამ სასასწაულო სანახავმა თვალები მომპარა, გული მომინათლა და დამიტყვევა, რომ ძირულის გასწვრივ, თითქო ძირულის ახელებსო, შხულო-კივილით გამოებაწრა თრთქლით მატარებელი და გამომარკვია, გამომაფხიზლა. რომ იტყვიან, კაცის ხერხი, ოსტატობა ატყვევებს, იმონებს ბუნებასო, ეს მოჩანს აგერ თვალ-საჩინოდ ამ ძირულის შევიწროებაზე. გაღმით სოფ. ილემისკენ შროშის გზა მიჰყვება სულ ნაპირ-ნაპირ, გამოღმა კიდევ რკინის ლიანდაგი და ორივე მხრიდან კალაპოტში ამწყვდევენ მდინარეს. მაგრამ როცა მოიმატებს და გადაირევა ძირულა, მაშინ შვეიცარია! გაიგებენ ხოლმე, რასაკვირველია, თუ რა არის სტიქიონი! ერთბაშად მოხვეტავს მიღამოს, კლდესაც-კი!... ჰალაში შეიქნა სოფლელების ხმაურობა, ძალლების ყეფა, პირუტყვების ბუავილით სამწყესურიდან მოდივილი, და აქ ხეებში ღიამალული სახლიდან ამოტეხა კვამღმა და ჩანთქა ძელური თვის ტალღებში, იქ ბუხრებიდან აიკრაზნენ ვახრაკივით მაღლა-მაღლა და გაერთხენ ცას. ჩაწყვდი-

ადდა ხევები, დაბუნდდა მთების კვარცხლ-ბეკი, უშვილისა
და სავლეთის ცის ტატნებზე სანახაობა და აღ-
მოსავლეთით სერზე ამოეშვა მკრთალი ვერცხლის
ფერი შუქის შადრევანი. მოინათლა ცა და შემოჯდა,
სერზე ნაზი, მკრთოლვარე სევდით მოღიმარე მთვარე.
ზეცის უსამზღვრო გუმბათში გამოკამკამდენ ვარსკვ-
ლავები, აქა-იქ შეიკრიბნენ ჯგუფ-ჯგუფად და ატეხეს
თვალების ფახური. მე ამ ბუნების სილადეში როგორც
ერთი წვეთი წამი უფსკრულ და უკიდურ ზღვაში ჩა-
ვარდნილი, კოშკივით ამართულ კლდე-კარაზე, ამ ძვე-
ლებურ ხატის სასვენზე, ბედისკან დაჩაგრული, ჩემდა.
უნებურად დავერთხე მეხიდან გაპობილ მუხის ტანზე
გამოკრილ ჯვარის წინ. თვითონ აღარ ვიცოდი, რას
ვევერდებოდი, რა მინდოდა, მაგრამ რაღაც მიუწდო-
მელს კივითხოვდი... აი, ეს სოფელი მდებარეობს ზემო
იმერეთში, ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრაში
და საზოგადოებაში. დაბა ზესტაფონიდან (ყვირილიდან)
აქამდე არის 10—11 ვერსის მანძილი; დაბა საჩხერემდე,
როგორც ქალაქ ქუთაისამდე 45—50 ვერსამდეა, ძი-
რულის რკინის გზის სადგურამდე—4—5 ვერსია. შრო-
შის, იღემის და წიფლავაკის გარდა იხლო-მახლო
მდებარე სოფლები არიან: ლოსიანთხევი, კლდეეთი,
ფუთი, ვარძია, აჭარა, ლაშე, ბოსლევი, უბისა, მარ-
ტვათუმანი, საქარა, დილიკოური და სხვ. აგერლექსი,
რომელიც ხალხს გამოუთქვამს ამ სოფლებზე:

ამოვიარე წევას,

გაცი იჭერდა წევას.

გაცო რას იჭერ წევას?

ასე სჩვავია წევას.

ამოგიარე იღემსა,
 გაცი იქერდა ირემსა.
 გაცო, რას იქერ ირემსა?
 ასე სწევდა იღემსა.

ამოგიარე შროშასა,
 გაცი იქერდა შროშასა.
 გაცო, რას იქერ შროშასა?
 ასე სწევდა შროშასა.

ამოგიარე გარძიას,
 გაცი აპოტებს გვაწიას.
 გაცო, რას აპოტებ გვაწიას?*)
 ასე სწევდა გარძიას.

ამოგიარე საქარას,
 გაცი ითხოვდა სიმ ფარას,
 გაცო, რას ითხოვ სიმ ფარას?
 ასე სწევდა საქარას.

ამოგიარე თერჯოლას,
 გაცი ჭამდა თეთრ ბჟოლას**) —
 გაცო, რასთვის სქამ თეთრ ბჟოლას?
 ასე სწევდა თერჯოლას.

ამოგიარე ღვანჯითსა,
 გაცი იმტვრებდა თაფ-ზირსა.
 გაცო, რას იმტვრებ თაფ-ზირსა?
 ასე სწევდა ღვანჯითსა.

*) ერთი შარცვალი მეტია.

**) ერთი შარცვალით ნაკლებია; ეს მოვლენა ხშირია სახალხო ჩოეზაში, ჭარმონიას აზრს ამჭობინებს ხადი.

ეს სოფლები და ურიცხვი სხვა ერთი შეკრებული ბალებად არიან მიყოლებულნი. აქაურ სოფელს თითქმის არავითარი მსგავსება არა აქვს ქართლის სოფლებთან. აქ იშვიათია სახლი, ქოხი, რომ ფართო ეზოგარემო არ ერტყას. ასეთია თვით სოფელი წევა გარეშე იმ ერთი ნაწილისა, რომელიც საყდარს არტყია, ქალაქურად გამართულია და სივიწროვეც ეზოსი აწუხებს.

ამ გვარად თანახმად ზემოთ მოყვანილი გარეგნულის აწერილობისა სოფელი წევა განიყოფება ორ ძალიან განსხვავებულ ნაწილად — მაღლობ წევად და დაბლობ წევად, მთად და ბარად ანუ კალად. მაღლობი, როკორცა ვსოდვი, ვახტანგის მთების კალთებზე მყოფ ზედა ზოფლებს უსწორდება თითქმის, მაგალითად სოფელ ვარძიას; დაბლობი, ჭალა კი თითქმის შორაპნის ციხის (აშენებულია ფანრავაზის დროს) სიმაღლეზე არის გაშენებული. ამიტომაც ამ სოფელში ორნაირი ნიადაგია: მაღლა ეწერი, ძირს უფრო ნოკიერი დამძიმებული; ორ-ნაირი ჰავაა: მაღლა ცივი, ძირს ცხელი და მაშ ორნაირი მცენარეულობის ნაყოფია, და თითქმის შესამჩნევად გასარჩევი ხასიათიც და აგებულებაც მცხოვრებლებისა.

ქვეადაგი მთელი სოფლის, როკორც გვაჩვენებენ ღრმად გათხრილი ღრიანტელები გლინიავისა, ლაშიანისა და თვით მდ. ძირულისა, სიბი ლურჯი ქვისაა (გრანიტისა); მას ზემოთ მოჰყვება საჩალენე კაქ-ხრეშიანი ქვა და ამის მაღლა მისდევს წითელი რკინის მაღანი. ეს მაღანი კირ-რეულია, როკორც ის წყობა ქვისა, რომელიც ამ მაღანს მაღლა მიჰყვება და შესდეგება „პოლიპებისაგან“ (პაწაწინა ხეკეჭოებისაგან. ეს ქვა იმ დედა-მიწის კანის შემაგრების ხანაშია შეზავებული, როცა

ამ მაღლობებს ზღვა ჰქონდა. ვინ იცის, იქნება მერეც
აიქრა წევის ქედი. თუ ზღვის ქვეშაც ასე არ იყო
რაღა თქმა უნდა აიბერებოდა. ახლა ერთ ალაგას ჭა-
ლისკენ ერთი როგორი, ვეებერთელა ქვებში ქარი
გამოსტვენს და ხანდიხან კვამლიც ამოჟუვება ხოლმეო
ვისაც ამისთანა ქვები არ უნახავს, იგი ვერ იქონიებს
ნამდვილ წარმოდგენას იმ დიდ მნიშვნელობაზე, რო-
მელიცა „პოლიბებს“ და სხვა ათას წვრილ-წვრილ
ცხოველებს დედა-მიწის კანის (გაკეთებაში) შეზავება-
ში *) ამ ქვეს მაღლა მისდევს იყალო, ყვითელი მიწა,
კურის საგლესი, თავ საბანი მიწა და მერეც თითქმის
 $\frac{3}{4}$ ალაბის სისქეზე მისდევს მჩატე, კირ-რეული მიწა.
ჭალაში მიწა ნოკიერი მაოლოდ მით არის, რომ აქ
ყოველ წვიმიანობაზე ჩამოდის მაღლობიდან წამონა-
რეცხი ზედა პირი მიწისა და ისედაც მწირი უფრო
და უფრო, სულ თან და თან უნაყოფიერდება წევის
მაღლობი ნაწილი. ზედი-ზედ 4—5 საყანეების დამუ-
შავება მაღლობის ვაკეებში და ფერდოებში შეუძლე-
ბელია. შრომის $\frac{1}{3}$ საზღაული აღარ გამოვა. მიწამ
უნდა დაისვენოს ხოლმე. ღრმად დახვნა აქ მიწისა სა-
ზარალოა და ამიტომაც, როკორც საზოვალოთ ყველ-
გან იმერეთში, პატარა სახნისით და თოხით მუშაობენ
მამა-პაპურად, ძველებურად, ჩვენებურად.

*) ერთი საკუთარი სიციადისტი გეოლოგი არ გვხმადა
ქართველებს. არ არის ერთი განხთლებული მხარე, რომ, რა მის
დედამიწის გულის პირში, წიგნში და რექტეზე არ ჰქოთხულობ-
დნენ. ჩვენი ახალ-გაზრდა მოწიფებული-კა ამ გარემოების
უკადდების არ აქცევს. მათი სწავლა უმეტეს ნაწილად დამ-
დომისათვისა, დამდომი კი განცხრობითი ცხოვრებისათვის.



წევაში ინახება: „ლიგნიტი“, ასპილის დაჭრა, ცურა
ცის ქვა, ხაჩილხე და შაბის ქვა, კაუი და სხვათა შო-
რის ქანდარაზე ქვა-ნახშირიც.

მე ვსთქვი, რომ წევისა და წიფლავაკის შუა ჩა-
ვარდნილი ღრიანტელია და იქ მოსჩერებს, ხან მიცო-
რავს ლიპებზე გლინავის ღელე. ავდრიანობის ღროს,
როგორც ლაშიანის ღელე, აბრუნებს პატარ-პატარა
წისქვილებს, და უერთდება მდ. ძირულას რკინის გზის
ლიანდაგთან. ამ პატარა ღელეში ბევრი ცხრა-ფეხაა,
გველ-ენა, ლომლომა, ვენახა და კიდევ უფრო ბევრი
გველ-პაუყია. დალრანტული კიდევ ისავსეა ფსვენა-ხვლი-
კებით, ძლოკუებით, ვაკასეებით, გომფაშოთი და სხვ.

მდინარე ძირულაში ნაშენობს (მაგრამ ვაი მისთა-
ნა ნაშენობას—დინამიტებით დიდსა და პატარას სულ
ულეტენ ხოლმე): წევრა, ბოლო-წითელი (მოდიდო),
ქაშაპი, ღლავი, ტოპი, ნაფოტა, ღორჯო და სხვ.

კლდე-ლრეებში ხშირია წყარო და, რაღა თქმა
უნდა, იმის და გვარად როგორ ქვე-ადაგშიაც გამო-
დის, იმისთანა ღირებისაა. მაგ. „კონკულა“ გამოდის
ლურჯ ლიპში და მეტად მაუბუქია, მარგებელი, ზაფ-
ხულობით ნამდვილ მთის წყაროს მოგაგონებისთ, ყინ-
ვასაეითაა, ზამთრობით თბილია. რომელიც „პოლიპე-
ბისაგან“ შეზავებულ კირ-რეულ თეთრ ქვაში გამოდის
როგორც მაგ. ღვალვანა და სხვ. უფრო მშიშეა, და
რომელსაც ერთვის, როკორც მაგ. „უზანის წყარო“-ი
წევის სასაფლაოს წბოლი, პირ და პირ მაჟნებელია.

ჩიგვნარები და ტყეები თავ-თავის დროზე გადავ-
ლილია ხოლმე სხვადა-სხვა ხოკილებით. ექიცის: ვარყა,
წიფლია, მიქლიო, მანჭუკუალი, ნიუვი, დედა-ბერა, ტუ-
რიო, წერენო, გუგულის სოკო, გზავრა, ტრედონა,

ქამა, ღვინიო, ჯღავანა და შავუჩოხა. აქვე იცის: აძღი, გუდაფუშტა, მძინარა (ძილი-გუდა, ხაშაში) ბალახე-ულობის ნაყოფი: გოდორა, მარწყვი...

ტყეებში იცის სხვა-და-სხვა გარეული ფრინველები: ბუ, ყვავი, ყორჩი, შაშვი, პულ-ული, ნაირ-ნაირი ყარანები: თავ-შავა, ბოლო ცეცხლა, ჩოჩიალა, გუგუ-ლი, მწყერი, ქორი, ორბი, ძერა, ჩხართვი, მესკია, ჭინჭრაქა, ბელურა, ტოროლა, მთის ჩიტი, უივეავი, მეღამურა, კოდარა, მოლალური, გულ-წითელა, კულუმ-ბური და სხვ. იცის აკრეოვე გარეული: იხი, ყანჩი, იშვარი, წყლის შაშვი, კიუტი...

აი, ნადირებიც: მელა, ტურა, კურდლელი, ბუქვი (ზღარბი), სინდიოფალა, მაჩვი, მუდო, კვერნა...

ადვილი წარმოსადევნია ნიადაგის-და კვალობაზე თუ როგორი ბარაქა უნდა ჰქონდეს აქ მოსავალს და მაშასადამე თვით შრომას. პურის და ლომის თეხვა აქ არც ეადვილებათ, არც ეხერხებათ. აქაური ჭინახულია სიმინდი, საჭმელია მჭადი. მართალია, აქ ლოპიოკ მოჰ-ყავთ, ცერციკ, კარტოფილიც, ძაბაც (მამაკალია ლობიო), მაკრამ იმდენი, რომ სათქმელიც არა ღირს. აი, კიდევაც რადგან დედა-მიწა მწირია და შრომა იშვია-თად ჯილდოვდება, ისიც მაშინ, როცა წვიმიანი წელი-წადია, რადგანაც იდგილის სივიწროვეც შემოებარა მკეოვრებთა სიმრავლის გამო, სიმინდი არაოდეს არ მოღის გასასყიდელი კი არა, საქმარისიც კი; და, რად-განაც ყოველ შემთხვევაში საყიდელი აქვს გლეხს საჭ-მელი, ერთად-ერთი მისი ცხოვრების სახსარი, წყარო, შრომის ჯეროვანი სახლაური, იუო ღვინო. აქ, რო-გორც სახოვადოთ ზემო-იმერეთში, ძალიან გახშირე-ბულია ძველთავანვე მევენახეობა, ბეკრია ვენახი. ყურდე-

ნია: დონდოლაბი, მწვანე, ციცქა, ქველოური, ოკა, კამური, საფერე, მაისა, კუნძა, ბელია... არ უნდა ვცდებოდე, რომ ვსთქვა, თუ არ $\frac{2}{3}$ მთელი წევის ზეალაგისა, $\frac{1}{2}$ მაინც უნდა იყოს ვენახი. აქაური ვენახი მართლა რომ ბალია. ვენახშია გაშენებული ყოველ გვარი ხეხილი, რომელიც-კი შეესაბამება აქაურ ჰავას და მოთხოვნილებას: ვაშლი: ბორა, კიტრა, თურა-შაული და შაქარ-ვაშლი; მსხალი სახამთრო, ორშიმო-მსხალი; ქლიავი—გვირილა, მაკრუნცხი, ონტორი, ჭანჭური, შავ-ქლიავი, წყალუქლიავი, გვერდ-წითელა და სხვ.; ატამი—ჩინჩლა, სახეთქი და სახრავი, ვაშლი, სა-ხეთქი და სახრავი; ალუ-ბალი, თეთრი და შავი კაბ-მბალი; ნიგოზი, კერკეტა ნიგოზი; ტყემალი თეთრი და შავი, ღოლნაშო, ოლუნჩა; ლელვი—თეთრი და შავი, ბერძული, ჩიტა, საკვირიკობო ლელვი; შინდი; თხილი — ბერძული და ჩიჩა; ბია—მახრჩობელა-ბია, ვაშლა-ბია; ბროწეული, შაქარ-ბროწეული და ცხარე ბროწეული და სხვ. აქვე ვენახებში დანაკელებულ ადგილზე მო-ჰყავთ კიტრი, ცერცვი და იშვიათად ნეხვი; სახამთრო აქ არ მწითდება; კვახი, ორშიმო-კვახი, ქინძი, ცერეცვი, ოხრახუში და ნიახური და სხვ. საბოსტნედ ცივი ად-გილები უფრო ვარგობენ. საზოგადოთ აქ ხეირიანი ბოსტანი არაა. აქაური ბოსტნეული: პრასი, კლაკვი, შაშკვლავი, ზაფრანა, ტალხუნა, პატრიქანი, კამა, პიტნა, ნიახური, პილპილა და სხვ. წითელი ფხალი, კალამფხალი და სხ.

თუმცა ნახევარი წევისა მართლა ვენახია, დანარ-ჩენის მესამედი თუ იქნება ჩიგვნარი, სტე და ტყე. შემა აქ დამარჯვებულ, მისადგომ ალაგის საჯენად დად-გმული 10 მანეთია. აქედან სჩანს, რომ ხე-ტყე განად-

გურებულია. დღეს ხე-ტყისთვის მხოლოდ ის ადგილული ბია გაშვებული, სადაც ვენახი არ ვარგობს (მაგ. ციც ადგილებში) და ან ცუდი ფეხ-მისადგომია. ერთი მხარე წევისა „ლაშიანი“, იქ, სადაც „აჭარა“ და წევა ისამ-ზღვრებიან, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გვარიან მან-ძილზეა მოდებული სტებით და თუმცა ჯერ ვერ გაუ-ნადგურებიათ, ევ ამიტომ რომ მისადგომი გზა არ უვარგა დღეს-დღეობით. აქაური საშეშე ტყეა: თხმელა, მუხა, რკილა, წაბლი, კოპიტი; სხვა მცენარეებია: კვინცხა, ბზა, იელი, შექრი (რამდე კარგია ამის ყვავი-ლი) კაპარი, ხუმლა, კურნელა (ამაზე იცის მობმა ფითრმა და შემოხვევა სურომ), გულუყრო, ცაცხვი (ორივეს ყვავილი საოფლეა), წიფელა, თხიფსელა, ლა-ფანი (ხალებავია)...

ტყის ხეხილები: სხმარტლი, მოცვი (ამის ფოთ-ლებიდან აქ ბევრ ჩაის აკეთებენ და ჰყიდიან), პანტი და კვიჭა ვაშლი, ჯარჭი მსხალი, წაბლი, ხუმლა, მწა-რე ბალი და სხვ.

კლდე-ლრიანტელებში გარეშე ჩიგვნარისა ბევრ-ნაირი გარეული ყვავილი და ბალახია. განთქმულია წევის ხრიოკები ქონდრით. ქონდრის თაფლი ფუთი, ამბობენ 20 მანეთია უცხო ქვეყნების დიდ ქალაქებ-შიო. წევაში კი ცოტაა სკის მიმდევარი, და ისიც სხვათა შორის, აქაური ბალახები, (ფხალეულობა) და ყვავილებია: სადაც ჭაობია, რაც იშვიათადაა, იქ ომ-ბალოა აბიბინებული, (ერთ ალაგს ვაკე-წევაში ეტყვიან „ნაყიდს“. აქ იყო ხოლმე ჭაობები და ტბები. ამ-ტბებში დაჭერილი რაღაც ხვლიკის მსგავსი ქვე-მძრომი ცხოველი, რომელსაც კუდი ლლავისა ჰქონდა, ჩემთვი-საც უჩვენებიათ და უთქვამსთ: ეს არის უწინდებული



დიდი გეელეშაპის ბარტყიო. ეხლა გაჰქიფეს თხმელუჭროსაა
დაშრა ტბები, და ისიც გადაშენდაო), სამყურა (ამაზე
იტყვიან, ბორკილზე რომ დაადგა გახსნის—გააღებსო.
კურდლები სკამენ), ქვეშ ნიგვზა (ცხელების წამალი)
ნიახურია, კაჭკაჭა, ფერიცვალა და შრალას ძირი
(სირსვილის წამალი), ფერა-ფერა (ჯულაბია, საალხე-
ბელი), ანწლი (სალებავს ხდიან ღვინისათვის, არაუსაც
ხდიან ანწლიდან), ვირი-პიტნა (ქოხის აბანოსთვის
მოსადულებელი წამალია), ობობა, ქურჩუმელა (თავის
ტკივილის წამალია), ბარამბა (ქოხის აბანოს წამალია),
აბჩინდა (მუცლის ტკივილის წამალია), ღიყა (მუც-
ლის ტკივილის წამალია), დუ, კულმურა, მრავალ-
ძარლვა (მოვრილის წამალია), ყვავი-კუდა (ბავშს რომ
უსულო გაუჩნდება, მისი წამალია), ენდრო (სალებავია),
ხე-სურავანდა (სურავანდის წამალია), კილამურა (ხვე-
ლების წამალია), გვირილა-ბალახა (რწყილის წამალია),
უჯანგარა (მუცლის ტკივილის წამალია), ღიკა (მუც-
ლის ტკივილის წამალი), ნარი-ეკალა, ჯინჯარი (გამშ-
რალი ძუძუს მოსადგომი წამალია, ინდოურს ზდიან
ამითი, ჰლექიანს სისხლის ფურთხებას შეუწყვეტავს,
კირიან ქათმებს არჩენს), ძიმწარე (მუცლის ტკივილის,
გულზე მოსვლის წამალი), ძირტკებილა (ტველების წა-
მალი), მოლოქი (საყმაწვილოს წამალი), თაგვისარას
ძირი და პიტნისძირი (პიის წამალი), ქორჩიოტა (ჯუ-
ლაბია), თეთრი გარეული გარდი (ზნის წამალია), ფე-
რად-ფერადი ტუხტი (ცხელების წამალია), ყაყაჩო, ყი-
ზილბია, ია, იაია (ქოჭიოტაზე ამოდის წითელი უსუ-
ნო ცვავილი და სულ იას აგებულობა აქვს)...

შინაურ ყვავილებში გაერცელებულია მაისის
ვარდი და ტუხტი. ხეზე ეხვევიან სუროს გარდა კატა-



ბარდა, კრიკინა, კინკარუეა, ეკალა, მაყვალი... სიმბოლითია ლობზე ნაყოფი კარგად ვერ მწიფდება და მქავეა; თვითონ ლვინოც მჟახეა და ულონური, როცა იმავე დროს ჭალაში ნაყოფი ძალიანაც მწიფდება, გემოც შევნიერი აქვს და ლვინოც ისე მაგარი და სურნელოვანი დგება, რომ არაფრით არ ჩამოუვარდება განთქმულ სკირისა და კვალითის ლვინოს.

დიახ, ლვინით იყო ღონიერი აქაური, მუშა-კაცი. იშვიათი მუშა გლეხი იყო ორიდან ოთხ-ხუთ საპანემდე მაინც არ გაეყიდა და შინაც სახარჯო ლვინო ბევრი რჩებოდა (სახარჯო ლვინოდ ხმარობენ ნაქაჩს. ნაქაჩს ეტყვიან იმ ლვინოს, რომელიც კეთდება ორ-სამ დღეობით კი არა, მთელი კვირაობითაც გამონაწურ ჩურჩედა! ხმული წყლიდან). შინაც ღონიერი იყო კაცი და გარედაც: გარედ ფულით, შინ ლვინით. მტერი და მოყვარე იცოდა. სტუმარ-მასპინძლობა განთქმული იყო, მაგრამ ჯერ „მილდიუმ“, ვენახის ობმა და მერე ფილოქსერამ გაანადგურა გლეხი-მუშა. აი, ფილოქსერა ლექსი, ხალხის გამოთქმული:

ფილოქსერას რომ იტევან,

რა უბედური უთვილა:

ვენახს ძარში შეჯდომას,

სუდ წერთმდი გაუჩინა,

უბედურ ჩატრონებასთვის

თხერ გუდს შემუურა.

შოავრობის კაცს მოვასესენთო,

მამასს ლეის და „სუდის“,

ფილოქსერა დავითერვოთ,

საზოგადოთ სუდ ცუდია.

ნებნ მეტი გზა ადარს გვაქვს,

გაუძღვოთ თითო გარდა;
შავ-ქაზე მაინტ ვიართოთ,
ვჭიშოთ დღიური შერთა.
ფალთქერამ თქვა ბასები:
ერთი ვადაცა ფრანცუაზ
თვალებში გვასხსამს წამალს;
დღე ჭამა ადარ გვატადა,
დამე დაგვითრთხო ძილია.
— ფალთქერად ბატონი!
საფეხუამუშა გვჩემე
ჩაფასხევარი ტპიდია.
— ფეხუამუშას მოდუდებას
სარვედი უნდა დიდია.
თბილი მაინტ არ შეჭიშოთ,
რომ არ დაწესო შირია.

ამ საშინელმა ლეთის რისხვამ და ქარ-ცეცხლმა ხალხი, ეს მოლიმარე, გულ-ალხეინი, გულ-გაუტეხლად მოლილინე ხალხი დაასევდიანა, დააბეჭავა, ჯიბეში ფული ალარა აქვს და კურში ლეინო. შინ მასპინძლობის-თვის მოესპო ხალხარი და გარედ გასვლა-გამოსცლა-საყიდლისთვის. შრომობს გაბმულ ხარივით თავუდახრი-ლი, მაგრამ მადლი არა აქვს და ბარაქა მის უიმედო და უსახლვრო ოფლის-ლერას. ფილოქსერამ რომ წელ-კავივით გაუარა ვენახებს და ჯიდაოსავით ამოთუთქა აქა-იქ, ამოსუხა, გლეხი მოიშალა წელსა და გულში; გულის-გატეხა ჯერ უჩევეარი უპირებს გულში შეკრას. ეს სტუმრის-მოყვარე გამვლელ-გამოსცლელს, გლხა-თხოველსაც-კი ემალება დღეს. მისი ლილინი მძიმე ამოხვნეშ-ამოკვნესას დაემზგავსა.

წეველ მშრომელი გლეხის ფულის შემოსავალის საღსარი ღვინოს გარდა კიდევ შავი-ქვის ხარურმით ზიდვა იყო. ესეც მოუსპო ჭიათურაში რკინის გზის გასვლამ. ეხლა დარჩა რკინის გზაზე დღიურად მუშაობა და სიმინდის მოყვანა. აქ ჩვეულებადაა, რომ ვენახში სიმინდი ითხება ხოლმე. დღეს ირგვლივ და ჯველგან ყანის დამუშავებას დაუფათურდენ.

აბა, ვიანგარიშოთ შუა-ხელის გლეხის ცხოვრების გასავალ-შემოსავალი:

1) სამღვდელოების შემოწმებით თითქმის 80 დღეა უქმე-უმუშევარი თუ კანონიერი და თუ უკანონო, როგორც მაგალითად „კოხინჯრობა“, „ელიობა“ და სხვ.;

2) გლეხისთვის უმუშევარი ზოგი მტრისთვის (როგორც მაგალითად საჩივრის დროს), ზოგი მოყვრისთვის და მკვდრისთვის (როგორც მაგალითად გასვენების, ქალის მოყვანის და ს. დროს), ზოგიც ცუდიამიდების გამო, გამოცდილი გლეხების სიტუაცია და საკუთარის დაკვირვებით თითქმის 100 დღე მეტია, (ზამთარიც ამ რიცხვშია).

3) გზების საკეთებლად და საყარაულოდ დასაწვავია თუ მეტი არა 22 დღე (სამი კვირა);

4) სოფლის სასამართლოში იბარებენ, თუ მთელ საზოგადოებას და თუ ცალკე სოფელს ყრილობისათვის წელიწადში უკანასკნელად, თანახმად გამოცდილ მოსამსახურეთა ჩვენებისა, 30-ჯერ (მთელი დღე იკარგება, სასამართლო შორს არის, 5—6 ვერსხეა).

ოჯახს მიუდის 365 დღიდან უქმად, თავის მიწა-წყლის მიუხედავად 232 დღე; ამნაირად 133 დღე რჩება შრომისთვის, ე. ი. მესამედზე სულ ცოტა მეტი.

ასე რომ ერთი დღის ნაღვაწი სამ დღეს უნდა ჰქონდა: და ზედმეტიც უნდა გადარჩეს. ეს ზედმეტი ასე უნდა განაწილდეს: 1) მღვდლის, სადრამო 2 მან., 2) სახელ-მწიფო და საფოსტო გადასახადი ერთმანებზე თითქმის 10 მან., თუ არა მეტი; 3) მწერლის, იასოულის და „საალოვო“ (ოჩრის) მიღის ფულად 1 მ. 20 კ.; 4) ბანკის 40 კაპ.; 5) ტან-ფეხი, ჩიხაცმელ-დასაგებ-დასახურავი ოჯახისთვის უნდა იანგარიშოთ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც კი 20 მან. მაინც; 6) ქორწილის-თვის, ნათვლისთვის, წირვისთვის, მიცვალებულის სამსახურისთვის, თუ ჯარის კაცებისთვის ხარჯი ერთი-მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 20 მან. ნაკლები ხომ აღარ წავა? სხვა წვრილმანი ხარჯები რომ არ ვიგულისხმოთ, ესეც კი შეადგენს 63 მან. 50 კაპ. დღიური ქირარკინის გზაზედ არის 40—50 კაპეიკამდე. თუ იშოვნა სამუშვევარი 63 მან. და 50 კაპ. დაფუქვას (თუნდა განუწყვეტლადაც რომ ჩავუგდოთ 50 კაპეიკი დღეში) დასკირდება 127 დღე. მაშ შინ რამდენ ხანს-ლა იმუშაოს, როდესაც მხოლოდ 133 დღე-ლა დარჩენია თავისუფალი! 127 დღის გამოკლებით ექვსი დღე, ერთი კვირაც აღარ რჩება მარტო-ხელ კაცის ოჯახს თავისუფალი!... კიდევ კარგი, თუ ან მოძმე ჰყავს და ან შეილი წამოესწრო ოჯახის მამას. მაგრამ საუბედუროდ უნცროსი, როგორც კი ფრთხებს აისხავს, თავისუფალ ცხოვრებას, ხაკუთარ ოჯახს ეტანება და ხახლობა იყოფა, დარიბდება და იფლება გაჭირვების მორევში მშრომელი გლეხი.

ვიანგარიშოთ ისიც, თუ რას აძლევს მიწის დამუშავება მშრომელს. ერთ ქცევა ადგილზედ სოფ. წევაში ერთი-მეორეზე მოღის ერთ-ნახვევარი ძარი ფურჩება იანი



სიმინდი და ისიც კარგს წელიწადში. აქაურ ძარ პისტორიას
მინდში გამოვა სამი კოდი, ზოთი; მაშ 1 $\frac{1}{2}$ იზამს
13 $\frac{1}{2}$ ფუთს სიმინდს. ფუთი სიმინდი დღე-ლირს 30—
35 კაპეიკი,—ერთი ქცევის ჭინახული შემოიტანს,
სულ ბევრი რომა ვსოდვათ, 4 მანეთს.

ოთხ მანეთად უნდა იმუშავოს ერთ ქცევა ად-
გილზე:

2 დღეს ხარ-კაცმა და ხარის წინ გამდოლმა პა-
ტარა ბიქმაც;

3 დღეს ერთმა კაცმა სამარგელად, სამორადოთ,
სამორჩნად;

1 დღეს ერთმა კაცმა მოსატეხად, მოსაკრელად
და დასადგმელად;

1/2 დღეს ხარ-კაცმა შინ მისატანად და სტ. ნუ
ვახსენებთ სათესურს, ლოპეს, და სხვა წვრილმანს. ჯერ
აქედან რა ერგება კაცს, თუ ხარის შრომას დღეში ამ
ოთხი მანეთიდგან და მერე ის ვიგულისხმოთ, რომ
ხშირად სანახევროდ აქვს ოლებული ყანა გლეხს და
უეჭველად უნდა გავკვირდეთ, როგორ ცხოვრობს სა-
ცოდავი მიწის მუშა! ძნელი წარმოსადგენია ის მდგო-
მარეობა, რომელშიდაც არის ეს საბრალობელი. აი,
ამაზედ ამბობს ანდაზა: საწყლისათვის არც გათენებუ-
ლო და არც გათენდება!

გულის წვით აღსანიშნია, თუ როგორ იქცევა
ოჯახი ოჯახზე, თუ როგორ ჰქონდება, ცივდება კერა.
არა ერთხა და ორს განუტევებია გაძალლებული სუ-
ლი და ცოლ-შვილი დაუყრია ცივ-ქვაზე, გზა-შარაზე.
არა გვვონია, რომ ბევრი იყოს ისეთი სოფელი, რომ
ამდენი გახიზნული ჰყავდეს სხვა-და-სხვა ქვეყნებში და
სოფლებში. (ამას მერეც დავუბრუნდებით). თ ეტად

სამწუხაროა, როცა აქაურ ბაზარში ბლავილ-ბლავილის
 მოპყავთ ხარები, ძროხები, ცხვრები და სხვ. ისედაც
 უბალახობით დაწუხებული; როდესაც თუნგებს, ქვაბებს,
 ტაფებს, ტაშტებს და სხ. მთარიხინებენ გადასახადებ-
 ში. როდესაც სამხაჯულოს პოქაული უწერს მიწა-
 წყალს, სახლის ავეჯს, სამუშევარ იარაღს მუშა გლეხს.
 მთელ წევაში 3—4 მუშა გლეხის ოჯახი არ იქნება,
 რომ ვალი არ ჰქონდესთ.

ამ მიწასთან ბრძოლით უნაყოფოდ დარჩენილი,
 მოტყუებული გლეხი ყოველისუფერს ეტანება: გარბის
 სამუშევარზე თუ რეინის გზაში და თუ ქალაქებში,
 წვრილ-წვრილად აღებ-მიცემობს: ყიდულობს წურ-
 ბელს, ბამბას, ქალაბანს და ჰყიდის სოფელში; გააქვს
 შროშიდან სოფლად წვრილ-წვრილი ჭურჭელი და
 იქიდან აბრუნებს თუ ყველს, თუ დაკლულ ყვერუ-
 ლებს, თუ ლოპიოს და თუ სიმინდს. სწვათა შორის,
 ყასპობა აქ ხშირია.

სამაგიეროდ მესამედი წეველებისა ჩაგანძულია,
 მდიდარია. მათი სიმდიდრით გაშვენდა ზესტაფონის
 და ჭიათურის დუქნები, ესენიარიან უმეტესად ბაზაზები,
 ფარჩეულობის მოვაჭრენი. აღებ-მიცემობა წეველებისა
 ძველი საქმეა. ასეც უნდა ყოფილიყო. ბუნება აიძუ-
 ლებდა მათ ეს ხელობა აეღოთ. მაგრამ ამ უკანასკნელ
 ხანებში იმრაცლა მათმა ქონებამ ისე, როგორც რიცხ-
 ვება. ამის მიზეზი იყო—1) შავი-ქვის აღმოჩენა და წარ-
 მოება, 2) 30% -იდ ფულის გავალება. ეხლა ეს ორივე მო-
 ეშალათ, მაგრამ ერთხელვე ჩააკუჭნავეს ასიგნაციები,
 არ დახარჯეს (ხელ-მოუკრილები არიან) და დაბინავეს
 ხალხში. ხალხი დავალიანებული ჰყავსთ.

შეძლებულთა შვილები იზრდებიან საწილებლებ-

ში. ბევრი უკვე გამოსულა და დარიგებულიც სტატუსის საქმეზე თუ მღვდლებათ, თუ მასწავლებლებათ და სხ. შედარებით სხვასთან ამ სოფელს ბლობად გამოუშვია საშუალო სწავლის მექონი პირნი და მომავალში კიდევ უფრო ბევრს უნდა ველოდეთ, რადგანაც საშუალებაზე არის აღზრდის საქმე დამოკიდებული. წეველ გლეხს ესმის, რომ სწავლა საკიროა და კარგია; მაგრამ ვისაც საღსარი არა აქვს, რა ჰქნას? არა ერთი და ორია ისეთი, რომ სასწავლებლის გასასტუმრებელი ფული არა აქვს, და ძალაუნებურად ხელაღებული უნდა იქნეს ბავშების სწავლაზე. კარზე სკოლა აქვს, რიგიანად დაწყობილი სწავლა და მისთვის კი იგი დახურულია! ამას უყურებს მისი მოძმე ვაჭარი და გულ-ცივადაც უყურებს. სიბრალული მის გულში არ არის, მის თავში ანგარიშია. მაღლი და შებრალება მისთვის ენაა, ცარიელი სიტყვაა. იმისი საღილებელი და საქები ის არის, ვინც ნდობის ღირსია, იმიტომ რომ ეს ნდობა მისი გამკეთებელი. სწავლას კი იმიტომ აძლევს შვილებს, რომ სხვას არ უნდა ჩამორჩეს. მისი ხელობა ჯიბრია. სწავლა ფულის მტერია, ფიქრობს იგი: სწავლული მხარჯავი და ხელ-გაშლილია. წეველ გლეხს კი საქმე და სარგებლობა სწავლაში ეკულება: ჯარის-კაცად თუ წაიყვანეს ჩემი შვილი, იქ აღარ აწვალებენ, ათი-თორმეტი კაცის უფროსობას მისცემენ. ნდობა არც ამასა აქვს სწავლულისა. ეს ან იმიტომაა, რომ გაიძვერა, ხალხის მწოველები და სხ., ვისაც ხალხზე გავლენა აქვსთ, თავის პირადი სარგებლობისთვის აძაგებენ მათ ნასწავლ პირებს, ან და ჰერიქტობენ: „გაჭირვებულისთვის არც გათენებულა, არც გათენდებათ“ და რაღაზე ენდოს. მაგალ. ერთ ოთხკლასიან პატიოსან ყმაწვილზე მიუთითეს საზოგადოებას მამასახლისის არჩევანის დროს, მათ კი ისევ უსწავლელი აირჩიეს. „ამას უფრო გაუბედავთო“. რასა-

კვირველია, აქ სწავლულებსაც უნდა მიუძღვდეს ამაში რაიმე ბრალი.

წევის წმინდის გიორგის ეკკლესიას ჰყავს შემომავალი: წევა, წიფლა-ვაკე, ლაშე, აჭარა და სანახშირე და ამით არიან ურთიერთთან შინაურებივით დაასლოდებულნი. მრევლია წიფლავაკე და წევა.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამ ეკკლესიაზე დიდი ამბით იცოდენ ხოლმე გადახდა ძველებურად დღეობების. თემობაც იცოდენ, სათემო მინდორიც ქონდათ, აქ ითითებიან ერთ ადგილზე ბაზარში, რომ აქ იყო დიდი მუხა და ყოველ წირვის შემდეგ ხალხი აქ გროვდებოდა ხოლმეო. მოხუცები ფიქრობდენ, ბაასობდენ ქურდებზე, ხალხანა ბიჭებზე, თუ როგორ უნდა აელაგმათ იგინი და სხვ. დიდი ხანი არ არის, რაც აქ ქურდის სასჯელი კუპრით შეთხუპნა იყო. ხელებს გაუკრავდენ გაკუპრულს და გაუშვებდენ.

აღდგომის ლიტანიაზე სანახშირლები, განსაკუთრებით გვარად ზიბზიბაძეები (სვანური ხალხია) დიდ ბუკებს ააყვირებდენ; დროშისოთვის და გალობისოთვის დიდი ცილობა ჰქონდა ხოლმე ხალხს და ორ-პირად, სამ-პირად სამ-სამი კაცი გალობდა მშვენიერ კრიმანქულიან ქართულ ძილის პირებს, როგორც საყდარში, ისე ეკკლესიის გალავანში და სათემოშიაც. აღდგომას საყდრის გარშემო შემოვლის დროს „ქრისტე აღსდგას“ წინ „ქვა ურიას, ქვა ურიას!“ იძახდენ და ქვებს უშენდენ ლოდებს. „ქრისტე აღსდგას“ რომ დაასრულებდენ, დასძახებდენ:

ადხო ქრქვა ურიასა,
იმ შიდა-გურიანსა;
ცადი ქური ჩამოთადეს,

ცადი ისეგი შეარჩინეს.
მაცხოველმა ხელი მაუთ,
წაუხედინა ჭინახედი.

(შემდეგი იქნება)

ს. განმარტივებელი.

გასაღები

ქრისტიანობის დაწესის და ისლამის გაფრცედების ისტორიის
დასაშვებ საქართველოში.

ნამბობი სხვა და სხვა მოხუცებულ ქართველ მაჭიადი-
ანებთაგან.

I

მურღულის გამაჯმადიანება.



ურღულში რომ შესვლა დაიწყეს ოსმალთა,
მურღულელებმა ივინი არ შეუშევს. შეპრეს
მურღულის შესავალი კარი და ოსმალთ
შეუთვალეს:

— მურღულს უბრალოდ ეჩხუბებით, მის
ალებას ვერ მოახერხებთ. გინდ რომ აიღოთ,
ხალხი მაინც არ ჩაგდარდებათ.

— ჩვენ ავიღებთ და ჩავიბარებთ კიდეც. — მიუგეს
ოსმალთა.

— ეს ქვეყანა თამარ დედოფლის არის, ამას ვერა
სახელმწიფო ვერ აიღებს, ჩვენ არავის მივსცემთ ამის
აღების ნებას! მიუგეს მურღულელებმა.

— ევ ჩვენ ვიცით, როგორც ავიღებთ. თქვენ რაც
გერბით ის ჰქენით, აწი თამარ დედოფალი წამოგეშ-
ველოსთ.

— კარგი, აწი დაიწყეთ ომი, და ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს.

ოსმალთ გადასწყვიტეს ომი, მაგრამ ვიღრე ომს დაიწყებდნენ, მათ განიძრახეს მურღულის მოწინავე კაცების შესყიდვა. დაიბარეს ეს კაცები და თავიანთი წალილი განუცხადეს; მაგრამ მურღულელებმა უარი განუცხადეს.

— ჩვენ როგორ შევიძლებთ თქვენის თხოვნის ას-რულებას?

— რატომ, მიზეზი რა არის? ჰეთხეს ოსმალთა.

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვიღწვით თქვენს წინააღმდეგ, ხალხს ჩვენ ვაბრძოლებთ, და აბა ჩვენ რომ მათ ვუდალატოთ, ეს როგორ იქმნება. მიუგეს ქართველთა.

— ბეგობას და ალობას მოგცემთ, აილულს, ფულს, ოღონდ ჩვენი სიტყვა შეასრულეთ.

— ვერ ვიზამთ ამას, ვერ შევასრულებთ. მიუგეს ქართველთა.

— მაშ დაგაპატიმრებთ.

— დაგვაპატიმრეთ. როგორც გენებოსთ. უთხრეს ქართველთა.

— დაგხოცავთ და საქმე უფრო ცუდათ წაგივათ. მიუგეს ოსმალთა.

— დაგვხოცეთ, მაგრამ რისთვის და რაზე. ჩვენ თუ დაგვხოცავთ, ჩვენს გარდა მურღულში სხვებიც არიან ჩვენზე უკეთესნი. ისინი გაუწევენ წინამძღვრობას. როგორც გერჩიოსთ, ისე ჰქენით.

ოსმალთ დააპატიმრეს ეს კაცები და დაუწყესტან-ჯვა-წამება, მაგრამ მაინც ვერ დაიყოლიეს. ბოლოს ესენი დაახრიეს, ბაწრით. ამათი ამბები მურღულში მი-

ვიდა. ოსმალებს ეგონათ, რომ ეს კაცები რომ დაუჭრა-
ცოთ, მათ შემდევ მურღულელები თავს დაგვიკრავენ
და დაგვმორჩილდებიანი. ეს კაცები ამაგრებენ მათაო.
ის კი არა და ამ კაცების დახოცვის მეოხებით მურ-
ღულელები უფრო გაგულისდნენ—გაცხარდნენ და
ოსმალთ სასტიკი უარი შეუთვალეს. ოსმალთ მალე
დაიწყეს მათთან ომი, ომი დიდ ხანს გავრძელდა, მაგ-
რამ ოსმალთა ვერაფერი გააწყეს; მურღულელებმა ოს-
მალთა ჯარის უმეტესი ნაწილი გაწყვიტეს, სულ უკან
ითრინეს. ასეთი დამარცხება ჯარისა მურღულელები-
საგან ხშირად მომხდარა ხოლმე. ოსმალებს გაუქნელეს
მურღულის აღება. მურღულის ხალხის გმირობას ის
უფრო ამხნევებდა და ინახავდა, რადგანაც მურღულში
ბატონად ერთი ქართველი მღვდელ-მთავარი იჯდა,
რომელიც მართავდა და განაგებდა მურღულის ქართ-
ველთა საქმეებს.

ბევრის სისხლის ღვრის შემდევ ასმალთა სტლიეს
მურღულელებს. მთლად აიღეს, მაგრამ დიდის შიშით
და ძრწოლით. ოსმალთ უთხრეს:

— თქვენ ოღონდ ჩვენს ხმალს მოენდეთ და სხვაფ-
რივ თქვენ ჩვენი ფიქრი ნუ გაქვსთ, ჩვენ თქვენ არაფ-
რით შევაწუხებთ. სხვა ხეობის ქართველებსავით სჯულს
არ გამოგაცვლევინებთ. თქვენ ოღონდ ხარჯი გვაძ-
ლიეთ.

მურღულელნი დაემორჩილენ მათს სიტყვას და
დაიწყეს ცხოვრება. ოსმალთა იწყეს ფეხის გამაგრება.
ნელ-ნელა შეისყიდეს აქა-იქ მოწინავე კაცები და უკა-
ნაკნელ მურღულის ქართველებს გამოუცხადეს შემ-
დევი:

— მურღული ოსმალისა არის, თქვენ ქართველე-

ბიც ოსმალისა ხართ, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, საკუთრივ თქვენ ჩვენი წმინდა სჯული მიიღოთ და გათათრდეთ.

—ოჲ! ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ. ევ არ შეგვიძლიან. მიუგეს ქართველთა.

—ომი მოხდება, დაიღუპებით. საქმე წაგიხდებათ.

—როგორც გერჩიოსთ, დაიწყეთ ომი, ვნახოთ, როგორ იქმნება ბრძოლის საქმე!

ოსმალთა მალე დაიწყეს ომი; პირველ ხანებში იძლივნენ, მაგრამ მალე ტრაპიზონის და არზრუმის ჯარები მოვიდნენ და ასეთის შეერთებულის ძალით მურღულს დაუწყეს ომი. მურღულის ერთ მოსდრიკეს. მონების ბორკილი დაადვეს კისერზედ. დამონების უმალვე გათათრება უთხრეს, მაგრამ ამათზედ უარი მიიღეს. ოსმალთა მალე მღვდლების გარეკვა დაიწყეს, მოკლე დროის განმავლობაში მურღულში ერთი მღვდელიც არ დარჩა, თვით მღვდელ-მთავარიც გამოაგდეს. საჩქაროდ ეკალესიების ნგრევა-დაჭცვაც დაიწყეს. ისე უწყალოდ და შეუბრალებლად მათ არსად დაუქცევიათ ქართველთა სისხლი და ეკალესიები, როგორც მურღულში. მურღულის ქართველობამ თითქმის ასახელა თავისი არსებობა; ოსმალნი გააკვირვეს ამათ თავიანთის გმირობითა და ბრძოლით. ესენი ოსმალებს სჯულის გულისთვის დაუცხრომლად 1780 წლებამდის ებრძოდნენ. ამ ხანამდე აქ ბევრს სოფელში ქართველნი ქრისტიანობდნენ; ქრისტიანობისთვის ესენი არც ოსმალებს უშინდებოდნენ. როგორც შეეძლოთ, ისე ბრძოდნენ და იღვწოდნენ, მაგრამ ესენიც მობეზრდნენ ბრძოლას და უკანასკნელ მთლად მურღულის ქართველნი გამაჰმადიანდნენ.

ოსმალნი დაწყნარდენ და მურღულის ქართვე-

ლებს მიუჩინეს მოლა-ხოჯები. მურღულელთ მაღე და-
ისწავლეს მუსულმანური ლოცვები და ლოცვის წესე-
ბი. ესენი მაღე ისე დახელოვნდნენ, რომ ამათგან
ზოგიერთმა ყმაწვილებმა სასულიერო წოდებაში შესვლაც
ისურვეს და ამისთვის მზადება. მურღულელ ქართ-
ველთაგან მაღე მოლა-ხოჯებიც გამოვილნენ. ამათ იწ-
ყეს ხალხის მზადება და მაპმაღიანობის გავრცელება,
მტკიცე ნიადაგზე დამყარება. ამათ ოსმალთა დაუნიშ-
ნეს საკუთარი მუდერასი, ამას ჰქონდა თავის „მეჯლი-
ში“ და ეს განაებდა მურღულის ერის საქმეებს. მუ-
დერასი სხვა მხრის მცხოვრებ მაპმაღიან ქართვე-
ლებს არ ჰყავდათ. მურღულელებს ოსმალებმა ასეთი
უბირატესობა უფრო შიშის გამო მიანიჭეს, რად-
განაც მურღულელების ეჭვი ჰქონდათ, ქრისტიანობას
სწამებდნენ, ეკკლესიების პატივის-ცემას და სხვანი,
მაგრამ მათ ვერც ხოჯებით და ვერც მუდერასი ვერა-
ფერი გააწეს. ყოველივე ამაოდ დაუშთათ. მურღუ-
ლელების ზოგი თუ გაათათრეს, ზოგი სულ ვერ გა-
ტეხეს.

1840 წ. ოსმალთა ღიდის მეცადინეობით შეიტ-
ყეს, რომ მურღულში თურმე გათათრებული ქართვ-
ლები ჩუმად ქრისტიანობდნენ, და ეს ჩუმი ქართველი
ქრისტიანები მთელს მურღულის ხეობის ქართველებ-
საც ამაგრებდნენ სჯულზე, ამათ მიმხრობილი ჰყვანდათ
თვით მოლა და ხოჯები. ქრისტიანების რიცხვი აღმო-
სხნდა სოფელს გევლეში, თხილაზორში, ძანცულას,
თასმალოს და რამდენიმეც სხვა სოფლებში. საქმის გა-
მოძიების შემდეგ აღმოსხნდა, რომ ხესნებულ სოფლის
ქართველთ სჯულის გულისთვის ასი წელიწადი ოსმალთ

წინააღმდეგ უბრძოლით და ასი წელიწაღიც
ქრისტიანობა ჩუმად შეუნახავთ.

ერთს დროს ესენი მუსულმანებიც ყოფილან და
საიდუმლო ქრისტიანებიც. მუსლიმანობას დღისით ას-
რულებდნენ, მუსლიმანობა ისე ოტატურად ეკავათ,
რის გამოც კაცი მათ ვერაფერს ეჭვს აარომევდა.
ბაირამს, რამაზანს და მუსლიმანობის ასეთ დღესასწა-
ულებს და მარხვებსაც დიდის ამბებით იხდიდნენ, სუ-
ნებსაც სიამოქნებით იხმობდნენ თავიანთს სახლებში,
ერთის სიტყვით კაცს ეს ხალხი ნამდვილ მუსლიმანები
ეკონებოდა, ვერაფერს ეჭვს შეიტანდა მათზე ვინმე.

ქრისტიანობას ესენი ასრულებდნენ ლამე: მათ
ერთი ოთახი ჰქონდათ ამორჩეული, ეს ოთახი ერთი
მოსახლის ტევზაც იყო გაკეთებული, სარდაფიკით. და-
ნიშნულს დროს ამ ოთახში გროვდებოდნენ და აქ
ლოცულობდნენ ქრისტიანულად. ამათ ჰყავდათ მღვდე-
ლი; ეს მღვდელი ტრაპიზონში იყო ნაკურთხი, ბერძნის
ეპისკოპოზისაგან. ეს მღვდელი დღისით ნამდვილი მუს-
ლიმანი იყო და ლამე ქრისტიანი. ერის კაცის ტანტ-
საცმლით იარებოდა ხალხში. სალოცავს ოთახში კი იგი
ფილონით შეიმოსებოდა. მღვდელს ჰყვანდა ვაჟი-შვილი,
და ეს ამხადებდა მას, რომ მამის შემდევ მღვდლით
შვილი უნდა წასულიყო. ამათ გვარს წევრთ ასე მო-
უხერხებით ხოლმე ყოველთვის და ესენი ყოფილან
მღვდლებად.

მღვდელი საეკკლესიო ნიკოდიმსაც ინახავდა, ბარ-
ძიმ ფეშაუმს; სამთლებსაც აკეთებდნენ, სამთლებს ში-
შის გამო ცოტას ანთებდნენ, საკმელს კი ხშირად
აკმევდნენ; სხვა რამ საეკკლესიო ნიკოდიმ ჰქონიათ,
ნამეტურ ძეველი ხატები, მაგრამ უკელა ესენი მათ



სწყობიათ სალოცავ ოთხის ერთს დოკუმენტი, რომელიც კარგიც კედელში ისე ისტატურად ყოფილია ჩატანებული, რომ ხამი, უცხო კაცი იმას ვერ გაარჩევდა, ვერას შეატყობდა. საიდუმლო ქრისტიანქართველები საიდუმლო ლოცვას გარდა მცირედ კარშიაც ქრისტიანობდნენ. მაგალითებრ, შობა ღამეს ამათ იცოდნენ „ალილოს“ თქმა: პატარა ბიჭები ერთად შეიკრიბებოდნენ და აქა-იქ ქართველებთან „ალილოს“ ძახილით წავიდოდნენ; ისმალთა მოლა-ხოჯები კი ისე ჰყიუქობდნენ, რომ ვითომკ ბავშვები მღერიანო. ქართველნი ყველა ქრისტიანთ დღესასწაულებსაც იღონებდნენ ხოლმე და ნამეტურ უქმობდნენ შობას, აღდგომას, წყალ-კურთხევას, ახალ წელიწადს და ელიობას. ქრისტიანულ მარხვისაც ინახავდნენ. საიდუმლო ქრისტიან ქართველებს ერთი ჭანელი ხოჯა და ერთი მოლა გადაეკიდა; ესენი დიდის ისტატობით აღევნებდნენ მათ თვალ-კურს და უკანასკნელ დარწმუნდნენ ქართველთა ქრისტიანობაზე. ამიტომ მათ საჩქაროდ დააბეჭდეს ქართველნი. ისმალოს სასულიერო მთავრობამ მალე კაცები გამოგზავნა; გამოძიება მოახდინეს, და რამდენიმე ბავშვი გატეხეს, რომ იგინი ქრისტიანობდენ. პატარეები რომ არ გაეტეხათ, დიდრონებთაგან ვერას შეიტყობდენ. საქმე გამოაშვარავდა. ქრისტიანებთაგან საქმის დამალვა აღარ იქნებოდა. ამათ მიმართეს ასე:

— ბატონებო, თქვენ რა გეპრიანებათ ჩვენის სჯულისაგან, ჩვენ ხომ მუსლიმანებიცა ვართ.

— არ შეიძლება, თუ მუსლიმანი ხართ, მუსლიმანი უნდა იყოთ და არა გიაური — ქართველი. გიაური და მუსლიმანი ერთად არ შეიძლება რომ იქმნეს.

—ჩვენ გიაურები არ ვართ, წვენ გურჯები ვართ,
მიუგეს ქართველთა.

—თქვენ სუკველის დაგხოცავთ, არც ერთს აღარ
დაგტოვებთ. მიუგეს ოსმალთა.

—ნება თქვენი აღსრულდეს, ხოლო ჩვენ რაც
ვართ ის ვიქნებით და იმითივე გავსწყდებით.

საქმის გამოძიების და გარკვევის შემდეგ საიდუმლო
ქრისტიანე ქართველები სიკვდილით იქმნენ განკით-
ხულნი. დანიშნულს დღეს გაიყვანეს ისინი და ზოგი
სახრამბელაზე ჩამოჰკიდეს და დაახრჩეს, ზოგს თავი
მოჰკვეთეს და ზოგი დაჩქეს; მაგრამ არც ერთმა მათგან-
მა ამ დროს წარბიც არ შეიხარეს. ქართველთა და-
ხოცვის შემდეგ ოსმალთა მოსხებნეს სამლოცველო
ოთახიც, იქ იპოვეს ყველა საეკკლესიო ნივთები და
წიგნები; წიგნებს ცეცხლი მისცეს და დასწვეს, ოქრო-
ვერცხლის ხატები თვით წაიღეს და დაჰკიდეს, სხვა და
სხვა ნივთები კი თათრებს დაურიგეს, სამლოცველო
ოთახიც მოლად დააჭკიეს.

ოსმალებმა ესენი ასე უწყალოდ და შეუბრალებ-
ლად მიტომ დასაჯესო, რაღგანაც სხვა ქართველების.
ეკვიც ჰქონდათო, რომ სხვებიც თუ არიან აქ ვინმე
ჩუმი ქართველ-ქრისტიანები, იმათ ნახონ ამათი ულეტა,
წავეტა და თავი გაანებონ გიაურობასაო. ზემო ხსენე-
ბულ ქრისტიან ქართველთ გარდა სხვებიც ყოფილან
ჩუმი ქრისტიანები, რომლებიც აქა-იქ სხვა-დასხვა
სოფლებში სცხოვრებდნენ და ჩუმად ქრისტიანობდნენ.
ამათ რა ნახეს თავიანთ მოქმედების დიდი ტანჯვა-წა-
მება, შემდეგ თვითონაც განშორდნენ ქრისტიანებს
და სრულიად მუსლიმანობა იწყეს,—მეტი გზა აღარ
ჰქონდათ, რას იზავდნენ! ასე და ამ გეარად მოსპეს



ოსმალებმა მურღულში ქრისტიანობა, ამის მომავალობა
ბის შემდეგაც მურღულელი ქართველნი ქრისტიანულს
წესებს არ სტოვებდნენ თურმე და, როგორც ერთმა ბერ-
ძენმა (ლაზარევმა) მარწმუნა, „ალილოს“ თქმა მურღულ-
ში გათორებულ ქართველთა შეილებს 1870 წლებამ-
დის სკოდნიათ. შობა ღამეს თურმე ესენი ამ ლოცვით
დაივლიდნენ და მიულოცავდნენ იმ ქართველთა ოჯახებს,
სადაც ასეთი მილოცვა მოსწონდათ. ჩვეულებად შერ-
ჩათ კიდევ საღვთოს დაკვლა და წითელი კვერცხების
შელებვა, მაგრამ ოსმალთა ჩძლავრობის მეოხებით არც ეს
იქმნა დიდხანს დაშთენილი მათში; უკან. სკნელ ომის წი-
ნად ყველა ესენი სასტიკის ბრძანებით იქმნა მათში აღ-
კრძალული და მოსპობილი.

დღეს, მურღულში ქრისტიანობის აღარაფერი ნიშ-
ნებია დაშთენილი; მურღულელნი ნამდვილი ფან ტიკოსები
არიან, მოძულენი ქართველთა და ყველა ქრისტიანების.
უკანასკნელს ომის დროს ყველაზე დიდის ფანატიზმით
ესენი აღმოჩნდნენ. მთელი მურღული ოსმალში წავიდა.

უწყის, რომ მურღულელების მხგავსადვე იბრძოდ-
ნენ ქრისტიანობის დასაფარავად პარხალის ხეობის ქართ-
ველთ მაჰმადიანთა ზოგიერთი სოფლელებით. ამ საუკუნის
1860 წლებამდის პარხალის ერთს სოფლელში ქართველ
მაჰმადიანებს ქრისტიანობაც ეკავათ და საიდუმლოდ
ქრისტიანობდნენო, მღვდლად მათ მღებრიძე ჭყანდათო. მაგრამ ამათაც შეუტყის ოსმალებმა და დ. სჯა დაუპირე-
სო. პარხლელებმა თავი გამართლეს, სიკვდილს გადარჩ-
ნენ, მხოლოდ ქრისტიანობას კი სამუდამოდ გამოემშვი-
ლობდნენ. ამ ცნობას დ. ბაქრაძე და გ. ყაზიბეგიც მოიხ-
სენებენ.

II.

ართვინის (ართვანი) გამაჟადიანება.

(ნააშბოდი დავანაში ქრასტიან კათოლიკებთაგან და ქართველ მაჭიადიანებთაგან).

ლივანის ხევი—დღეს ლივანიდ იწოდება. ლივანი ძველიად იწყებოდა შესართავთან და აქედან ართვანიმდის მიემართებოდა; ართვანს იქით კი, ანუ ბერთას სამზღვრიდან კლარჯეთი დაიწყებოდა. დღეს აქეთ კლარჯეთის ხსენება არავინ იცის, ყველა ლივანის უწოდებს ამ ადგილებს. ყველა ეს ადგილები ძველიად საქართველოს მკუიდრს საკუთრებას შეადგენდა; აქ ქართველთ ტომით იყო მოფენილი ლივანის დაბა, ართვინიც ქართველთა მეფეთაგან იყო გაკეთებული; ეს ადგილები ძველიადვე დაადგა წარმატების გზის. აქაურნი ქართველნი დღიურგანვე შეეჩივინენ მწიგნობრობას, ხელოსნობას, მეცნიერების მიყოლას და ღვთის-მეტყველების. ამ ადგილებში ძველიად შენდებოდნენ მრავალი მონასტერ-ეკლესია და დილრონი სასწავლებელნი, რომელთა ნაშთნი დღემდეც შენახულან აქე-იქ. აქაურნი ქართველნი იყვნენ მეტად მხნე და ლომ-გულნი, მამულის მოყვარენი და საქართველოსთვის თავ-დადებულნი. ამას ხომ ჩვენი ისტორიაც ამტკიცებს. ამათ დიღხანს იბრძოლეს ქართველების გულისთვის პირისპირ ოსმალებთან, მაგრამ უკანასკნელ ესენიც იძლივნენ,—მუდმივ ომებისაგან დაღალულნი დაემორჩილენ თავიანთ კარზე მომდგარს შავს ბედს და მიეცნენ ოსმალთა მონებას.

ოსმალთა მონების ქვეშ შესვლას შედევად მოჰყვა

მოელი ამ ადგილების გამაპმაღიანება, გამაპმაღიანების შემთხვევა
წამება. ხალხი დიდს უარს იყო გამაპმაღიანებაზე, მაგრამ
ხსნა არსაიდნ იყო. უკანასკნელ იწყეს გამაპმაღიანება და
რავდენიმე ხნის განმეოლობაში მოელი ეს ადგილები, ბერ-
თამდის მცხოვრებნი ქართველნი, მთლიად გაამაპმაღიანება.
ამათ შემდევ ბერთას მიაფინენ. ბერთაში ძველად შვენი-
ერი ეკულესია იყო და ამ ეკულესის დიდი ზე-გავლენა
ჰქონდა ამ მხრის ქართველებზე; ბერთას ხსნება სასტი-
კად ამაგრებდა ქართველთა და ამათ მხნეობით მოსავდა
გამაპმაღიანების წინააღმდეგ, მაგრამ ესეც შემცირდა უკა-
ნასკნელ. ოსმ.ლთა სუნეს საქმის ვით რება და მალე ბერ-
თას ტაძარსაც მოხვიერს ხელი, სამღვდელონი გაძარცვეს
და ეკულესია ჯამეთ გადააკეთეს. ეს ეკულესია ჯამეთ გა-
დაკეთებული დღემდეც სდგას კლარჯეთში.

ქართველთა ოსმალთ წინააღმდევ სასტიკად იწყეს
ბრძოლა; ესენი ბრძოლენენ სასტიკად მით უფრო, რადგა-
ნაც ასმალებმა ამაუი მოძმე ქართველნი აქა-იქ დასტანჯეს
უწყალოდ. და ამ ტანჯვით იგინი მაინც გაამაპმაღიანებს.
ბრძოლენენ გმირულად, ნაკრამ ბოლოს ქანც-გაწყვეტი-
ლებმა იწყეს აქეთ-იქით ლტოლვა; დაბა და სოფლებმა
იწყეს ვერანად ქცევა. ოსმალთ თავიანთ ხრიკები შეაჩე-
რეს, ხალხი დააშოშმინეს. რამდენიმე ხნის შემდევ ხელ-
ახლავ მოპკიდეს გამაპმაღიანებს ხელი და ქართველებს
დაუწყეს გამაპმაღიანება და ი როგორ: ოცი, ოცდა-ათი
სოფელს დაცემოდნენ, ამ სოფლის ხალხს ერთად შეკ-
ყრიდნენ, გარს ოსმალოს ჯარს შემოაკრ-ვდნენ და თათ-
რობას ეუბნებოდნენ. ქართველთაგან ესმოდათ:

— არ გავთათრდებით, რაც უნდა იქმნეს.

— დაგხოცავთ სუსყველის, არც ერთს არ დ გარჩენთ
ცოცხალს. ეუბნებოდნენ ოსმალნი.

— ნება თქვენი გახლდესთ. როგორც გერჩიოთ, ისე ჰქონით საქმე.

— ჩვენი ნება და საქმე თქვენი გამაპმადიანება, არის. მიუგეს ოსმალთა.

— არა, ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ. ჩვენ თქვენი ნება დახოცვის მხრით გითხარით, მიუგეს ქართველთა.

— დახოცა ჭკუის საქმე არ არის, საქმე გამაპმადია. ნება არის. ეს ადგილები ჩვენ მიტოს ლურჯავეთ, რომ ქართველნი გავიმაპმადიანოთ და არ ვხოცოთ. ჩვენ მაპმადიანობის გავრცელება გვინდა, რომ ეს წმინდა სჯული გავავრცელოთ უსჯულო ქართველებში.

— ჩვენ ვერ ვიზამთ მას, მიუგეს ქართველთა.

— არა გიშავს-თ-რა, ჩვენ შეგაჩვევთ, გასწავლით ყველაფერს. მიუგეს ოსმალთა. მაგრამ ქართველნი მაინც არ თანხმდებოდნენ.

ლივანელ კლარჯელებისთვის დადგა დიდი უბედურების დღეები. აქ მცხოვრებ ქართველობას გარს აუკრებელი ოსმალოდან მოსული ჯარები შემოეკრა, და იწყეს ქართველების დევნა და პატიმრება მოხუცებულნი ქართველნი დედაკაცნი და მამაკაცნი ხმა-მაღლა ჰყეიროდნენ ტირილით.

— არ გავთათრდებით, ვაი ჩვენს თავს, ჩვენს ბედს, უნდა გაგვამაპმადიანონ ძალით, ღმერთო ნუ გვიწყენ, გვაპატიგ! პატიმარ ქართველებს მოუყარეს ერთად თავი და ყველა ესენი წყობა-წყობა მოპყანდათ არავინის ხიდის გვერდით, რომელი ხიდიც ჭოროხზე იდგა. აქ აყენებდნენ ქართველთა და გარს ჯარის კაცნი სცავდნენ.

პყრობილ ქართველთა პირდაპირ, ხიდის გვერდით, ერთ ალაგას დაისვენეს ერთი ძველი ქართველთა ხატი, რომელსაც ქართველნი დიდს პატივს სცემდნენ. ეს ხატი



ართვინის ეკულესიისთვის წაერთმიათ ოსმალებს. გვერდით იყო თავ-საკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები თავ-საკვეთით აღჭურვილნი. პყრობილ ქართველთაგან სამ-სამი მოჰყვანდათ ქართველთა ხატის წინაშე და გაკრძალვით იყენებდნენ და თან ეუბნებოდნენ:

— თათრდები თუ არა? თუ თათრდები ხომ კაი, თუ არა და აი თავ-საკვეთი და ჯალათი.

— არ გავთათრდები, არა და არა შეუტიქს მრავალთა.

— აბა მაშ თავები ამათ, იყვირეს ოსმალთა, და ჯალათის წინ წააყენეს პყრობილი ქართველთაგანი და მოჰკვეთეს თავი, და დაჭრილი ჭოროხში გადაყარეს. ქართველთა ნახეს მეგობრის წამება სჯულის გულისათვის. ესენი შეჰქრონენ, შეშინდნენ, მტერს დახანება სთხოვეს. ამათ მისცეს მათ ნება. იგინი დაფიქრდნენ. ბოლოს უთხრეს:

— გავთათრდებით, მეტი გზა არ არის.

— ძალიან კარგი, მაშ თუ გათათრება გინდათ, აგერი იმ ხატს მიაფურთხეთ, რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე.

— ხატს რაღაზე მივაფურთხოთ, იგი რას გიშვებათ თქვენ ან ჩვენ, რა გინდათ მისგან, რომ მივაფურთხოთ?

— რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე, თუ არა და, უამისოდ ჩვენ ვერ ვირწმუნებთ თქვენს გათათრებას. ქართველთა მიუგეს:

ჩვენ გავთათრდებით, მაგრამ ხატს ვერ მივაფურთხებოთ.

— ვერა და დაიხოცებით. მიუგეს ოსმალთა მრის. ხანებით.

— ნება, თქვენი აღსრულდეს, როგორც გერჩიოსთ ისე ჰქენით, ჩვენ არ შევშინდებით; და რავდენიმე ქართ-



ველთ პურობილნი წარსდგნენ წინა, და მოპკვეთების სიცვლილი თავები და გადაპყარეს ჭორობში. ამ მოწამეების სიცვლილი და წამება რა ნახეს მრავალთა, ესენი შეშინდნენ, იწყეს ღრტვინვა, თავის დანანება და ამიტომ მრავალთა იწყეს ოსმალთა ბრძანების აღსრულება და ხატზედ მიფურრთხება. ხატზე მიფურრთხების შემდევ მიმფურრთხავს ათავისუფლებლნენ და იქვე ათათრებდნენ. ორი დღის განმავლობაში ორვას ქართველს მოსჭრეს თავი და გადაპყარეს ჭორობში, რომელთაც ვერ გაბედეს ხატზედ მიფურრთხება. ზოგნი კი ასახელებენ, რომ ათას ოთხას კაცებს მოსჭრეს თავიო.

ასე და ამ გვარად ართვინის ხილის გვერდით დიდ-ქალი ქართველობა გაწყვეტილა ოსმალთა წინაშე ბრძოლაში მაპმადიანობის გამო. ერთ დღეს თურმე რვას კაცზედ მეტს მოსჭრეს თავი ქართველთაო, ვინც დარჩა ისინი გაათათრესო და მათში ისეთის სასტიკის შიშიანობით დაამცირდეს მუსლიმანობაო.

აქაური ქართველნი მეტად კკვიანნი და მხნენი იყვნენ. ბევრმა ამათგან იწყეს კათოლიკეთ თავის ალიარება, ზოგმა სომხობა და ამით გადირჩნეს თავი წამებისაგან, რადგანაც ოსმალნი კათოლიკებსა და სომხებს არ იტანდნენ ძალას. რადგანაც კათოლიკეთთ თევზ პაპი მფარველობდა. პაპის სულთანთან პირობაც ჰქონდა შეკრული. სომხებს კი ხმას არ სცემდნენ, რადგანაც მათი მორიდებაც არ ჰქონდათ. მარტოდ ქართველებს მტრობდნენ, რომ ამათ საქართველოს მეფესა და ერთან კავშირი არა ჰქონდათ.

ამ ადგილებში ქართველნი გათათრდნენ, მაგრამ ქრისტიანობას მაინც არ სტოვებდნენ, საიდუმლოდ ქრისტიანობდნენ. ეს ამბები ოსმალთა შეიტყეს, ამიტომ ამათ ქართველებს სასტიკად უწყეს დეკნა და ტანჯვა-წამება.

უკანასკნელ საქმე იქამდის მიეიღა, რომ ლივანელ და კლარჯელ ქართველებს ქართულს ენაზე ლაპარაკიც კი დაუშალეს. ქართულს ენაზე ლაპარაკის დაშლამ დიდი ზედ-გავლენა იქონია ქართველებზე და ამიტომ ამათ ლტოლფა იწყეს საქართველოს იმ ადგილებისკენ, სადაც ქართველი მეფე იჯდა, ქართველთა გამგეობა იყო. ოსმალთა მალე მოიღეს ამის წინააღმდეგი ძალა და იარაღი; ამათ ოსმალოს ჯარი დახვიდეს ქართველებს გარს და სასტიკის მუქარებათ აუწყებდნენ თავიანთს ბრძანებას. ვინც თანამშანი იყვნენ ბრძანების — იმათ სტოკებდნენ თავისუფლად და ვინც წინააღმდეგი იყო, იმას აპატიძრებდნენ; წინააღმდეგ პირებს ერთად აგროვებდნენ და ბოლოს ყველა ამაო მისირში რეკავდნენ. ამ გარეკილ ქართველების ადგილებზე კი ნ მდვილს ოსმალებს ასახლებდნენ. აი ამ მიზეზით აიხსნება, რომ ლივანის ხევის დასასრულს მრავალს ალაგის, სოფლებში, დღეს ქართული ენა ილარ სუფევს, და ზოგიერთს სოფლებში მცხოვრებნი ოსმალურად ლაპარაკობდნენ. ამ მრავალ ოსმალთა შეოხებით ზოგიერთ სოფლებში თვით მკვიდრო ქართველთა მცხოვრებთაც დაპარგეს თავიანთი დედა-ენა. ოსმალთა ნატერაც ეს იყო, ამისთვის ბრძოლენ იგინი. აი ამიტომ არის დღეს ლივანის ხევის დასასრულს ადგილებში ქართული ენა მრავალს ალაგის მოსპობილი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლივანის ხევს იქით, კარგა გზას რომ გასცილდებით, იქითა მხრის სოფლებში კი ყველგან ქართული ენა სუფევს. ლივანის ხევიდან წაყვანილ და გადასახლებულ ქართველთა რიცხვით ძველად ხავსე ყოფილა მისირი, შაში და დიარბექირი. ეს ასევე მარწმუნა იდრე აქუვისთაველზა ჰუსეინ ხ-ბაზ ჭ მჯარაძემ, სახალ-

ხო მელექებე, რომელიც დიარბექირს და სსენტბულს ოდ-
გილებში 20 წელიწადი ყაჩალად იყო გავარდნილი.

იo უმთავრესი მიზეზები იმისა, რომ ართვინის ახლო-
მახლო ქართული ენა ზოგიერთ სოფლებში სრულიად
მოისპო.

ტ. ქ.

(ქადაგი იქნება)

არჩილ-გიში. 1)

(სოფ. არცვეთაში ჩაწერილი ა. მერკევილაძის მიერ.)

(ისტორიული ღექვი—გარანტი).

ათასი კაცით რეჯება²⁾დაებარგა ნებო-ძირში³⁾,
 ბატონთან⁴⁾ ჩაფარი მორბის— „მოგვეხმარე გასაჭირში“.—
 მშაო, არჩილ, მოვეხმაროთ, ჯერ მშა არის, მერე თვისი!
 არჩილმა წამოიხახა: „შემიკაზმეთ ბერი-კვიცი.

შინა-ყმებს გადამიძახეთ, რომელია მარჯვე ბიჭი“...
 ერთი მათრიანი შემოჰკრა... იქ მიუსწრო, ჭარტლის ძირში.⁵⁾
 ლეკებმა ელურტული შექქნეს— „მოგვეწია არჩილ გიფი“.—
 რეჯებ-მ შემოაგინა ბატონიშვილს დედა პირში.
 ერთი არჩილმაც შესხახა: „თქვენი რჯულის საქმეც ვიცი:
 ზოგს მოგყლავ და ზოგს დაგარჩენ, ზოგს ლორის ქონს
 გასხავ პირში!“

ამაზედ სროლა შეიქნა... არჩილ ჩაჯდა ცოტა თხრილში.—
 ხოსია მაჟავარიანი შორს დაესწრო გასაჭირში!—

1) დიდი შეფე-სოდომინის მშა და სოდომთხ მეთრის
 მამა რასაც აიხემჟებდა, მის დაშვის ადარაფერი ეშველებთდა
 თურშე და „გიშსაც“ შატომ ეძახდეს შეტ სახელად. ძალიან
 მჟღავ-ღანიური გაშეცა უთვილავთ! მის სრმლის ეუზე პატ
 თამამიან გაიგლიდათ; რასაც შემთხვევდა, მისი გადარჩენა
 უკვდად შეუძლებელი იყოთ,— ამბობენ.

2) დეკების ბეჭადის სახელია.

3) ნებოძირი სოფელია ბექანთუბნას ქვემთდ.

4) დიდ-მეფე სოდომინთან. „სააბაშია გიორგის სქერაა,
 შეფის მშას, რომელიც უშემბადროდ გადასულა“, — ამის
 ხელი-გადმოცეცმა.

5) ჭარტალი სოფელის სახელია, რომელიც ასლანდელ
 ხარაგულის მახლობლად მდებარეობდა.

— ა გებრალები, ხასია?! დამიკუთდეს ბერი-კვაცი! — ნუ გეშინია, ბატონი! თოფის სროლა მარჯვე ვაცი. ხოსია მაჭაფარიანი მიუჩოჩდა მუხლის ძირში. მოუშვა ხოსიამ თოფი, შეახეთქა ფუშტო მუჭვი. ამოილო ასი ოქრო, ში ჩაუდვა ჯიბის-ყურაშ.⁶⁾ ბერმა-კვიცმა⁷⁾ სოქვა საწყალმა: რა იშედს მეუბნებოდი. ამას რა მომაფიქრებდა, თუ საფრად გამიკეთებდი! შვიდი თოფის ტყვია მომხვდა, ძალად ვერ გავმრთელ-დებოდი.

აქიმების რა ბრალია? ვერ შემაწყობდა წებოთი. მეჯინიბის ჯავრი ჩაშევა... ნეზა, მას მაინც ვრგებოდი! დილას აღრე ადგებოდა, წელს დამიზელდა ერბოთი. ლიტრა ქერს, რომ ამიდებდა, მას შემაქმევდა გემოთი! აღმართში ვიყავ მერანი, დაღმართში დავვოგდებოდი— ასი ფრთა ჩიგვი მენახა, მწყერივით გავვოგდებოდი, სიპ ქვაზე მექენებავ, შუბივით დავვავდებოდი, ათას მხარ თხრილზე მივეგდე, რწყილივით გაგიხტებოდი, სადაც თოფის სროლა იყო, მე შენი შიშით ვქრებოდი, ათას ზარბაზნის სროლაზე, მე ვგონებ, დაგიბრისხებოდი?! ზადი რომ არსად მქანია, ოთხივ ფეხ-ქვეშ მჭირდა ოფაო⁸⁾, ყვავო, ყორანი, რა გრძოდა, შენ ჩემი ხორცით ძლიმაო!

6) არჩიდება ხესიას.

7) „ბერი ჰვიცი“ არჩიდება ცხენის სახედა. „დომის-მთაში“ ერთ სიბ-კლდოვან დაღმართზე ხადის მსუბანად დადარეულ ხაძებს უწოდებენ: „ბერი-ჰვიცას ხავალდებათ: არჩიდა ბერ-ჰვიცს ამ კლდეზედ დაჭეხებდათ.“

8) ცხენის სატეატრია.

ნათლის-მცემელი და გლახაკი (ლებენდა)

ერთს ქვეყანას ერთსა გლახას ჩოხის კინკი ენატრება,
წავიდეთ და მოვიყვანოთ—ჩვენი მწყემსი შეიქნება.
იქნება ღვთისგან ბრძანება—გლახას შვილი გაუჩნდება.
შვიდი წელიწადი გადის, უნათლავი დაურჩება.
დალოცვილი ქრისტე-ღმერთი ნათლი-მცემელს ეუბნება:
—გლახას შვილი გაუნათლე, თუ შენ გლახა გებრალება.
—მოვუნათლავ, მაგრამ გლახა ბოლოს გამიკოხტავდება.
წაბრძნდა ნათლი-მცემელი, გლახის კარზე ჩიმოხტება,
ნათლი-დედა სიშიშვლითა კარის უკან ამოდვება;
სიგლახე-კით ნათლი-მამა ზეზე ვეღარ წამოდგება!
სვინა სახლში შეიწვევს, გლახას შვილი გაუნათლა.
—ნათლი-დედა! ნათლი-მამა! სვინას პური ეშიკნება.
—ღმერთმა იცის, ჩემთ სვინავ, შენთვის სული ამომხდება!
მაგრამ რა ვჰქნა?...

გავა შვადი წელიწადი, პურის ყანა არ მდებია.
არც მყავს ხარი, რომ შევაბა; არცა ფური მეწველება.
გადა! ახა ფიცხლავ ჯვარი—ყოვლის ფერი მიეცემა!
ანთებული კელაპტრები ყოველ კუთხით ენათება;
მარმარილოს კაშკებზედა თვალი აღარ გადაწვდება!
ობოლი წყარო, წისქვილი გლახას ბალში გაშენდება.
—ადექ და ბეღელს დახედე—პური ბევრი დაგიხვდება.
ადექ და ჭურებს დახედე—ღვინო წითლად დაგიხვდება.
ათასი თავი ჭამბარი საღამოს კარზე მოდგება.
მურასა ტანისამოსი დაკეცილი დაგიხვდება.
ცხრა ტყაოსანი მოახლე ნათლი-დედას ეახლება.
—მისრის ქალაქის ხელმწიფე ნათესავად გავიხდება,

— ეგე სვი და ევე სჭამე — ულეველი შეგექნება; —
 ათხე ერთი ღმერთის შესწირე, — ისიც ღმერთისა იამება.
 თუ ათხე ვერ გაიმეტო, ოცზე ყაბული იქნება.
 უთარგმნებდა, უბრძანებდა — ნათლი-დედას ივიწყდება.
 — ღმერთმა იცის, ჩემო სვინა! ეს დოვლათი რა მიჩნდება!!

წავიდა ნათლი-მცემელი.

წელიწადი გამოვიდა, ნათლულს აღარ ესტუმრება,
 დალოცვილი ქრისტე-ღმერთი ნათლი-მცემელს ეუბნება:
 — წადი, შენს ნათლულს ეწვიე: ნახე, როგორ დაგიხვდება.
 წაბრძანდა ნათლი-მცემელი გლახის ბალში ჩამოხტება,
 — ნათლი დედა, ნათლი-მამა! სვინას პური ეშვენება.
 — ადე, ქალო, კარს გახედე — რა მალ მალე დაეთრევა!
 — ნათლი-დედა, ნათლი-მამა, სვინას ეგ არ ეკადრება!
 სვინა სახლში შეიწვიეს, დეუბანზე ჩამოჯდება.
 ნათლი-მამა სიკოხტავით ზეზე აღარ წამოდგება.
 ნათლი-დედა წამოდკება — წეისა შექი თან აცყვება.
 საღამოს უმი შეიქნა, სვინას ვახშაშს უკეთებენ.
 იმას რომ ერთი ცხვარი ჰყავს... რომ ვიამბო, მეზარება!
 ოთხივ-ფეხით კოჭლი არის, ორივ-თვალით ბრმა იქნება.
 ამდენი სატკორანი — მისი ხურუ არ იქმება!
 — თვალ-მართალი ღმერთს შესწირე — ბრმა და კოჭლი
 გამოელდება.

ნათლი-დედა, ნათლი-მამა, სვინას ეგ არ ეკადრება!
 — გეკადრება და ეგ ქამე, თორემ... კარი გაგევლება.
 შემოწყრა ნათლი-მცემელი, ფუცხლად კარი გაარია.
 — თუ შემოწყერა, სულ... რალა ვჰქნა! ამოვწყდები შიმშილითა!
 დალონდა ნათლი-მცემელი — „წავიხდინო? როგორ? რა
 ვჰქნა? მე მირონი მეწამება“.

დააჭირა ყავარჯენი — სახლი მტვერად გაადინა, —
 ღლესაც მიღის დანაშრეტი... ზღვა და კუპრი აღადგინა!
 სისხლი მისი ენდროთ იქცა, — თხრის კაცი და არ ილევა;
 თმანი მისნი — ბალახათა: ძროხა სძოვს და არ ილევა. —
 ეს ამბავი ამის მომქმედს არასოდეს დაელევა!

გ ა მ ღ ვ ა ნ ე ბ ი

(სოფ არგვეთაში ჩაწერილი მწხვევე).

აზიდუ-აზიდა შიმშიდა, დოშავი აბრეშუმისა—

ზედ ადგას ციხე-ქადაქი, საძირკველი აქვს რეინისა.

(ქოშები).

ადი გიხურს, კანი გიხურს, საფურარა გითახთახებს.

(ყალიონი).

ალხაა, მალხაა, თავ-მოგრუდა საღთაა,

ვანც ამას ვერ გამოაცნობს, პალწია და პლახაა.

(ხალთა).

ამ წემს პატარა საედარშა თრა ხატა ასკენაა.

(ნიგვზის კავალი).

ამ წემს პაწია საედარსა

ვეტრაალე, ვეტრაალე, პარა ვერსად ვერ გუნძხე.

(კვერცხი).

ასე ვაუკ მეტ, რთგორც ახლა შენ,

ასე გახდი მეტ, რთგორც ახლა მე.

(კრუში და წიწოლები).

ასიანისა მთაზედა ასი ცხვარი მოგოგავს,

კრო ნუკრი ფეხი მოტეხია, მუკდა ამას უკურებს.

(დგინ—სავარუხელი).

ასლამაზა მე მქვია, ასი ტეავი მარვია,

აბრეშუმის ქოქორი თავზე გადამასხაა.

(სიმინდის ტარო).

ატა-ტომარა, ბატა-ტომარა,

სასედს რომ გეტევა, გვარს შიტომ არა.

ტოარა.

ატაცუნა, ბაცაცუნა—ბატონსაც და ემასც უნდა.

საცერი.

ბაბუ წევს და ბაბუს სძინავს, ბაბუს წევრი მიწაშია.

პრასი.

ଖୁବର୍ଦ୍ଦିଲ୍ଲ ମିଳିରକେବେଳେ, କୁଣ୍ଡଳାତ ଥିଲାଇନ୍, ୧
 ରତ୍ନା ଥିଲାଇ କିମ୍ବା ମିଳାଇଲାଇନ୍.

—
ମହାରାଜାର ପାରାଠାରେ, କୁଣ୍ଡଳା ମିଳାଇନାଥୀ.

ଶ୍ଵରମା.

ମହାରାଜାର କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର ବିନ୍ଦୁରେ ଫଳିତ ମିଳାଇନାଥୀ.

ପିଲାଙ୍କୁଳେଖିର.

ମହାରାଜା, ଧରନରକମ୍ପେଇଲା, ମିଳାଇନାଥୀ ନାମିରକମ୍ପେଇଲା.

ନୀଯ୍ୟ—ଶୋକା.

ଗରତା ପଦା—ଶ୍ଵର ମହାରାଜା,
 ଗରତା କ୍ଷେତ୍ରର ଲାଭ ଶ୍ଵର ପାଇଲା,
 ଗରତା ଲାଭରେ—ଶ୍ଵର ଲାଭିଲା.

— ନାମାର୍ଥ, ଅସ୍ତର୍କଳା, କ୍ଷୁମିଳା.

ଗରତା ତଥା ମହାବିଦ୍ର ବେଳାତ, କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର ପାଇଲା କ୍ଷୁମିଳା,
 ମିଳାଇ ନାମାର୍ଥରେ ଲାଭିଲା କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର ମହାବିଦ୍ରରେ.

ଶାଶ୍ଵତର.

ଗରତା କାମ କ୍ଷେତ୍ରାର୍ଥରେ—ଶ୍ଵର ଲାଭିଲା ତଥାଲାଶ,
 ପାଦର ନାରା ଲାଭିଲା କ୍ଷେତ୍ରର ଲାଭିଲା.

ଶ୍ଵରମା.

ଗରତା ଭାବାନ୍ଦେଲାଇ ମିଳାଇନାଶି, ଶ୍ଵରରକାରୀ, ଶ୍ଵରକାରୀ, ଶ୍ଵରକାରୀ,
 ଶ୍ଵରକାରୀ, ତଥା ଶ୍ଵର ଲାଭିଲା କ୍ଷେତ୍ରର ଲାଭିଲା... କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା?

ଶ୍ଵରର.

କେ କାମ କାରିଲା?—ମାନ୍ଦରା କାରିଲା, ମାନ୍ଦରା କାରିଲା ଶ୍ଵରକାରୀ—
 ଯାରା ମହାବିଦ୍ରର କାରିଲା.

ଶ୍ଵର-ଶ୍ଵରମା.

କେ କେମି ତେବେର କାରିଲା ଲାଭିଲା ଲାଭିଲା ଲାଭିଲା ଲାଭିଲା.

ଶ୍ଵରମା.

ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା—ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା.

?

ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା,

ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା ଶ୍ଵରମା.

ଶ୍ଵରମା.

ତାଙ୍ଗ କେବଳ, ତାଙ୍ଗର ଶୁଣ୍ଯର,

କେବଳ—ଶୁଣ୍ଟି ଶୁଣ୍ଟିର ରେ ରୁଦ୍ରିଷ୍ଟିରେ.

— ଶ୍ଵାସ ତାଫୁଲିର ରୂପ ସାନ୍ତେଲି.

ତାଙ୍ଗ-କୃତିର, ଦେଖିବାର ଶୁଣ୍ଟିର, ରାତ୍ରିର ଶ୍ଵାସ ମାମିଲା.

— ମାମିଲା.

ମାମି—ଶୁଣ୍ଟିର, ରେଣ୍ଟି—ରେଣ୍ଟିର, ଶୁଣ୍ଟିର ଶ୍ଵାସ ଶ୍ଵାସ.

— ଶାଶ୍ଵିତ, ପୁରୁଷର ରୂପ ରୁଦ୍ରିଷ୍ଟି.

ଶ୍ଵାସ—ଶୁଣ୍ଟିର, ରେଣ୍ଟି—ରେଣ୍ଟିର, ଶୁଣ୍ଟିର ଶ୍ଵାସ ଶ୍ଵାସ.

ରୋତ୍ତମାର୍ଗିର (ରେଣ୍ଟିର) ରାତିର ଶୁଣ୍ଟିରଲ୍ଲେବି.

— ଶାଶ୍ଵିତ-ଶାଶ୍ଵିତ.

ମିଥିଲି-ମିଥିଲିର ଶାରିକାରି, ଏବଂ ଶୁଣ୍ଟିର ଶାରିକାରି.

— ଶାଶ୍ଵିତ ରୂପ ରୁଦ୍ରିଷ୍ଟି.

ମିଥିଲା ଶାରିକାରିର ଶୁଣ୍ଟିର, ଶାରିକାରି ଶୁଣ୍ଟିରର,

ମିଥିଲା ଶାରିକାରିର ଶୁଣ୍ଟିର ଶୁଣ୍ଟିରର,

ଏବଂ ଏବଂ ଶାରିକାରିର, ଏବଂ ଶାରିକାରିର ଶୁଣ୍ଟିରର,

ଏବଂ ଏବଂ ଶାରିକାରିର ଶୁଣ୍ଟିରର ଶୁଣ୍ଟିରର.

— ପ୍ରପରନାଟେଲା.

ତତ୍ତ୍ଵର ପାଦ ଶାରିକାରି ଶଶିର ଶଶିର, ପାଦ ପାଦ ଶଶିର ଶଶିର.

— ଶିଳ୍ପିର ରୂପ ରୁଦ୍ରିଷ୍ଟି.

ତତ୍ତ୍ଵର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର, ତତ୍ତ୍ଵର ପାଦ ଶଶିର.

ଶଶିର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର, ଶଶିର ପାଦ ଶଶିର.

— ନାଲ୍-ଲ୍ଲେଖିମାନି ରୂପ ରୁଦ୍ରିଷ୍ଟି.

ଶଶିର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର, ଶଶିର ପାଦ ଶଶିର.

— ଶଶିର.

ଶଶିର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର,

ଶଶିର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର.

— ଶଶିର ରୂପ ରୁଦ୍ରିଷ୍ଟି.

ଶଶିର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର.

— ଶଶିର.

ଶଶିର ପାଦ ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର ଶଶିର.

— ଶଶିର.



უკრაინული

უფლის პატი მიწა-მოწვა, ბასევინჩედა ზეზე არის. სისხლითია
რწყილი.

შევი არის შეშეიგითა, იგინება ძაღლიგითა,
პატია დაშით ათაშების, ქაშანჩა და სტვირიგითა.

რწყილი.

შემოვჭარე პერიას—ხელი მოვჭიდე დრენიას.

ჯინჭარი.

შიგნი—ათასი, გარედ—ატლასი,

ბროწეული.

შინდა, შეიდა-შინდას ძირი, შეკრული და შებეჭდილი,
გერც მე გაგხსნა, გერც სხვა გახსნას, გერც გაორგი
შეფიას-შეიდა!

დიდ მარტვა.

ჩემი შატარა მანანა, ხან გააცინებს—ხან არა.

ციცინათელა

ჩემი შატარა ბაჭია, სირბილით არის მაკე.

თიბისტარი.

ძირი ნედლა, შე—ხმელი, წევრო აბრდდია ღებული.

— აღება დიდ-მარტვა და აღდგომა.

წაიქნა ჭირე, მაესია ჭიანჭებელა.

ლორი და გოპები

წითელი ხარის ნაწოლზე ბალანი არ ამთხულა.

ხე გავთალე ხის, არა ნაფოტის—

შედიან და გამოდიან ანგელოსი დვოისა.

სუა და ფუტკარი.

ხევარ, ხე მრუდედ გაზრდილი, ვერ შემომწვდება ნადირი,
შენ მოდი ენების თვეში, თუ ვერ გაჭამო სადალა!

ლელვი.

ჭერ დედა არ შობილიერ, შეიდა ქალაქს მაღალდ.

ალი და კვამლი.

ჩ ვ ე ნ ი

„პ რ მ ბ უ ლ ი“

მეორე წელიწადში გადადგა.

დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვეძეჭდა ჩვენს «კრებულში», დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვძეჭდოთ ხოლმე, და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა, კიდევ აღვითქვეს დახმარება.

ფასი იგივე დარჩება: გაგზავნით თოსტით 7 მან., გაუგზავნელად—6 მან., ნახევარის წლით—4 მან., თვიურად და კერძო წ.-რი—60 კ.

—(უულის შემოტახა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება).—

რედაქტიან გადატანილიან დ. უფარისებაში

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ცვირილა, „გრებული“, ს რედაქტია და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება.

„კრებული“—ს რედაქტორი და გამომც. აპაპი.

P. S. ბევრი გვერდითხება, „თანგბადისაგადის“ გაგრძელება იქნება თუ არათ. ამ წელში კიდეც დაიბეჭდება ქსთხულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დამზადებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალბეწიგნად ბ-ნი მოსე ჯანაშვილის „პალეოზირაციული ალბომი“, რომელიც „კრებული“, —ს ხელის-მომწერლებს იაფ ფასად დაქმობათ.

რედაქტიაში შესაძნად მოიპოვება წარსული წლის „კრებული“—ს თორმეტივე წიგნი, ფასი შვიდი მანეთია.